

ISSN 0130-1624

619
1988/2

ბარათი

ქართული
საბავშვო
№ 9 1988





ქართული
ბიზნისი



ფელი პირველი

უნივერსიტეტი, 1988



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქართული
ბიზლიროთეკა

დროშა

№ 9 (621), სექტემბერი, 1988

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან
სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

ნომერი:

ქართული უნივერსიტეტის გახსნა.
ავტორთა ჯგუფი. იცით, როგორი
იყო ბრიგოლ კიკნაძე?
ოტია იოსელიანი. გალთბაისტაძე.
პაატა ყიფიანი. სვანეთი.
ქეთევან მელიქიძე. დასაწყისი.
დარეჯან რევიანი. თბილისური კვი-
რეაშები.
როგორც სტივენსონი. ქართული ეპი-
კური პოეზია.
ნატალია ორლოვსკაია. კაილო
ჯაკობიძე ქართულ სცენაზე.
ლავრენტი ბიჭინაძე. გინიატიშკაძე.
სარგის ცაიშვილი. პოეტური იად-
გარი.
რამაზ სურგანიძე. მიხეილ ბულგა-
კოვი საქართველოში.
რემ დავიძოვი. კეტე ბრუნიცკი-
ბაგრატიონი.
პერ ლავრენტი. გორბოტი ზღაპ-
რები.
აირინ იომინი. ქალი.
ნუგზარ ბარდავლიძე. როცა ლე-
გენდა ცოცხლობს.
კროსკორდნი.

საქართველოს კვ ცპ-ის გამომცემლობა


© „დროშა“, 1988 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე


სარედაქციო კოლეგია:

ვულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ
ბერიშვილი, ვასილ ზვეთაძე, ნათელა ბიორ-
გოზიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ღურ-
გიშვილი, ვახტანგ ევსანოვი, ჯემალ მახრი-
შვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ
ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი.





უნივერსიტეტის საოჯახო ალბომიდან
ნახატი გიგლა ფირცხალავასი



ნიკო ცხვედაძე: თქვენს თავს ესრო-
ლეთ, სკოლას მაინც ავაშენებთ... „ნიკო
ცხვედაძემ რომ ახლანდელი უნივერსი-
ტეტის შენობის აგება დაიწყო, მრავალი
მკილავი გამოუჩნდა. გიჟიანო ამბობდ-
ნენ“.

დავით კლდიაშვილი



ციციანთ ქალობა,
თარხნიანთ გალობა,
ბაგრატიონთ ქონება,
ჯავახიანთ გონება.

ივანე ჯავახიშვილი: როგორ იბარტყა!..

ნახატი ელუარდ ამბოკაძისა




დავით სარაჯიშვილს გიმნაზიის (იგუ-
ლისხმეთ — აწინდელი თბილისის უნი-
ვერსიტეტის ნაგებობა — დ. ბუზუყაშვი-
ლი) ასაშენებლად პირველად 60 ათასი
მანეთი შეუტანია, თან ასე უთქვამს ნი-
კოსათვის: „აჰა, ჯერ ეს იკმარე, ოღონდ
ნურსად გამოამულავნებ. დაიწყე საქმე და
რამდენიც დაგჭირდება მე აქ ვარო“.

ელისაბედ პრისტავი,

დავით სარაჯიშვილის დისწული.


სურათზე: სწავლა-
განათლების უკიდება-
ნო ხელშემწყობი და-
ვით სარაჯიშვილი.

ნახატი ოსკარ
შმერლინგისა



უკვე 1906 წლის შემოდგო-
მისათვის თბილისის ქართული
გიმნაზია ახალ შენობაში გა-
დავიდა.

ნახატი ოსკარ შმერლინგისა



ვენთვის ესოდენ საყვარელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი არსებობის შვიდიოდე წელსაც კი არ ითვლიდა, როცა მისი წარმომადგენელი 1924 წლის მაისის დამღვეისათვის მიწვეული იქნა იტალიის ფრიად პოპულარული ქალაქის — ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ საიუბილეო ზეიმზე.

ცხადზე უცხადესია, თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სიამოვნებით დათანხმდა მიწვევას და ამ უაღრესად საპატიო მისიის აღსრულება მიანდო თავის საამაყო რჩეულს, აღიარებულ ქართველ ფილოლოგსა და ბიზანტიოლოგს პროფესორ გრიგოლ წერეთელს. მასვე ნეაპოლის უნივერსიტეტისათვის გადასაცემად თან გაატანეს პერგამენტზე ლათინურ და ქართულ ენებზე დაწერილი მისალოცი ადრესი. თბილისის უნივერსიტეტის ეს სამახსოვრო ადრესი შესრულებული იყო ცნობილი მხატვრისა და გრაფიკოსის პროფესორ იოსებ შარლემანის მიერ.

სათანადო დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შემდეგ პროფესორი გრიგოლ წე-



გრიგოლ წერეთელმა სასტუმროში დანამდვილებით გაიგო, რომ იგი ნეაპოლის უნივერსიტეტის საიუბილეო ზეიმზე მიწვეულ რულს ჩავიდა იტალიაში, რომ ამის შემდეგ გაიმართება მხოლოდ სამეცნიერო კონგრესის სხდომები. მან თავისი სპეციალობის — კლასიკური ფილოლოგიის სამეცნიერო სხდომებსაც კი ვერ ჩაუსწრო. ამ გარემოებებით გულნატკენი გრიგოლ წერეთელი თავს იმითლა ინუგეშებდა, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების წარმომადგენლებიც აღმოჩნდნენ. იგი წერს:

„მეორე დღესვე ვინახულე უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ზამბონინი და ოფიციალურად გადავეცი მას როგორც მისალოცი ადრესი, ისე საჩუქარი — ჩვენი უნივერსიტეტის გამოცემანი. ადრესმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე განსაკუთრებით დაინტერესა ყველანი მისმა ქართულმა ნაწილმა. ბევრ მათგანს ხომ ჯერ არც კი ენახა ქართული დამწერლობა, რომელსაც ასე ახასიათებს ხაზების სიმკვირცხლე და ორნამენტის ორიგინალობა! ერთი სიტყვით, ადრესს თუმცა დაუგვიანდა, მაგრამ მან შეასრულა თავისი

თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფო

რეთელი იტალიაში საზღვაო გზით კი არა, სახმელეთო გზით გაემგზავრა, რადგან გემმა, რომელიც პირდაპირ ნეაპოლში მიდიოდა, გაასწრო. მოსკოვში ჩასვლისას კი დაემთხვა სააღდგომო დღესასწაულები და იქ ორი დღით შეჩერდა. პირველ მაისს რიგისაკენ გაემართა.

ქურნალ „ახალი კავკასიონის“ 1925 წლის №1-2-ში დასტამბულ წერილში სათაურით „ნეაპოლი-რომი-ბერლინი“ იგი აღნიშნავს: „მე ბენდიერი ვიყავი, ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ ეწყობოდა, მაგრამ როგორც იტყვიან, „ერთს ფიქრობ და მეორე ხდება“. როდესაც 1 მაისს წითელი დროშითა და მწვანე გირლანდებით შემკული მატარებელი ლატვიის საზღვარს მიადგა, ის იქ დააკავეს და მოითხოვეს წითელი დროშის ჩამოხსნა. შემანქანე, რასაკვირველია, არ დაემორჩილა ასეთ მოთხოვნას: დროშის ჩამოხსნა მას მხოლოდ ნაშუადამეს შეეძლო, როცა დღესასწაული დამთავრდებოდა.

ლატვიელმა მესაზღვრეებმა თავისი გაიტანეს და რიგაში მატარებელი მაშინ ჩავიდა, როცა ბერლინიში მიმავალი მატარებელი წასული აღმოჩნდა. ამის გამო გრიგოლ წერეთელმა ორი დღე დაკარგა. საგულისხმო იყო ისიც, რომ ბერლინიში ჩასვლის დღეც — კვირა უქმე დღეა და დაწესებულებები დაკეტილია. საზოგადოდ მაშინ ევროპის ქვეყნებში მიმავალ მგზავრს უამრავი ვიზის აღება უხდებოდა. თვით გრიგოლ წერეთელს იტალიაში ჩასასვლელად ხუთი ქვეყნის ვიზის აღება დასჭირდა.

თავის წერილში გრიგოლ წერეთელი იმსაც დასძენს, რომ რაც უფრო პატარაა სახელმწიფო, მით უფრო ახირებული არიან მოხელეები და მით უფრო ლაპლაპა მათი ტანსაცმლის ფორმა. მას გზაზე დიდი ვაი-ვაგლახის გადატანა დასჭირდა იმისათვის, რათა დაზიანებისაგან დაეცვა ნეა-

პოლის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი ადრესი, მესაზღვრეები ერთობ ეკვის თვალით უყურებდნენ მას...

და აი, ბრენნორეც. იგი უკვე იტალიაშია. იტალიელი მოხელენი იშვიათი მოკრძალებით ეპყრობიან მის ბარგს, როგორც დელეგატისას. მართალია, ისინი არაფერს სინჯავენ, მაგრამ ამჯერად გრიგოლ წერეთელი თავად აჩვენებს მათ ნეაპოლის უნივერსიტეტისათვის გადასაცემ მისალოც ადრესს, რომელიც მათში დიდ ინტერესს იწვევს. მაგრამ აქვე ერთი სამწუხარო ამბავიც აუწყეს სტუმარს: ნეაპოლის დღესასწაული დასასრულს უახლოვდება. ერთხანს იგი დიდად აღაშფოთა ამ ამბავმა — კაცი ასე შორიდან მოიჩქაროდეს და დღესასწაულის დასასრულს და მიუსწროს?! მაგრამ შემდეგ იტალიის ბუნების მომხიბვლელობამ ყველაფერი დაავიწყა. კვლავ მოაჯადოვეს ნაცნობმა ადგილებმა. აი, ვერონა — კატულის სამშობლო. აგერ ბოლონია, ფირენცე. აი, თვით რომიც! მაგრამ იგი ჯერჯერობით მათ განზე ტოვებს, მატარებლით სამხრეთისაკენ მიიღტვის, მას ჯერ ნეაპოლში მიეჩქარება.

ნეაპოლში ჩასული გრიგოლ წერეთელი სასტუმროში დაბინავდა, თითქმის უნივერსიტეტის პირდაპირ. „ეს შენობა, — აღნიშნავს იგი, — მძიმეა თავისი არქიტექტურით, მაგრამ დიდებულია და სრულებით შეეფერება იმ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა უნივერსიტეტს იტალიის განათლებისა და მეცნიერებისათვის. მაგრამ განა მართო იტალიისათვის არის ის საინტერესო? ჩვენ, ქართველებსაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ XVI-ე საუკუნეში ჩვენი ახალგაზრდობა მიემგზავრებოდა ხოლმე ნეაპოლში განათლების მისაღებად“...

დანიშნულება! თბილისის უნივერსიტეტმა სმამალა ამცნო ყველას თავისი არსებობის შესახებ“.

თბილისის უნივერსიტეტის მისალოც ადრესს დიდი დაინტერესება გამოუწვევია. პროფესორ გრიგოლ წერეთელს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიც მსმენელთა ყურადღება მიუპყრია, როგორც თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაზე, ისე საქართველოსა და ნეაპოლის უნივერსიტეტების შემდგომ ურთიერთობაზე.

აქვე საგანგებოდ დავსძენთ შემდეგ გარემოებას: მისმა მისასალმებელმა სიტყვამ, წარმოთქმულმა არა ლათინურად, სხვათა მსგავსად, არამედ უძველეს ნეაპოლურ დიალექტზე, სწავლულთა აღფრთოვანება გამოიწვია.

საქართველოდან ნეაპოლში ჩატანილი მისალოცი ადრესის პასუხად თბილისის უნივერსიტეტისათვის გადასაცემად გრიგოლ წერეთლისათვის გამოუტანებიათ ვერცხლის მედალი, რომელიც მოჭრილი იყო ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლისთავის გამო. მედლის წინა მხარეზე გამოსახულია ნეაპოლის უნივერსიტეტის დამაარსებლის ფრიდრიხ II ჰოენშტაუფენი, ხოლო მეორე მხარეს არწივი გაშლილი ფრთებით.

პროფესორი გრიგოლ წერეთელი თავის წერილში ფართოდ მოუთხრობს მკითხველს იმ დიდ სამეცნიერო მუშაობაზე, რომელიც მან ჩაატარა ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლისთავის საიუბილეო ზეიმთან დაკავშირებით იტალიის დიდ ქალაქებში მოგზაურობის დროს.

რომში გრიგოლ წერეთელი დეტალურად გაეცნო ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებსა და წიგნებს. შემდეგ რამდენიმე დღით ბერლინიში შეჩერდა და თბილისისკენ გამოემგზავრა.



იყავი, როგორც სხვა

ბრძოლა კიანაში?

მ

ასწავლებელი, ქვეშარიტი სულიერი მოძღვარი, მთელი სიცოცხლე მიჰყვება თან თავის აღზრდილს. რაც დრო გადის, მით მეტი სინათლე ეფინება ამგვარ ადამიანთა საქმეს, ცხოვრებისეულ გზას, პიროვნულ თვისებებს...

თავიანთ მასწავლებელზე საუბრობენ პროფესორები ჭუმბურ ჭუმბურიძე, ვახტანგ გოგუაძე, დოცენტები იუზა ევგენიძე და ლალო მინაშვილი.

ვლადიმერ მინაშვილი. ახლა ბევრისაგან გაიგონებთ, აქამდე სათქმელს ვერ ვამბობდით, ახლა მოგვეცა სიმართლის თქმის შესაძლებლობა. სამწუხაროდ, ამას ისეთიც ამბობს, ადრეც ავტორიტეტი რომ ჰქონდა... და ყველას ეგონა, მაშინაც მართალს ლაპარაკობდა.

ვამს, არასოდეს დაუწერია ისეთი რამ, რასაც არ ფიქრობდა, რასაც არ განიცდიდა. ყოველი მისი სტრიქონი წარუვალობის ნიშნითაა აღბეჭდილი.

იუზა ევგენიძე. მერე რა ხშირად უჭირდა ბატონ გრიგოლს...
ვლადიმერ მინაშვილი. უჭირდა და ძალიანაც. მას ყოველთვის აკრძალული ხერხებით ებრძოდნენ.

იუზა ევგენიძე. ორმოც-ორმოცდაათიან წლებში ამ ბრძოლამ კომპანიური ხასიათი მიიღო. კონსტანტინე გამსახურდია ერთგან წერს: ყოველი დროის ცილისმწამებლებმა კარგად იცოდნენ, თუ გინდა ადამიანი უზომოდ დასაჯო, მას ისეთი რამ უნდა დააბრალო, რის წინააღმდეგაც თავად იბრძოდაო. ასეთნი, სამწუხაროდ, ბევრნი აღმოჩნდნენ. ისინი საკუთარი უკეთური ბუნების გამოხატველ თვისებებს მიაწერდნენ მრავალ მოღვაწეს და მათ შორის ბატონ გრიგოლსაც, რას არ სწამებდნენ: ცრუ მეცნიერობას, წინამორბედთა და მემკვიდრეობისადმი უპატივცემლობას, თვით საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ აზროვნებასაც კი...

1942 წლის 14 მაისს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე ბატონი გრიგოლი კითხულობს მოხსენებას: „პატრიოტული ნაკადი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“. ეს ის ხანაა, როცა კიდევ ერთხელ დაარბიეს ქართველი ინტელიგენცია, მათ შორის უნივერსიტეტიდან რეპრესირებული შორის იყვნენ მოსე გოგბერიძე და მიხეილ ზანდუკელი. ასეთ მძიმე სიტუაციაში, ცხადია, პოლიტიკური დაბეზლების ძალას იძენს ერთ-ერთი მოკამათის მიერ გრიგოლ კიანაძის მოხსენების შემდეგნაირი შეფასება: „მოხსენებაში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები მცდარია... პატრიოტულ გრძნობას ის კუთხურ-ეთნოგრაფიულ ახსნას აძლევს. ასევე მცდარად აქვს გამოჩენილი პატრიოტული და მალალი ეროვნული, მაშინ გაუგებარია, თუ თანამედროვე პატრიოტიზმს საფუძვლად როგორ უდევს მრავალურიან სამშობლოს დაცვის გრძნობა, რომელიც წარმოიშვა ინტერნაციონალურ-პატრიოტული გრძნობის საფუძველზე... მას ჰგონია, რომ სამშობლო ქართველ ხალხს ერის ჩამოყალი-

ბებამდის არა გვაქვს, რაც სტალინის დებულებიდან არ გამომდინარეობს“.

1945 წლის 30 იანვარი. გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი სარდაქციო წერილი, რომელიც ეხება ბატონი გრიგოლის მოხსენებას ვაჟა-ფშაველას წერის მანერაზე.

მისი სადოქტორო დისერტაციის წინ ავტორთა კოლექტივი აქვეყნებს წერილს გამანადგურებელი სათაურით! „ლიტერატურული უვიცობა „მეცნიერების“ სამოსელში“, 1949 წელს კვლავ ესმიან თავს და ასე გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

როგორ დამავიწყდება 1972 წელი. მაშინ მეორედ გამოიცა ბატონი გრიგოლის კაპიტალური მონოგრაფია „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“. გადაწყდა, დაგვებეჭდა პატარა რეცენზია, რადგან თავის დროზე უარყოფითად შეფასდა ეს წიგნი პრესაში, თუმცა მის ბაზაზე არაერთი მონოგრაფია, ნარკვევი თუ საკვალთმეცნიერო შრომა შეიქმნა ჩვენში. ერთ-ერთ პერიოდულ ორგანოში თითქმის წელიწადნახევარზე მეტ ხანს იღო ეს რეცენზია და არ დაიბეჭდა იმ მოტივით, რომ „კრიტიკული პათოსით და შენიშვნებით არ იყო დატვირთული“. და ეს მაშინ, როცა არაფრისმთქმელ წიგნებზე პანეგირიკები იბეჭდებოდა. „დაწუნებული“ რეცენზია ბოლოს დაიბეჭდა „ცისკარში“. სამიოდე თვის შემდეგ ბატონი გრიგოლი გარდაიცვალა.

ვლადიმერ მინაშვილი. და მაინც იგი არასოდეს დაწვრილმანებულა, არასოდეს დაუკარგავს სიღინჯე და სიბრძნე. არც უპასუხოდ დაუტოვებია ვინმე. მან შეძლო, ყველასთვის ეჩვენებინა, ვის რა „მეცნიერული“ ინტერესები ამოძრავებდა.

არავის უნახავს იგი გარემოებათა გამო ქედმოხრილი, გატეხილი, დამარცხებული. იგი ძლიერი იყო, მაგრამ ხმაური არ უყვარდა. თავის გამოჩენის სურვილს არასოდეს აპყობდა. რაც უფრო ებრძოდნენ, მით მეტს მუშაობდა. იცოდა თავისი შესაძლებლობები და თავისი თავის ფასი.

იუზა ევგენიძე. მან ცხოვრებისეული ტიპილები შემოქმედებით ენერჯიად გადაადნო და თავისი წიგნებით მშვენიერი

სულიერი განძი დაუტოვა შთამომავლობას.

ჭუმბერ ჭუმბურიძე. მთელი მისი ცხოვრება იყო ბრძოლა საკუთარი ზნეობრივი და მეცნიერული პრინციპების დამკვიდრებისათვის და ამ პრინციპებისათვის მას არასოდეს უღალატა.

იუზა ევგენიძე. მახსოვს, ერთ-ერთი მძაფრი, უსამართლო ბრძოლის დროს მასთან მოვიდა სტუდენტი და რომელიღაც საკურსო თემასთან დაკავშირებით ლიტერატურა ჰკითხა. ბატონმა გრიგოლმა რამდენიმე წიგნი და ავტორი დაუსახელა. მათ შორის ისიც, ვინც მის განდგურებას ცდილობდა. მე მაშინ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი და გავვოცდი. დავაკვირდი. ვცდილობდი, მისი სახის გამომეტყველებაზე რაიმე ამომეკითხა. დღესაც მახსოვს მისი მშვიდი სახე. ხშირი წარბებიდან მომზირალი კეთილი თვალები... არა, ის იმ წუთში მხოლოდ მეცნიერი იყო.

ჭუმბერ ჭუმბურიძე. ასეთი იყო იგი ყოველთვის. პიროვნული ღირსებებით სავსე. მას თავისი გზა ჰქონდა, თავისი ცხოვრება, ამგვარ ადამიანებს ცხოვრებისეული სიძნელეები ვერ აწვრილმანებს.

რამდენ ხანს ოცნებობდა ვაჟა-ფშაველას კაბინეტის ჩამოყალიბებაზე. რა ძალა და ენერჯია შეაღია მან ამ საქმეს. მარტო ეს ეყოფოდა ერთ სიცოცხლეს.

იუზა ევგენიძე. თითქოს თვალწინ მედგას სტუდენტებით გარშემორტყმული ბატონი გრიგოლი. იგი მუდამ დაბალ ხმაზე საუბრობდა, დინჯად, აულელებულად. ცდილობდა, დაეფარა თავისი ემოციები, თუმცა თვალებში ნათელი რომ ჩაუდგებოდა და თავისებური თბილი ღიმილი. გადაეფინებოდა სახეზე, მაშინ გასცემდა თავის გულისთქმას.

სანამ სწავლების პროცესი მიმდინარეობდა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სტუდენტებისათვის მაქსიმალური განათლება მიეცა.

დადგებოდა გამოცდის დღე და... ღიმილიანი, თბილი, ამ დროს თითქოს განგებ იუმორით სავსე (სტუდენტებს თავი ცუდად რომ არ ეგონათ) მოვიდოდა, დაჯდებოდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, დიდი მოსავლის მომლოდინე მეზურეს რომ დაეუფლებოდა ხოლმე შემოდგომაზე.

ღიახ, ის თავისი ნაშრომის ნაყოფს მართლაც უხვად იმკიდა.

მახსოვს ერთხელ, რაღაც მიზეზის გამო რომელიღაც ჯგუფმა ბატონ გრიგოლთან გამოცდა გადადო...

ვლადიმერ მინაშვილი. ეს „რაღაც მიზეზი“ დიდი პასუხისმგებლობა იქნებოდა ბატონი გრიგოლის წინაშე.

იუზა ევგენიძე. ალბათ ასეც იყო. მხოლოდ ორმა სტუდენტმა გაბედა. ერთი შრომით სემესტრში მიდიოდ თუ საბჭოთა არმიის რიგებში, კარგად არ მახსოვს. მეორე გოგონა იყო. ჩვენ, მისი მოწაფეები, ვესწრებოდით ამ გამოცდას. დაიწყო ბატონმა გრიგოლმა, ნათელია შეჰყვა მეცხრამეტე საუკუნეს... არა, ეს გამოცდა არ იყო. ეს იყო საუბარი ლექტორსა და სტუდენტს შორის. საუბარი ძალიან საინტერესო, ამაღლებელი, შემოქმედებითი, ამიტომაც არავის უგრძენია, რომ ამ „გამოცდამ“ საკმაოდ დიდხანს გასტანა... დღესაც მახსოვს იმ ქალიშვილის გაბრწყინებული სახე. ასეთ სიხარულს ვერ მიანიჭებს სტუდენტს მხოლოდ „ფრიადი“. დარწმუნებული ვარ, ეს დღე მისი ცხოვრების უღამაზეს დღეთა შორის იქნება. შეიძლება უპირველესიც.



ბრიგოლ კიქნაძე უმცროს კოლეგებთან



ჭუმბერ ჭუმბურიძე. იგი არავისთვის არ იყო მხოლოდ მასწავლებელი. ვინც მას იცნობდა, ყველა სულიერ მოძღვრად თვლიდა. იგი დიდ ზნეობრივ და ინტელექტუალურ ზეგავლენას ახდენდა თავის მოსწავლეებზე, მეგობრებზე.

ვახტანგ გოგუაძე. ამავე დროს, როცა საქმე მეცნიერებას ეხებოდა, ძალიან უკომპრომისო იყო, მაგრამ იმდენად სამართლიანი, რომ არავის არაფერი ეთქმოდა.

ვლადიმერ მინაშვილი. ყველას თავისი შესაძლებლობების მიხედვით უფალისწინებდა ამოცანას და ყველასაგან მოითხოვდა შესაძლებლობების სრულ გამოქვადვებას. ამ მხრივ კი უშეღავათო იყო.

იუზა ევგენიძე. ბატონი გრიგოლის მოსწავლეები მარტო ლიტერატორები როდი არიან. მის მოწაფეებად თვლიან თავს რეჟისორები, მხატვრები, მსახიობები, ჟურნალისტები.

ვახტანგ გოგუაძე. ბატონ გრიგოლს როგორ უყვარდა და სწამდა „ვედრების“ ავტორი. ეს ამ ფილმის შესახებ დაწერილი მისეული მიმოხილვიდანაც ჩანს. და აი, ცდუნებას ვერ ვუძლებ, მინდა გავისსენო |ბარისახოს ერთი საღამო. „ვაჟას ნაკვალევზე“ ტრადიციულად მიმავალი ვაჟას კაბინეტის ექსპედიცია „ვედრების“ გადამღებ ჯგუფს დაემგზავრა ბარისახოს სკოლის ერთ დიდ ოთახში თითქოს ვზედავ და მესმის ბატონი გრიგოლის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო. ირგვლივ სიჩუმე და რიდი. ბატონი თენგიზის მოკრძალებული სახე... წლების შემდეგ რეჟისორმა დიდი სიბოროთი მოიგონა თავისი მასწავლებელი. ბატონი გრიგოლი ერთ-ერთ ინტერვიუში.

ვაჟა ფშაველას შემოქმედების კვლევა ვაჟასათვის არ არის აუცილებელი. ეს ჩვენ გვჭირდება, საზოგადოებას — როგორ უნდა გავიაზროთ ამ ციხე მოვლენილი გენიის აზრი და გრძნობა, როგორ ავინთოთ იგი მომავლის გზაზე. ბატონი გრიგოლის დიდებულ თხზულებებს, რა პრობლემებ-

საც არ უნდა ეტებოდეს იგი, ვაჟას ნათელი აფენია „მონაწიბეა“ „ვედრებიდან“ ამოიზარდა.

ვლადიმერ მინაშვილი. ბატონმა გრიგოლმა მოგვცა თვალსაჩინო მავალითი ერთი მწერლის, ერთი ნაწარმოების მონოგრაფიულ შესწავლის, მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შექმნის, შემოქმედებითი პროცესების შესწავლისა, მიმართულების, ცალკეული მწერლის, ცალკეული ნაწარმოების სტილის შესწავლის ნიმუში, და კიდევ რამდენი რამ.

ჭუმბერ ჭუმბურიძე. კეთილი საქმე არ იკარგება გრიგოლ კიქნაძის რუდუნებით ჩამოყალიბებულ და ფეხდადგულ ვაჟა-ფშაველას კაბინეტში კვლავ ცოცხლობს მის მიერ დანერგული ტრადიციები. 1976 წელს გამოიცა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნი.

იუზა ევგენიძე. ახლა, როცა გარკვეული დროითი მანძილი ძვეს გრიგოლ კიქნაძისა და ჩვენ შორის, აღარც ჩვენ ვართ ყმაწვილურ ასაკში და უკვე სხვა თვალით ვუკვირდებით მის ღვაწლსა და სულიერ მემკვიდრეობას, თამამად ვამბობთ, გრიგოლ კიქნაძემ შექმნა სკოლა. მას ჰყავს მიმდევრები, რომლებიც მხატვრულ მოვლენათა ახსნისას იმარჯვებენ მასწავლებლის ზედვას და მისი გაკვალული გზით მიდიან.

ვახტანგ გოგუაძე. „სულის ამოცლა“ — ცუდზე კარგის თქმა, კარგზე ავისა. სულის შენარჩუნება ამ ძალადობისადმი ურჩობა“. ასე ვგეგმოდვარდა მოძღვარი. ბატონი გრიგოლის ეროვნული კრედი. მისი პიროვნული მავალითი მკაცრად გვიმზერს ყველას, ვინც მის საოცარ სიბოზს ვინაწილებდით.

იუზა ევგენიძე. ჩვენ, ვისაც გვქონდა ბედნიერება, მის გვერდით ვყოფილიყავით, მისი წყალობით ბევრ სიკეთეს ვეზიარეთ. მას მუდამ ჩვენს გვერდით ვგრძნობთ და ვცდილობთ, ისეთნი ვიყოთ, მას რომ გაუხარდებოდა. მას რომ სწამდა!



ვაჟა-ფშაველას კაბინეტში

არავითარი შედეგა. ხათრი-მათრი, მიკერძობა და მიეთ-მოეთი. ეს ღუპავს საჭმელს, ღუპავს სიმატლესა და ძირს უთხრის ჭეშმარიტებას. ღუპავს როგორც პრინციპულ, მიუღებელ, სამართლიან ადამიანს — ვინც დათმო (უპატიოსნოდ მოიქცა) და ღუპავს იმ საჭმელსა და ვისთვისაც დათმე; რაკი, საქმე თუ ადამიანი, შეფასდა შედეგითიანად, მისხალ-მისხალ აუწონავად, უსამართლოდ, ზერელედ და ჰაიპარად, არ დაედო ნამდვილი ფასი, არ მიეზლო ცუდს ცუდი და კარგს — კარგი!

არავითარი შედეგა, ხათრი-მათრი, მიკერძობა და მიეთ-მოეთი. ეს ღუპავს საჭმელს, ღუპავს სიმატლეს და ძირს უთხრის ჭეშმარიტებას, ღუპავს როგორც პრინციპულ, მიუღებელ, სამართლიან ადამიანს — ვინც დათმო (უპატიოსნოდ მოიქცა) და ღუპავს იმ საჭმელსა და ვისთვისაც დათმე; რაკი, საქმე თუ ადამიანი, შეფასდა შედეგითიანად, მისხალ-მისხალ აუწონავად, უსამართლოდ, ზერელედ და ჰაიპარად, არ დაედო ნამდვილი ფასი, არ მიეზლო ცუდს ცუდი და კარგს — კარგი!

არ იყო კახაბერი და დაერქვა კახაბერი! და, თუ ისევ და ისევ უშედეგაოდ, უკომპრომისო სიმატლეს ვინდათ, ესაა დღეს იმ უამრავი უბედურებისა და ქვეყნის დაქცევის თავი და თავი, რომ შავს შავი არ ეწოდებოდა, თეთრს — თეთრი, წითელს — წითელი და ყავისფერს — წაბლისფერი... დიდი თუ პატარა, კერძო თუ საზოგადო, პირადი და საქვეყნო იქიდან იწყება, ყველაფერს, ყოველ წვრილმანსაც კი ერქვას თავისი სახელი. თორემ რა გამოვიდა? დავარქვით შავს თეთრი. თუ მთლად თეთრი არაა, მოთეთრო, ღია ნაცრისფერი, ბაცი, ბნელ... მუქლურჯს, ერთი შეხედვით, თუ კარგად არ დაუვიწყრდი, სიშავეში რომ გადადის — ცისფერი, ცაქასკასა, ცაქასკასა, საკაბადონე, „ლურჯსა ფერს, ცისა ფერს“, პირველადი, საწყისი... მუქმწვანეს (ჭაობის, წუმპის, შმორის ფერი რომ უფრო ეთქმოდ) — ხასხასა, ლორთქი ბალახისფერი, კვირტიდან თავგამოყოფილი ფოთლის სიფრიფანა, გამკვირვალე ზურმუხტი. მერე, სიტყვამ მოიტანა და ზურმუხტს იაგუნდიც მივყავოლეთ და კინაღამ გავალაღისფერეთ, თუმცა, რაღა უკლდა, რაც ლალი, ის იაგუნდი...

ერთი სიტყვით, ქვეყანა — სამშობლო გავიცაფეროთ-ხმელეთურმუხტით და მივღეთ თავი უკრთბალიშე.

არადა, შენ ეძახი თუ არ ეძახი, შავი შავია, ლურჯი-ლურჯი და მწვანე-მწვანე. მით უმეტეს, თუ არ ეძახი, შავი უფრო შავია, მუქი ლურჯიც შავი და მუქი მწვანეც.

ეს რომ ვიცი, ათასჯერ მაქვს ხელი და ენა დამწვარი, თვალი დაბრმავებული და ყური დამდგარი, ფხიზლად ვარ: ვერაფერთარ შედეგათს ვერ ვაკეთებ. შენდობა რომ შენდობაა, იმას ვერ ვწვევ. ფაჩუნ-ფუჩუნის მიყურისძირებაც არ ძალმიძს და ყოველნაირ ხათრი-მათრს მოუკვდა პატრონი!

აგერ, აქვე.. მეზობლად კი არა, მთლად ყურისძირში, კარგა მოზრდილა... მოზრდილი კი არა, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის კაი დიდი ქალაქიც ეთქმის... იქ მივდივართ მე და ოთარი, ბალეტმაისტერი

ვეძებთ... სად ჩვენ და სად ბალეტმაისტერი, მაგრამ ცხოვრება, მოგენსენებათ, რთულია და ათასნაირი უცნაურობებითაა სავსე (ჩვენ რომ „უცნაურს“ ვეჭყვით). ჰოდა, ალბათ, ამ „უცნაურობათა“ გამოა, რომ ვმეგობრობთ ბალეტმაისტერს. ვმეგობრობთ, როცა ცეკვით ხომ არ ვცეკვავთ, თქვენ წარმოიდგინეთ, არც არასოდეს ვმღერით. მე, ყოველ შემთხვევაში, ცეკვითამაშისა და მღერა-მოლხენის არავითარი მიდრეკილება ხომ არ გამაჩნდა და არ გამაჩნია. ამას ისიც ემატება, რომ სამაგისოდ საქმე ვერ მოვახერხებდი, ვერ ვავიცაფიზურ-ხმელეთურმუხტე და, თქვენ წარმოიდგინეთ, როცა საამისო ნიჭის ნიშანწყალი არ გააჩნია, საქმე სატირლად და სათავსაცემოდ გაქვს, რა გეცეკვებ-გემღერებ-გელალობება, როცა, ჩვენ დროში, ნიჭიც რომ გქონდეს, სურვილიცა და მონღომებაც, ვეჭვობ, ხეირიანს რაიმეს თავი მოაბა.

მაგრამ ასე კია და, ვმეგობრობთ ამ ბალეტმაისტერთან. ეტყობა, ისაა მაინც დამთმობი და შედეგითიანი, რომ ჩვენი მისკენ ლტოლვა და სიხლოვე, არცთუ უსიამოვნო გუნებაზე აყენებს.

ის ოჯახაშენებული კი, გაჩენის დღიდან, მგონი, სანამ სიარულს ისწავლიდა — ცეკვავდა. ბავშვობაში ხომ ცეკვავდა, ყრმობისას ცეკვავდა, ჰაბუკობისას სად არ ცეკვავდა, ვინ მოთვლის. მგონი ნახევარი მსოფლიო აქვს მანქანით, მატარებლითა და თვითმფრინავით კი არა, ცეკვით შემოვლილი, თურმე. ვიცი, პოლონეთსა და იაპონიაშიც კი ცეკვავდა. ისე, სატურისტოდ და საგასტროლოდ კი არა, ბარე ორ-ორი თუ სამ-სამი წელიწადი. ახლაც, აგერ, სიჭარბაგეში ფეხმდგმულიც, ცეკვავს კი არა, ფეხებს მიწაზე არ აკარებს. და, ამისთანა კაცს ვმეგობრობთ იმისთანაინი, დაბადებიდან რომ გვიკვირდა და გვიკვირს: ამ ხალხს რა აცეკვებს და ამღერებს, ამის გუნება-განწყობას როგორ ახერხებენ-თქო!

ახალი შეღამებულია. წვიმს, ცა ჩამოდის ფეხად. შემოდგომა ძალაში შედის. დასავლეთის ქარი კი აღარ გვინაივებს, წვიმის წველებს გვიშხაბუნებს.

სასტუმროს კარებთან მილიციელია, მაგრამ არ გვაკავებს. შევდივართ მოსაცდელში თუ მისაღებში და უსტვენს, შიგნიდან მერე, უფრო მომცრო ჩინისა და მოზრდილა მილიციელი გამორბის, ჩვენ არავინ გვეჩხის. მისაღებში ტარაბუადახვეული ხალხი ირევა. ვიკითხეთ. ბალეტმაისტერი სასტუმროში არაა. არადა, გვიყვარს ბალეტმაისტერი, გვენატრება. როგორც კი პირს აქვთ იზამს, იცის ჩვენი ამბავი და, გვატყობინებს: ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილზე ვიქნებით და ვეშურებით. ყოველნაირ გადაუდებელ, მუწუხ საქმეს გადავდებთ და მისკენ ვესწრაფვით. იმ ოჯახაშენებულს არ უკითხავს და არც ჩვენ დაეფიქრებულვართ, რატომ? შენი ახლო ნათესავი არაა და სიყრმის მეგობარი, არ ცეკვავ და არ მღერი (თუმცა, როგორც ვიცი, არც ის მღერის). ბოლოს და

ბოლოს, ხეირიანად არც ის იცი, იმას რა აცეკვებს და მაინც ეძებ, ხვდები, მუსაიფობ, სვამთ ჩაის, ყავას...

და თუ ის ალთასაა და შენ ბალთას, გამოდის, რომ ხათრი გაქვს, პატივი. მაგრამ რისთვის, რისი გულისთვის? ან შენ რა ჯილას იღვამ, რა ქისას ივსებ და, თუნდაც იმის კარგი საქმიდან, რას გამოელი?.. ცეკვისა და ბალეტის ხელოვნებისა რომ რაიმე გავგებოდეს და ამით ესთეტიკურ-მორალურ-ხეობრივ გამდიდრებას ელტვოდე, აგერაა სცენა, მიდი და უყურე. ამ კუნთებადქცეული, მშვენიერი არსებების ტრიალ-ბზრიალის მეტს ვერაფერს ხედავ. შენ თავბრუ გეხვევა, ის ქალი არაფრად ავდებს. აიტაცებს ეს ჯეირანივით მოჭირითე კაცი ხელში, უხარია, ცეკვავს და ცეკვავს.

ამისთანა ბედნიერებას რომ გაღირსა, იცეკვებ კი არა, იმღერებ კიდევ. ის არ მღერის. შენ აგერ, დარბაზში, ფიანდახზე ვერ გაგვივლია, ის ქალი მიწაზე ტერფდაუდგმელად დალივლივებს და იმის შიში გკლავს, კარი ღიად არ დატოვონ, ქარმა არ შემოუბეროს (ჩვენში ნამეტანი ხშირი და ძლიერი ქარი იცის), არ აიტაცოს და წაიღოს. არ დასაჯოს ღმერთმა: მიწაზე მაინც ფეხს არ აკარებდი და ბარემ ცაში ავაფრენ, აგერ, ღრუბლებზე იგომანეო. და, ამდენი თითის წვერებზე შემდგარი კაფანდარა მზეთუნახავების ყურებით, იმ ღამეს ღოგინში ცერა თითი გტენავს, კომპარები გაწამებს. მთელი ღამე გეხვევიან თეთრფრთხიანი ამურები და გიშენენ შხამში ნაწრთობ ისრებს.

ბალეტმაისტერი შენს გაჭირვებას რას უშედეგათებს, რა დაგრჩენია იმ კაცთან და რას ეძებ?

მიუწვდომელია პოტინის უბედურება? თუ შეუცნობლის შეცნობის წყურვილი? ადამიანისა და კოსმოსის არ იყო, რას ეძებ ამ ცაში. ცისა რამდენი მეტი გავიგეთ, იმდენი დავიბენით და დავიკარგეთ, რამდენი შორეული ვარსკვლავი დავიანახეთ და სახელი დავარქვით, იმდენი უფრო შორეული ათასი უსახელო გავვიჩნდა დასანახავი. და, ღმერთმა დაგვიფაროს, ის ათასი რომ დავინახოთ და მოვინათლოთ, რამდენი ასი ათასი გავვიჩნდება თავსატეხი და თავსამტკრევი.

შედეგითი, დათმობა, კომპრომისი თუ სირცხვილი და სინდისის ქენჯნა იმისა, რომ უფიცი ხარ, რეგენი, ბნელი. რიოში... რომ ის შენთვისაა და შენ არა ხარ მისთვის, რომ შენ მას უყვარხარ და შენ არ გიყვარს შენი თავი. ის მთელი სიცოცხლე ცდილობს შენს გაადამიანურებას და შენ, ღორის თავივით, ტალახში მიგორავ. ის კაცი წლებზე ფეხს (უფრო სწორად, თითის წვერებს) იღვამს, რომ მიწას მიჯავუული მაქალაქუნა, სიმამლისაგან რომ ბოყინებ და ქონმორეული ძლივს დაბაჯბაჯებ — აგამჩატოს, აგამსუბუქოს და ფრენა გასწავლოს: გაზულუქებულ, გარყვნილ, გამტყვარალ მონას თავისუფლების ქარი დატყროლოს და ყოფნა-არყოფნა, კაი სმა-ჭამა, კაი ჩაცმა-დახურვა, ბუნავის

საღმრთაო სიჭაბუკეობა



მოწყობა, ძილი და განცხრომა რომ გგონია, შეგაგნებინოს, უბედური ხარ, შთაგგონოს, რომ ადამიანად გაჩნდი და ცხოველად კვდები, მეტყველად იშვი და პირუტყვად აპირებ ამქვეყნიდან წასვლას. თვალი ცისკენ უნდა გეჭიროს და მიწაში მიძვრები. ამიტომ ვეძებთ ამ თავსხმაში ბალეტ-მაისტერს მე და ოთარი? თუ კიდევ სხვა საქმე გვაქვს? სხვა რაიმე პირადული, სამსახურებრივი, ან საზოგადოებრივი გვაკავშირებს? რალაც, არა მგონია. არა, არა, ღმერთი და რჯული, სხვა არაფერი.

მოვიდა ჩემთან ოთარი, ჭიშკრიდან სახლამდე კინადამ დასველებულა, და მეუბნება:

— რა გითხრა, იცი? — იღიმება. ოთარმა სხვადასხვანაირი ღიმილი იცის: თუ მართლა რაიმე უხარია, მაშინ გულისხმიერი, გულღია, გულწრფელი. თუ არადა, გულადრენილი, სევდიანი, ნატყენი... თუ ესენი არა: შემპარავი, დამცინავი, გამჭირდავი, ქილიკა... თუ ესენიც არა: სანდომიანი, ნდომიანი, ვნებიანი, მღვრიე, სავნო (ვისზეც იცინის), მზაკვრული, ცუდლუტი, საჩოთირო, მწუთხე, პილპილიანი, ნივრიანი, მწკლარტე. საერთოდ, რამდენნაირი ღიმილიცაა, იმდენნაირი. ახლა გუნებებერად იღიმება და ჩაგუდული ხითხითიც ჩაურთო.

— რალაცა კი ამბავი იცი, გეტყობა.

— აბა, კაცო, ჩვენი ის... ბალეტმაისტერი ჩამოსულა!

— ეუპ, რას მეუბნები... უნდა წავიდეთ აბა!..

— მერე, მე რაიზა ვარ მოსული!

ახლა ესაა პირველი საქმე, აღარც პირის გაპარსვის დროა, არც ჭამა-სმის...

ამინდს ხომ არავინ უყურებს და უყურებს.

ვდურთეთ თავი ამ თავსხმაში და გავრბივართ. ვაჩქარებთ ვაჟას (ოთარის შოფერი, ჩემი „კოლეგა“). მივასკდით სასტუმროს და, ქე გითხარით, არაა. ბარემ აქვე ვართ და ოპერაში უნდა ვიკითხოთ (სასტუმროსა და საოპერო თეატრს შორის თექვსმეტი ნაბიჯია). უნდა ვიკითხოთ, თორემ ახლა იქ რომ აღარ იქნება, ხომ იცით. სპექტაკლი დაწყებული თუ იქნება და თუ არა. თეატრის კარი ღრჭოდაა შედებული, შედი-გამოდი, კაცი დამშლელი არაა. ასეც უნდა იყოს, თუ კინო და თეატრი ხალხისთვისაა, თოფიანი დარაჯი ხალხისაგან რატომ უნდა იცავდეს. ხალხი მის საკუთრებას როგორც უნდა, ისე უნდა იზმარდეს. ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ ფოიეშიც რომ აღარავინაა?!

აღარავინაა, მაგრამ არც უნდა იყოს, ეტყობა, წარმოდგენა დაიწყო და აქ რა უნდათ? აქ სალაკობო-საჭორაოდ კი არავინ მოსულა, ოპერის მოსასმენად მოაშურეს. დადგნენ და შენ გელოდონ?... შენ, მეგობრის საქმერად რომ არა, აქეთ პირის ქნასაც არ აპირებდი.

კი, გამოჩნდა ვილაც, თუ, ჩვენ მივედით მეგარდერობესთან... მეგარდერობე და გარდერობი — თავის საკიდებიან-ნომრები-

ანად, კი ბატონო, მაგრამ რაიმე საწვიმარი ლაბადა ან მოსასხამი რომ არსად ჩანს?! რაშია საქმე, ამ კოკისპირულში. კი. პალტო და ქურქი ჯერ ადრე, მაგრამ რალაცა... ქოლგა მაინც... მართალია, კულტურულ კაცს ხელოვნება წვიმისაგანაც იფარავს, ქარისაგანაც და ყინვისაგანაც. ის კი არადა, შიმშილის, წყურვილისა და ავადმყოფობისაგან.

ვიკითხეთ მეგობარი ბალეტმაისტერი. — გუშინ იყო, კიო, — დიდხანს არ უფიქრიათ, ისე გვითხრეს. მერე, მეგარდერობეზე უფრო ახალგაზრდა, ჯერ კიდევ თვალწრებ-წამწამ გაუხუნარი ქალიშვილი — ქალბატონი, ადმინისტრატორი თუ... როცა ადმინისტრატორი არაა, მაშინ ადმინისტრატორობს... ეს არაა ჩვენი საქმე. საქმე ისაა, ყურადღებიანი ქალია და გვეუბნება: — ბალეტმაისტერი დღესაც იყო.

ღირექტორი უნდა ვნახოთ. ყოველთვის, დილიდან საღამომდე აქაა, მაგრამ დღეს შეუძლოდ ყოფილა და ახლახან სახლში წასულა. დავრეკეთ: — ბალეტმაისტერს დღისით რეპეტიციები აქვს, მაგრამ, შეიძლება, ახლაც მინდ იყოსო... კულისებშიც არსად ჩანს.

დარბაზში გვინდა შევიხედოთ.

სპექტაკლი დაწყებულია.

„დაისი“ გადის.

„დაისი“, სმენა ჰქონია თუ არა, რომელ ქართველს არ მოუხმენია და როდის არ გინდა, ისევ და ისევ მოისმინო, მაგრამ დაწყებულია და ახლა დარბაზის კარის შეღება, სმენადქცეული მსმენელ-მაყურებლის მყურდობის დარღვევა როგორი საქმეა!

ერთი რომ კარგად გამოგლანდღონ, ახი არაა?

ამ თავსხმაში კი არა, კარგ, სასიერო ამინდშიც ავერ, ქალაქის შუაგულში, განთქმული ბალის კარიბჭესთან საოპერო თეატრია, გულგრილად ვინ ჩაუვლის და ახლა, ალბათ, მაყურებლებში ნემსი არ ჩავარდება! მე შენ გეტყვი, დღეს მუსიკალური სკოლები არა გვაქვს და მუსიკალურად გაუნათლებელი ვინმე რჩება?!

მუსიკალური განათლება, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ყველამ სცენაზე იმღეროს, ან დაუკრას, მაგრამ გემოვნებიან, ხელოვნების ავ-კარგის მცოდნეს ხომ ნიშნავს. აბა, რად გვინდა მუსიკალური სკოლები, ტექნიკუმები და კონსერვატორია დასწრებულ-დაუსწრებელი... ამის გამოცაა, ალბათ, რომ ამისთანა უგეთაში ლაბადა, ქოლგა და საწვიმარიც კი არავის გახსენებია.

— ბოდიში, დიდი ბოდიში, ვიცი... ვინ არ იცის, დამნაშავე ვართ. უპატიებელი ცოდვა მიგვიძღვის. დავავიანეთ, ავაწრი-ალეთ. კიდევ და კიდევ ბოდიში, მაგრამ ბილეთი... იქნებ ორი-სამი ბილეთი, რაიმე სასწაულით გადავირჩიოთ.

— ბილეთი, არა, ბატონო. ბილეთი, რომც არ დაგეგვიანებინათ, მაინც სად იყო.

— ჰო, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა.

— მაგრამ, მობრძანდით.

— რაიმეს გავვიჩერებთ?! სკამის ჩადგმაც არ გვინდა, თუ შეიძლება... იქვე. კართან, კედელზე ვეყუდებით.

— რავე გეკადრებთ, დაყუდება კი არა...

— ავაშენა ღმერთმა, ბედი მომეცი და სანებველაზე დამავდეთ, ამაზე უთქვამს ჩვენ ბრძენ ხალხს.

შეყავით თავი და... თქვენს მტერსა და ორგულს!..

არ ვიცი, ჩვენ სიბნელეს რომ თვალში-უჩვეველი ვართ, არ ვიცი, რომ გვინდა ერთი-ორი სკამი მაინც ცარიელი იყოს, გვეჩვენება!.. ამოდენა დარბაზში კაციშვილი არ ჩანს!..

სცენა გატენილია ხალხით, პარტერში კი ჩახვერდებული სავარძლები ცარიელია.

ეს ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად წარმოდგენილი!

ამას, ჩაბნელებულ დარბაზში კი არა, გაჩახახახებულშიაც თვალს არ დაუჯერებ. თუმცა, გაგონილს თვალთ ნანახი ჯობია, მაგრამ ამის თვალთ ნახვას კი არა, ყურმოკრულად გაგონებასაც არავის ვუსურვებ.

გრიანებს ორკესტრი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და გუგუნებს გუნდი: საკმაოდ მოზრდილა სცენაზე ტივა არაა. მოთქვამს მარო, ოხრავს მალხაზი: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერიო!“ კიაზო იხვეწება: „დამისხით, დამალეკინეთ, ეღვინო ოხერ-ტიალი, ეგება წაღმა ვიფიქრო სოფლის უკულმა ტრიალი!“

...ამას ჩვენი ვნატრობთ, რალაც იმისთანა დაგვალეკინა და დაგვემართა, რომ ბედის უკულმართობით დაცარიელებული დარბაზი მაყურებლით გაქედილი „გვაფიქრებინა“. მაგრამ მეტი არაა ჩვენი მოავე და დამაწყევარი, მაყურებლის ჭაჭანება არაა!

„სულო, ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად!..“

მიდის ოპერა, მიგრიანებს...

საღლაც, ევერ, ე!.. განაკიდეში, გასაქცევად შეწკიპული ხუთი, ექვსი, შვიდი... ათიოდე. აქეთ — ხუთი-ექვსი... სულ თხუთმეტი და ჩვენ — სამი... სულ ესაა სცენაზე საშოცდაათი-ოთხმოცი მომღერალ-მოცეკვავისა და ქვევით, ორმოში მთელი ორკესტრის მსმენელ-მაყურებელი. ეს პირვერ მოქმედებაზე, თორემ მეორეზე, იმ „გასაქცევად შეწკიპულესაც“ უშველიათ თავისთვის და ვზივართ უკვე იმ თექვსმეტის ნახევარი...

მთავრდება სპექტაკლი. სცენაზე მალხაზი ავღია გულგანგმირული და დასტორის სოფელ-ქვეყანა. აქეთ ჩვენ ვიციმთ შუბლში გაშლილ ხელს და ვუკრავთ ტაშს. ვუკრავთ უშეღავათოდ, უკომპრომისოდ, უსაშველოდ, მკლავმოუღლეად, თავდაუზოგავად, თავგანწირულად. მაგრამ, ხუთასი-ათასი მაყურებლის მაგივრობას ათიოდე კაცი როგორ შეძლებს?! ვყვირით: ვაშა, ბრავო, ყოჩაღ, ბარაქალა, ბისს! ვამხნევებთ, ვაქებთ, ვადიდებთ ახალ ხელოვნებას. ჯერ არნახულს, არგაგონილ მსახიობებს, მომღერლებს, მოცეკვავებს, უახ-

ლეს თეატრს, კაციშვილს რომ არ მოსწრებია, უმაყურებლო წარმოდგენას, უმსმენელო მომღერალს, უმნახველო სანახაობას, ჩახვევრდებული სავარძლების, ლოყებისა და იარუსების წინაშე „პაკლონი“, ვაშა ახალ მიგნებას, ახალ აღმოჩენას, უახლეს ხელოვნებას!

სპექტაკლი როგორი იყო, ვერ გეტყვით, ამის ავტორებისა ჩვენ არაფერი გაგვეგება. დილექტანტებს კი არა, ალბათ, კი მაგარ-მაგარ სპეციალისტებსაც გაუჭირდებათ რაიმე მნიშვნელოვანის თქმა ამაზე, როგორც, საერთოდ, ყოველნაირი ახლის, მით უმეტეს, უახლესის მიმართ ხდება, ალბათ, აზრების გაყოფა. გამომჩნდება მოწინააღმდეგენი და მომხრეები. ხელალებით უარყოფენ და ერთბაშად მხარდამკვირნი, საშუალონიც, რა თქმა უნდა, რომ არ მოსწონთ და ამავე დროს მოსწონთ კიდევ — ემბრობიან და იმავე დროს მხარს რომ არ უჭერენ... უთუოდ კონსერვატორებიც (რაკი ეს ჩვენი დიდებული ქალაქი ინდუსტრიულია და სხვა უამრავ ქარხნებს შორის, საკონსერვო ქარხანაცა) და დაიჩემებენ: სანახაობას მნახველი უნდა ჰყავდესო, უმსმენელო ოპერა და უმაყურებლო თეატრი არ გაგვივინაო, უწიგნური განათლებული არ გვინახავსო და მუსიკის არაფერი გაეგებოდეს, ისეთი მუსიკოსიო, ცუდ ლექსებს წერდეს და კარგი პოეტი იყოსო. მაგრამ კონსერვატორი რისი კონსერვატორია, ამ სიძველის, დამყაყებულისა და დრომოჭმულის არემოჭმულებს ახლისა და, მით უმეტეს, უახლესისას რას გააგებინებ? საშუალონი — კონსერვატორ-ნოვატორები, როგორც სჩვევიათ, გაიქეცებიან: გაბზარულს გატეხილი არ ჯობიაო! მაყურებელიც უნდა იყოს, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა აუცილებელია? თუ დასაწყისში არა, ბოლოს „პაკლონიზე“ მინც საჭიროა, აბა, ფარდა რომ იხურება და იღება, იხურება და იღება, რისთვის და ვისთვისა?!

მაგრამ ღმერთმა დალოცა სიახლის მომხრე — ძველი, დახვეწილი წინააღმდეგ მებრძოლი კაციშვილი. ისინი, დარწმუნებული ვარ, ორივე ხელით აიტაცებენ ამ უახლეს წამოწყებას და ქვეყნიერებას მოჰფენენ. სადღაა, ახლა, თეატრში და ოპერაში მოსიარულე საზოგადოება? მაგის დრო ან სურვილი ვიღასა აქვს. თეატრში, მოდური ქუდი რომ შეუგდო, აღარავინ შევა, ოპერის წინ პაემანსაც აღარავინ ნიშნავსო...

და, რომ გვგონია ხელოვნება განწირულია მწმალთაგან-თქო! ღმერთი მოწყალეა, შემოქმედებითმა ნიჭმა და დაუცხრომელმა ძიებამ თავისი გაიტანა. ვაშა, უახლეს საკაცობრიო მონაპოვარს, რომლის აკვანი დაირწა უმაყურებლო და უმსმენელო თეატრში. ვაშა ყრუ მუსიკოსს და წიგნს რომ არ ვადაშლის, ისეთ მკითხველს. ვაშა მომღერალს — კაციშვილი რომ არ უსმენს და მღერის და მღერის. ვაშა პოეტს, არავის რომ არ ეყურება და ლექსებს კითხულობს და კითხულობს. ვაშა მწერალს, მის წიგნს რომ არავინ გადაფურცლავს და სქელტანიან რომანებს წერს და წერს. ძირს კონსერვატიზმი (საკონსერვო ქარხანას, ლითოფონის და, მით უმეტეს, ავტომატობისა ეს არ ეხება), ძველი, დრომოჭმული და დახვეწილი. ვაშა, სიახლესა და პროგრესს.

ვითომ, იყო აზრი, რომ ხელოვნებას ხალხი ქმნისო. ვითომ, როგორც ერიო. ისეთი ბერიო; ხალხს როგორი მეფეცა ჰყავს, იმის ღირსიაო. ვითომ, ქვეყანა რა კულტურის პატრონიცაა, ისეთი ხელოვნე-

გაზეთ „კავკასი“ ეთნოგრაფიული კვლევების მიხედვით

მე-19 საუკუნეში თბილისში რამდენიმე გაზეთი გამოდიოდა რუსულ ენაზე, რომლებიც სისტემატურად აქვეყნებდნენ მასალებს კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრების, მათი სულიერი კულტურის შესახებ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გაზეთი „კავკასი“ (დაარსდა 1846 წელს, იარსება 1918 წლამდე), რომელმაც ამ ხნის მანძილზე არა ერთი წერილი უძღვნა საქართველოს მთიანეთს, როგორც ამ დროისათვის ნაკლებ შესწავლილს, განსაკუთრებით კი სვანეთს.

როგორც ირვევა, უწინარეს ყოვლისა, გაზეთი სვანების წარმომავლობით დაინტერესებულა, რადგან პირველივე ნომრებში (1846 წ. № 44) გაჩნდა შახოვსკოის და ნემიროვიჩ-დანჩენკოს ვრცელი წერილი „სვანეთი“, რაც მეტად საგულისხმო ფაქტია. საგულისხმო იმიტომაც, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული პროგრამა (შემუშავდა 1848 წელს) რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ, თუ როგორ უნდა შეესწავლათ რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები ეთნოგრაფიულად. გაზეთი კი ამას უკვე ცდილობს. სვანთა წარმომავლობის შესახებ ამ პუბლიკაციაში ვკითხულობთ:

„თუ ქართველ მემკვიდრეებს დაეუჭერებთ, მაშინ სვანეთი თავის დასახლებას უნდა უმადლოდეს ფარნავაზის შვილს საურმაგს, რომელიც ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე საქართველოდან თავისი ამალით გამოქცეულა. ჯერ ოსეთში, სოფელ ძურძუკეთში, შემდეგ უფრო შორს, მთებისაკენ გა-

ხიზნულა და თავი შეუფარებია ენგურის სთავეებისათვის. ადგილი, სადაც ადამიანი თავს უშიშრად გრძნობს, ქართულად სვანედ იწოდება. ეს კი ჩვენს დრომდე შეიძლება შეცვლილიყო სვანედ, როგორც ისინი თავის თავს უწოდებენ“.

ამავე აზრისაა სვანეთის შესახებ ქრონოლოგიურად მეორე წერილი ლობანოვ-როსტოვსკისა „სვანეთი“: სვანეთი სიტყვა „სვანედან“ — თავშესაფრიდან მოდისო, — აღნიშნავს იგი.

უფრო არსებითად ეხება ამ საკითხს დიმიტრი ბაქრაძე თავის მრავალმხრივ საინტერესო წერილში — „სვანეთი“.

— ზოგიერთის აზრით, — აღნიშნავს იგი, — სვანები წარმოშობილი არიან ქართული ძირისაგან. ამ აზრს იზიარებენ მე-17 საუკუნის მწერლები, იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, შარდენი, მე-18 საუკუნის მწერალი გიულდენშტედტი. ახალთაგან კლაპროტი, დიუბუა, დე-მონპერე. ჩვენ მხარს ვუჭერთ პირველ მოსაზრებას. სახელწოდება სონი-ცონი ქართული ჰანისაგან წარმოსდგება (იგივე ლაზები, იგივე მეგრელები). სვანები ზანები არიან, იგივე მეგრელები... ენა არის ქართულის მონათესავე, სიტყვა სვანეთი — სვანეთი ნიშნავს თავშესაფარს. სახელები ძალიან ჰგავს მეგრელებისას, ეს იგრძნობა ადამიანების სახელებშიც და ეკლესიებზე, ხეებზე, ფრესკებზე წარწერებშიც და ა. შ.

ილია მამაცაშვილი თავის „ჩანაწერებში სვანეთზე“ ძირითადად იზიარებს წინამორბედთა მიერ გამოთქმულ აზრს:

— ქართველ ქამთაღმწერელთა სიტყვით, — წერს იგი, — სვანები გადმოსახლებული არიან დღე-

ბა აქეთო და ვინ მოთვლის, დღემდე რომ ჰქმნარიტებად მიიჩნიათ, რამდენი ამისთანა... ისეთი მოსაზრებაც არსებობდა, ვითომ იტალიელები როცა მხატვრობის შედეგებს ქმნიდნენ, იქაური გლეხებიც კი ხატავდნენ და ბაზრებში ნახატები ურმებით მიჰქონდათ გასაყიდად, რომ იტალიელი ქუდს უხდიდა ღმერთებისა და მხატვრების სახლს. თითქოს, ის დიდი გემოვნება და ხელოვნებისადმი ღვთიური მოწიფება ქმნიდა იმ უზარმაზარ, ხელთუქმნელ ტილოებსა და ქანდაკებებს...

სულ ტყუილი გამოდგა. აგერ, ჩვენ, არათუ ვხატავთ, ვმღერით ან ვკითხულობთ, ზედაც არ ვუყურებთ და კიტრად არ ვაგდებთ, მაინც ახალს, უახლესსა და კაცის ყურისაგან გაუგონარ ხელოვნებას ვქმნით...

რა თქმა უნდა, ბალეტმაისტერი ვეღარ ვნახეთ. არადა, ამ ახალი წამოწყების შემდეგ, ერთი სული გვქონდა, გავვეგო, ამ უახლეს-უმაყურებლო სპექტაკლს რა ხერხებითა და რა მანქანებით დგამდა, მაგრამ, ალბათ, არც ის დღეა შორს, რომ მაგასაც ვნახავთ.


თუმცა... მოიცა, მოიცა!.. ჩვენ, ეტყობა, ისევ იმ კონსერვატორობიდან თავის დახსნას არ ვაპირებთ. როგორ ვნახავთ, თუ მაყურებლისათვის არ იღვმება? რაღა ახალი იქნება, თუ დარბაზი, ხალხით აავსე, მიაყენე და ტაში აკრევინი?!. ეგ ხომ ისევ ძველი და დრომოჭმულია.

აბა, როგორ? ბილეთებს შევიძენთ და არ ვნახავთ?.. თეატრში სულ აღარ შევიხედავთ?.. მაშინ, თეატრი რაღად გვიჩნდება?.. თეატრი მაინც გვექნება? ალბათ, რაკი უთეატრო ქვეყანაა, რა ქვეყანაა! გვექნება, მაგრამ არ ვივლით და ისე ვიქნებით კულტურულნი? მუსიკალურ განათლებას მივიღებთ, მუსიკას დავწერთ, შევასრულებთ, ვიმღერებთ, ვიცეკვებთ, მაგრამ არავინ მოისმენს და არ დაინახავს? გვეყვოდნენ პოეტები, მწერლები (საჭიროზე მეტაც კი). ვავაკრიტიკებთ (კრიტიკოსებიც გვეყოლება!). ვაგინებთ, ვაქებთ, როგორც მოგვეპოიანება, მაგრამ წიგნში ჩახედვა, წაკითხვა და ამისთანა მოძველებულ-დრომოჭმულმა კირი მოგვცემა?..

ერთი სიტყვით, სულ ერთიანად დავიბენით, მაგრამ, მოგესხნებათ, ყოველი სიახლე იმიტომაცა სიახლე, ასე ძველივით და ყავლგასულივით სისხლ-ხორცეული ვერ იქნება, მაგრამ ამიტომ ხელი არ უნდა ჰკრა და კარები არ უნდა დაუგმანო...

მოვდივართ, შენ ხარ ჩემი ბატონი. ისევ წვიმს, მანქანის სახურავზე მსხვილი წვეთები მუსიკას უკრავენ და ჩვენ... რომ იცის ზოგჯერ რაღაც სიტყვა, ფრაზა ან მოტივი აგვეკვიტება და ვერაფრით მოიშორებ, წვიმის სიმფონიას ვაყოლებთ:

„სულთ, ბოროტო, ვინ მოვიხმო ჩემად წინამძღვრად?!“



ვანდელ სამშობლოში ძურძუკეთიდან, პირველი ქართველი მეფის ფარნაოზის შვილის საურმაგის დროს 253 წელს ქრისტეს წინ. ეს ქვეყანა უძველესი დროიდან შედიოდა ქართველთა სამეფოში, მისი გაბეჭდვები იყვნენ ხან სამეგრელოს მთავრები, ხან ერისთავები, რომლებსაც ქართველი მეფეები ნიშნავდნენ.

ეტიმოლოგიურად ი. მამაცაშვილი ასე ხსნის სვანეთს: „თავის სამშობლოს სვანები უწოდებენ — „შვანი“-ს, რაც ნიშნავს „შუანის“ ე. ი. შუას. ამ ქართული სიტყვისაგან წარმოსდგა სახელწოდება სვანეთი ანუ სვანეთი“. ამასთან იგი კატეგორიულად იმ აზრისაა, რომ სვანები იგივე ქართველები არიან. „საიდან არიან წარმოშობით სვანები? — კითხულობს. ჩვენი აზრით, ისინი ქართველები არიან წარმოშობით. ამაში ჩვენ გვარწმუნებს 1. თვით სვანთა ფიზიონომია, 2. ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც ძალიან ჰგავს ასეთსავე ჩვეულებებს ქართველებისას. 3. სოფელთა უმრავლესობას ქართული სახელები ჰქვია და ბოლოს ყველა გვარი ქართული წარმოშობისაა, მაგრამ ყველაზე მთავარი საბუთი ჩვენი თვალსაზრისისა არის ენა, რომლის ძირი იგივე ქართულია“.

ილია მამაცაშვილის მოსაზრებას „შვანის“ შესახებ იზიარებს გამრეკელოვიც თავის საინტერესო სტატიაში „სვანეთი თავის წარსულში“. ის აღნიშნავს:

— სიტყვა სვანეთი — შვანი, შუანი, შუაში-დან მოდისო. ამასთან მოჰყავს ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებაც — „სვანეთი“ თავშესაფარიო. როცა საურმაგი, საქართველოს მეორე მეფე ძვ. წ. ა. 253 წელს გადასახლდა ძურძუკეთიდან, დაერქვა სვანეთიო.

როგორც ზემოთაც, დიმიტრი ბაქრაძესთან და ასევე ილია მამაცაშვილთან აღინიშნა, ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სვანთა ქართველობის დადასტურებაში. დიმიტრი ბაქრაძე, მაგალითად, უფრო აკონკრეტებს თავის თვალსაზრისს და მიაჩნია, რომ — შემოსვანური ენა ქართველურსა ჰგავს, ქვემო — სვანური — მეგრულსო“. ამისვე წერს, სხვათა შორის, ანონიმი ავტორი 1891 წელს: „ენა ჰგავს მეგრულს, ერთი წარმომავლობისა აქვთ სახელები და გვარებიო...“ უნდა ითქვას, რომ ენის საკითხი არც თავიდან ყოფილა საკამათო, ლობანოვ-როსტოვსკის ერთ-ერთ პირველ პუბლიკაციაში იგივე აზრია გამოთქმული.

საბოლოოდ, თუ თვალს გადავავლებთ ამ საკითხზე აზრის განვითარებას, დავინახავთ, რომ ჯერ კიდევ პირველ წერილში სვანთა დღესასწაულები დაუკავშირებს საურმაგის პერიოდს, აქვე იხსენიება სოფელი ძურძუკეთი, რომლის გამოვლითაც გადმოსულან სვანები ენგურის სათავეებში და, რაც მთავარია, ჩნდება სვანეთის ეტიმოლოგიური ახსნა, რასაც მეორე ავტორი ლობანოვ-როსტოვსკიც იზიარებს.

დიმიტრი ბაქრაძე კიდევ უფრო ამდებარებს სვანთა წარმოშობის საკითხს, ქართულ ძირს უკავშირებს სვანთა წარმომავლობას, ენის საკითხსაც ეხება და, ქართველურად მიაჩნია იგი. ამასთან დამატებითი არგუმენტაციაც მოაქვს თავისი თვალსაზრისის ნათელსაყოფად: სონი — ცონი ჰანისაგან ნაწარმოებად მიაჩნია, თუმცა არც სვანეთ-სვანეთის ერთიანობის შესაძლებლობას უარყოფს. მეორე მხრივ, სწავლულთა და მეცნიერთა ავტორიტეტსაც იშველიებს, რომელთაც სვანების ქართველობაში ეჭვი არ ეპარებათ.

ილია მამაცაშვილი თავის მხრივ კიდევ უფრო აზუსტებს სვანთა გადმოსვლების თარიღს. ამასთან აყენებს ახალ ვერსიას სვანეთის ეტიმოლოგიისათვის, შუანეთ-შვანეთ-სვანეთის გარდაქმნის გზით და საკუთარ არგუმენტებსაც გვთავაზობს სვანების ქართველობის დასადასტურებლად.

ილია მამაცაშვილის შუანი-შვანის ამოხსნას იზიარებს გამრეკელოვიც, თანაც ახალ მოსაზრებებს სთავაზობს მკითხველს ცანნი — სუანნი-დან მომდინარეობის შესახებ, რაც მისი აზრით, ზეცასთან სიახლოვეს უნდა აღნიშნავდეს.

წერილის ავტორი აფართოვებს კვლევის არეალს და, სხვა ავტორთა მოწვევებით, პარალელურს პო-

ულობს ეგვიპტესთან, საიდანაც ირკვევა, რომ როგორც ეგვიპტეში, ისე საქართველოში, სასაზღვრო ციხე-სიმაგრეს ანუ კოშკებს-სუან ერქვა.

სტრაბონის მოწვევებით ასევე უცხოეთთან კავშირში განიხილავს სუანეთს განიცი.

ამრიგად, თუ ზემოთაქვამს შევაჯამებთ, მივიღებთ გავით „კავკაზის“ ფურცლებზე სვანთა წარმომავლობის შესახებ გამთქმულ შემდეგ თვალსაზრისს:

სვანები არიან ქართველთა მოდგმის ხალხი. განსახლებულან დღევანდელ ტერიტორიაზე ძვ. წ. 253 წელს.

სვანთა ენა ქართველურია. სვანეთი წარმომდგარია ან სვანეთიდან, ან შუანი-დან, ან სასანი-დან და უცხოური სუანიდან.

სვანების წარმომავლობისა და ენის კვლევასთან ერთად დიდ ინტერესს იჩენს გავით „კავკაზი“ მათი გარეგნობის, ხასიათის მიმართაც, ვინაიდან ეს ნიშნებიც გარკვეულ მასალას იძლევიან ამ ეთნოგრაფიული ჯგუფის შესასწავლად. ვერ ვიტყვი, რომ ყველა მოგზაურ-მკვლევართა აზრი ერთმანეთს ემთხვეოდეს ამ საკითხში. შახოვსკი და ნემიროვიჩი-დანჩენკო, მაგალითად, სვანებს ასე ახასიათებდნენ:

— სვანები ბუნებით დაჯილდოებულნი არიან მძლავრი აღნაგობით, მაღალი ტანით, კარგი გონებრივი შესაძლებლობებით, აზროვნებენ სილად, სიტყვა უჭრით, არიან სტუმართმოყვარენი, პატიოსანნი, ამყენი, სიტყვისა და ფიცის ერთგულნი, ამასთან, შურისმაძიებელნი, გულჩათხრობილნი, უკიდურესობაშიც ცრუმორწმუნენი.

მაღალ შეფასებას აძლევენ ეს ავტორები სვანების ფიზიკურ მომზადებას:

— სვანი მოუღელვლად დადის სხვისთვის გაუვალ ადგილებში 70 ვერსს დღე-ღამის მანძილზე. მხარზე გაუდვია უზარმაზარი საპალნე და არც კავკასიონის ღრმა თოვლი და არც საშინელი უღესკალები, გზას რომ უღობავდენ, არ არის მისთვის დაბრკოლება. ისევე მსუბუქედ და უშიშრად გადაეცლება მათ, თითქოს საკუთარ ეზოში იყოს. შეუძლია ლუქმა არ ჩაიღოს პირში 2-3 დღის განმავლობაში, და შეუძლია ერთ დაჯდომაზე სამი დღის უღუფაც შემუხროს...

ლობანოვ-როსტოვსკის დაკვირვებით სვანები წვერს არ იბარსავენ. აქვთ უღვაში, გრძელი თმა, მრგვალი შემოჭირლი... არიან საუკეთესო მონადირენი და მსროლენი... რაც შეეხება ქალებს, მისი აზრით, სვანი „ქალები არ გამოირჩევიან სილამაზით, მაგრამ მარჯვენი და ძლიერები არიან“.

სხვა თვალთ შეუხედავს მისსუროვს (მისსურაძეს) სვანებისათვის.

— სვანები შესახედავად არიან მალღები, — წერს იგი, — ბრგენი, ტანადნი... სიმსუქენე მათში სიმახინჯედ ითვლება. სვან ქალს აქვს თვალთ ცისფერი, თმა ქერა, ზოგჯერ წაბლისფერი, ცხვირი გრძელი, კენის გარეშე, ტანით არ არიან მალღები, მაგრამ არიან სავსენი, მაღალი მკერდით, ტანკენარნი და აქვთ პატარა ფეხები.

დიმიტრი ბაქრაძე გარეგნობითაც ანსხვავებს ზემო და ქვემო სვანებს.

— სათავადო სვანეთში, წერს იგი, — შავკვრემანი ხალხია, შედარებით რბილი ხასიათის, ზემო სვანეთში თეთრი ხალხი, უფრო მკაცრნი. მათ არ იციან, რა არის ციხე-ცხენება, სახე აქვთ ჯანსაღი. არ იციან, რა არის ქოლერა, სამაგიეროდ გავრცელებულია ჩიყვი, რაც შეიძლება წყლის ან ჰაერის ბრალიც იყოს... გარეგნობით, — განაგრძობს მკვლევარი, — სვანები ჰგვანან ხევსურებს, ფშავლებს, მთიულებს, ტანით არიან მაღალნი, აქვთ სალი აზროვნება, სვანი სიტყვაძუნწია...

ანონიმი ავტორის აზრით კი, სვანები არიან მკაცრნი, თავისნათქვამნი, არავის არაფერს შეარჩენენ, უყვართ დამოუკიდებლობა და ამაყობენ თავისუფლებით. სვანი საკმაოდ გულწრფელია, მიამიტი, მაგრამ ძალიან გულჩახვეული. წყენა მესამე თაობამდე მიჰყვებათ. უყვართ სამშობლო, მთელი ცხოვრების მანძილზე სვანეთიდან არსად არ გადი-

ან. ეს შეიძლება იმის ბრალიც იყოს, რომ უცხო ჰავას ვერ იტანენ, ყავთ ჩიყვიანები...“

ხალხი ყველა შემთხვევაში თავის სამშობლო კუთხესთან ერთად უნდა იქნას განსახლებული, ვინაიდან იგი თავისებურად განსაზღვრავს და აყალიბებს მის ეთნიკურ სახეს. ამიტომ გავით „კავკაზი“ საკმაოდ ადვილს უთმობს თავის ფურცლებზე გეოგრაფიულ გარემოს, რომელშიც სვანებს უხდებოდა ცხოვრება. აი, როგორაა გადმოცემული, მაგალითად, სვანების ადგილსამყოფელი შახოვსკოი-ნემიროვიჩი-დანჩენკოსთან: „თექვსმეტი მთის წყარო თუ მდინარე, თუ არ ჩავთვლით პატარა ნაკადულებს, ჩადინება ენგურში. ყოველი მთიანეთის თვის ხეობას ქმნის და მთელი ამ ხეობების გაყოფებაზე, თუ კი ოდნავ მაინც არის გამოსადეგი ადგილი საცხოვრებლად, ან პურის დასათესად, შეყვნილია სვანთა სოფლები. იგი იყოფა სამ ნაწილად: თავისუფალი სვანეთი, მდებარე ენგურის სათავეებში, ლეკავხევად (ზემთი) წოდებული, თავად თათარხან დადუშქელიანის (ნათლობის სახელი ნიკოლოზი) სამფლობელო თავისუფალი სვანეთის დასავლეთით, და ციოყ დადუშქელიანის (ნათლობის სახელი მიხეილი) შვილების სამფლობელო უფრო დასავლეთით, იალბუხის ძირას.

თავისუფალი სვანეთი შედგება რვა ხეობისაგან და მოიცავს 3000-მდე კომლს. ორივე თავად დადუშქელიანების სამფლობელო 200 კომლს აერთიანებს“.

დიდ ყურადღებას უთმობს გავით „კავკაზი“ სვანების სამეურნეო ყოფა-ცხოვრებასაც — სოფლის მეურნეობის რა დარგებია განვითარებული, რა კულტურები მოჰყავთ, რის მოპოვება და წარმოება ხდება, რით ვაჭრობენ, ვისთან აქვთ ურთიერთობა და ა. შ.

ამ საკითხებისადმი ინტერესი პირველად ლობანოვ-როსტოვსკიმ გამოიჩინა. ის წერს: „სადაღიანო სვანეთში პური მოჰყავთ, არაყს ხდიან ხორბლისაგან, კანაფისაგან ამზადებენ ტილოს, ლეჩხუმში, რაჭაში და ჭიათურაში ყიდიან დათვის, მგლის, კვერნის ტყავებს, რქებს (ყაწნებისათვის), ყიდულობენ რკინას, მარლის, ჩითს, ყიდიან ტყვიას, ყიდულობენ თოფის წამალს“.


უფრო დაწვრილებით ჩერდება სვანთა მეურნეობის აღწერაზე მის. მისსურაძე. მისი აზრით, სვანეთში სოფლის მეურნეობის სამი დარგია განვითარებული: მიწათმოქმედება, ცხენის მოშენება, მესაქონლეობა. მიწას ამუშავებენ გუთნით, ხარებით. თესვენ ფეტვს, სიმინდს, საგაზაფხულო ხორბალს, ქერს. მკიან ნამგლებით, ხოლო ლეჩხავენ კვერნს. ჰყავთ რქოსანი საქონელი, ცხვარი, თხა. იქაურ ცხვრებს აქვთ ძალიან კარგი მატყლი. საქონელი ტანად დიდი არ არის, მაგრამ ღონიერი.

როგორც ვხედავთ, სვანებში საკმაოდ ყოფილა განვითარებული მეურნეობის მთელი რიგი დარგები, რის გამო შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად მკაცრი ჰავისა და მიუყვალობისა, სვანეთი არ ყოფილა მეურნეობრივად კარჩაკეტილი და მეზობლებთან საკმაოდ ინტენსიური. ურთიერთობა ჰქონია.

რა პირობებში უხდებოდათ ცხოვრება სვანებს, როგორია მათი დასახლება, საცხოვრისები, აქვთ თუ არა რაიმე თავისებურებანი მათ სახლებს, კარმიდამო?

დიმიტრი ბაქრაძე სვანთა საცხოვრისებს ასე აღწერს: „სვანთა სახლებს აქვს კოშკები 10-12 საყენი სიმაღლის, ოთხკუთხა. ყველა სოფელში არის რამდენიმე უგუმბათო ეკლესია, სახლები და კოშკები შეთურთებულია და ლამაზი სანახავია. კარმიდამოში ყველას აქვს ბოსტანი, სადაც თესვენ კანაფს, მუხუდს“.

საკმაოდ საფუძვლიანად ეხება ამ საკითხს 90-იანი წლების ანონიმი ავტორი. იგი წერს: „სვანებს სახლები აქვთ ქვის — ორსართულიანი. კედლები თლილი ქვისა ან ასპიდის ფილებისაგან ნაგები, სხვა ელემენტების გარეშე. სახლი დახურულია ასპიდისავე ქვის ფილებით და საკმაოდ მკვიდრია. ქერი არა აქვს. კოშკები ოთხკუთხაა 12-15 საყენი



დასანუსი

სიმაღლის. ზემო სართული იყოფა ქვედასაგან ძელის იატაკით, რომელსაც ზედ მიწა აყრია. ზაფხულში ცხოვრობენ ზემო სართულზე, ზამთარში — ქვემოთ. იქვე ჰყავთ საქონელი... კერა არის ოთახის შუაგულში. აგებულია ფიქალის ფილებსაგან, რომლის ქვეშ დგას რკინის ოთხფეხა. ის ზემოდან დაფარულია ასპიდის ფილებით. აქ აცხოვრებენ პურს. ბუხარი და საკვამური არა აქვთ. ფანჯრები ვიწროა“.

გაზეთ „კავკაზის“ მკითხველები საინტერესო ინფორმაციას ეცნობოდნენ სვანების ტანსაცმლის შესახებაც. ლობანოვ-როსტოვსკი მათს ჩაცმულობაზე წერს: „კაცებს აცვიათ ჩერქეზული ჩოხები... ახურავთ ქული. ქალებს აცვიათ ძველ-ქართული ტანსაცმელი — ზედა კაბის ქვეშ ორი ახალუხი გრძლად შეჭრილი სამკლავებით. ახურავთ თავსაფარი. წელზე არტყვიან ნაქსოვი ქამარს“.

უფრო დაწვრილებით აღწერს სვანურ ტანსაცმელს მისი სწოვით: „კაცი ატარებს ზამბახის ხიფთანს, დალიანდაგებულს, სხვადასხვა ფერისას. ზემოდან აცვია მაულის ნაცრისფერი ან შავი ჩოხა, ქამრით შემოსაღებული. წელზე არტყია ხანჯალი. ჩექმის ნაცვლად ამოცმული აქვს საწვივე და ფეხზე ქალამანი. მხრებზე მოხურული აქვს ნაბალი ისე, რომ მარცხენა ხელი დაფარული აქვს, მარჯვენა ხელი და მხარი კი თავისუფალი.“

ქალს აცვია თეთრი კაბა, ახურავს წითელი ქული. ფეხზე ამათაც ქალამანი აქვთ ამოკრული (უბრალო ქალებს — ხის ხამლი; ზოგი ფეხშიშველაც არის). ზოგს კი თავზე ნახევარჩადრი ან თავშალი ახვევია, რომელიც სახეს უფარავს. ქალიშვილებს ნაწნავები აქვთ, აცვიათ ზამბახის ყოფთა, ზემოდან გრძელი მაულის ხიფთან... ტანის მოყვანილობის შესანარჩუნებლად 10 წლის გოგონებს — თემობიდან მკერდამდე შემოარტყამენ ნელ ტყავს და მაგრად შეკრავენ. ასე არის ის გათხოვებამდე, შემდეგ კი ქმარი ჭრის ხანჯლით“.


ლიმბრი ბაქრაძის აზრით, სვანის ტანსაცმლის ჰავის იმერულსა და მეგრულს — სვანს აცვია ხამი მაულის „ჩერქესკა“ (ჩოხა) და ახურავს ზამთრის ან ზაფხულის ქული. ზამთრის ქული შალისაა, თეთრი და შავი ფერის... ზაფხულისა იმერულ ფაფანაკს ჰგავს, პატარა, ძლივს რომ უფარავს თავს. ფეხზე აცვია ქალამანი, ტანზე პერანგი, ხამი ნაქრის. სვანს უყვარს იარაღი — ხშირად წმენდას, ძვირად აფასებს — 50-60 ხარად... ქალებს უკეთიან ვერცხლის ბალთები და მკერდზე დიდი ლითონის დოლები...“

ამრიგად, გაზეთმა სრულიად ნათელი და ზუსტი წარმოდგენა მისცა მკითხველს სვანთა წარმომავლობაზე, სვანეთის მდებარეობაზე, მის ბუნებაზე. ის ნედავს, რომ ხალხს, რომელიც მკაცრ ჰავასა და გაუვალ ხეობაში ცხოვრობს, სადაც ხანგრძლივი ზამთრის განმავლობაში გარე სამყაროს თითქმის მოწყვეტილია, შეუშუშავდა თავისებური ადათ-ჩვევები. ამავე დროს, ბუნების სტიქიამ ვერ დასძლია სვანთა გაუტეხელი სული და ასეთ მკაცრ პირობებში მათ მოახერხეს მეურნეობის, ყოფისა და კულტურის მაღალგანვითარებული ფორმების შექმნა. ამით დიდი წვლილი შეიტანეს საერთო ქართული ტრადიციული ყოფითი კულტურის განვითარებაში.

„კავკაზში“ მდიდარი მასალა სვანთა სამეურნეო ყოფაზეც. მიუხედავად მიწის სიმცირისა, აქ კარგად არის განვითარებული მიწათმოქმედება.

გაზეთი აღნიშნავს სვანთა საცხოვრისების თავისებურებათა შესახებაც. კერძოდ, სვანური კოშკები განსაკუთრებული ადგილობრივი პირობების გამო, საკმაოდ მოხერხებულად მიიჩნეოდა როგორც საცხოვრებლად, ბუნების სტიქიასთან საბრძოლველად, ასევე მტრებისაგან თავდასაცავადაც.

განხილული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ: გაზეთმა „კავკაზში“ სვანეთის, მანამდე ამ თითქმის სრულიად შეუსწაველი კუთხის შესახებ ბევრი საინტერესო მასალა მოათავსა თავის ფურცლებზე, რის შედეგადაც მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნა მასზე.



რადიციულ საშემოდგომო და საგაზაფხულო გამოფენებზე წოდებულ ექსპოზიციითა ნიბლი არსებითად იმაში გამოიხატება, რომ ის ძირითადად ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრებს აცნობს დამთვალიერებელს. ყოველი ახალი, უცნობი სახელის მიღმა, ადამიანის თავისებური, განუმეორებელი სამყარო იხადება. რამდენადაც უფრო მეტად ნიჭიერია ახალგაზრდა, იმდენად უფრო რადიკალურად იქცევა ფერწერულ ტილოზე გადატანილი მისი ნაფიქრი ფერის, ხაზისა და სხვა ტექნიკური საშუალებებით გადმოცემული. რაოდენ საინტერესოდ არ უნდა მოგჩვენოთ იდეა, თუ ნაწარმოები მაღალმხატვრული დონით არ გამოირჩევა, ნაკლებად მოქმედებს ჩვენზე და თავისთავად მისი სათქმელიც კარგავს თავის მნიშვნელობას.

გია რიგვავას — ახალგაზრდა მხატვარს, რომელსაც ამჟამად წარმოგიდგინებ, სწორედ ზემოთაღნიშნულ ტრადიციულ გამოფენებზე შევხვდით. მისი ფერწერული ტილოების „უცნაურობა“ პიროვნული მრავალფეროვნებისა და თავისებური აზროვნების შედეგი გახლავთ. შესრულების მანერა იმდენად მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული ე. წ. ეროვნული, ტრადიციული სკოლისაგან, რომ შეუძლებელია პედაგოგის ხელისა და სტილის ამოცნობა (როგორც ვიცით, ახალგაზრდა მხატვართა უმრავლესობა დღესდღეობით თანამედროვე სახვით ხელოვნებაში მიმდინარე უამრავი განსხვავებული მიმართულებისა და მიმდინარეობის ზეგავლენას განიცდის). და რაკ გია რიგვავას ნამუშევრები „არავის არ ჰგავს“, გადაწყვიტეთ, ამ სხვაობის მიზეზი თავად მხატვარში მოგვეძიო.

— სამხატვრო განათლება სურიაკოვის სახელობის მოსკოვის სამხატვრო ინსტიტუტში მივიღე, — თქვა ახალგაზრდა მხატვარმა. — როგორც ჩანს, ესაა იმ თვალშისაცემი სხვაობის მიზეზი, რომელსაც თითქმის ყველა აღნიშნავს. რასაკვირველია, სკოლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ეროვნულობას, მე პირადად, ყველა მხატვრის ნახატის მიხედვით განსხვავდება. ეროვნული ნიშანდობიანი მხატვრის „ამოღება“, აუცილებლად მის დაღუპვას ნიშნავს. ზერელე მიხაზვით, რაოდენ ნიჭიერიც არ უნდა იყოს ხელოვანი, ვერასოდეს ვერ შექმნის რაიმე ფასეულს. ბავშვობიდან ვხატავ. თუმცა სერიოზულად არასოდეს მიფიქრია მხატვრობაზე. ოცდაოთხი წლისამ დავამთავრე მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი, — განაგრძობს გია. და სწორედ მაშინ, როცა თითქოს უმადლესი განათლება მიღებული მქონდა და მუშაობა უნდა დამეწყო, სამხატვრო ინსტიტუტში შესვლა ვარჩიე, არ მინდა პათეტიკური ვიყო, მაგრამ როგორც ჩანს, სხვა საქმეს ასეთი დიდი სიამოვნებითა და თავდავიწყებით ვერ მივეცემოდი. სასწავლო პროცესი არ იყო ისეთი დამთრგუნველი, როგორც ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში, და არც ისეთი „მიშვებული“, როგორც თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მნიშვნელოვანად მიმაჩნია ის გარემოება, რომ ინსტიტუტში სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები სწავლობდნენ. ეს კი შეუდარებლად ამდიდრებდა სასწავლო პროცესს და კოლორიტულს ხდიდა ატმოსფეროს. სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულ სტუდენტთა შორის ყოფნამ და გან-

სხვავებულმა კულტურულმა ტრადიციებმა საგრძნობლად გაამდიდრა ჩემი ცოდნა და პალიტრა.

დაბრუნდა თბილისში... რასაკვირველია, მაშინვე გაუჩნდა სურვილი, გამოფენაზე, თანატოლების გვერდით, სხვათა სამსჯავროზე წარმოედგინა თავისი ნამუშევრები. უნდოდა აგრეთვე თვალყური ედევნებინა იმისათვის, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა საზოგადოებაზე მისი ფერწერული ტილოები. ამიტომაც მოუთმენლად ელოდა ვერინსაჟის განხილვას.

ეს ნამუშევრები 1987-88 წლებში იქმნებოდა და ერთ თემადაა გაერთიანებული სერიაში „ოჯახი“. „ოჯახის“, როგორც ყველაზე ახალის ნაცნობი და ახლო მცნების მეშვეობით, მხატვარი შეეცადა, გაეადვილებინა თვით ფერწერული ტილოს აღქმა. ის, რაც მოაქვს კომპოზიციას, ფერს, ფაქტურას, პლასტიკას, ბევრად უფრო შთაბეჭდავია, ვიდრე ტილოზე წარმოდგენილი ამბავი. სამწუხაროდ, მაყურებელი შეგნებულად უკავშირდება მხოლოდ ტილოზე მოთხრობილ ამბავს უსხტად ისეთი ლოგიკით, როგორც კინოფილმში: თუ ფილმში არ არის მოყოლილი ამბავი, მას ცუდ ფილმად თვლიან.


— ეს, შეიძლება პირდაპირ ითქვას, — ამბობს გია, — ხელოვნების არცოდნის მარტყენებელია. ამ თვალსაზრისით ნაწარმოების შეფასება ხშირად მხატვრების გაოცებასა და აღუფოთებას იწვევს. ჩემი ღრმა რწმენით, მხატვარი საერთო მასაში არ უნდა აითქვიფოს, თავისი შემოქმედება საშუალო გემოვნების შემფასებელს არ უნდა დაუქვემდებაროს და, საერთოდ, საკუთარ ხინდისთან არავითარ კომპრომისზე არ უნდა წავიდეს. ჰეშმარიტი ხელოვნება მაინც გაიკვლევს გზას, შეიძინს გამგებებსა და თაყვანისმცემელს, მიმდევარსაც კი.

გია ჩუმდება. დანარჩენს, ალბათ, მის სახელოსნოში თავმოყრილი ნამუშევრები იტყვიან. აქ დაბეჭდილი ილუსტრაციები კი, იმედია, გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნიან მკითხველს მხატვრის თავისებური, განუმეორებელი სამყაროზე. მართალია, რამდენიმე სურათით ძნელია, ამოიცნო შემოქმედლის ბუნება, თუმცა თითოეულ ნამუშევარში მაინც მკაფიოდ იგრძნობა მხატვრის მაღალი ოსტატობა, შესანიშნავი ტექნიკა, დახვეწილი გემოვნება, მკაცრი სტილი.

სხვადასხვა ვარიანტში გათამაშებული ერთი და იგივე თემა სერიიდან „ოჯახი“, სამფიგურიან, მკვირვალ შეკრულ კომპოზიციას წარმოადგენს. განსაკუთრებით თვალშისაცემია გარემოსა და ფიგურების აბსოლუტური მთლიანობა, დინამიზმი, ერთმანეთთან მშვენივრად შერწყმული ფორმის სიმკვირივე და, ამავე დროს, ხინაზე, ძუნწი ფერი, სიმსუბუქის გადმოცემის ფერადოვანი ლაქები, თავისუფალი მონახში, ზედმეტი დატვირთვისაგან თავისუფალი, მოძრავი, გამჭვირვალე სივრცე. თითოეული ნახატი ლირიული განწყობილების მატარებელია, თითქოს რაღაც შეტად ახლოხეულსა და ინტიმურს გახსენებს შენი, პირადი ცხოვრებიდან...

უცნაური შეგრძნება გეუფლება. როგორც ჩანს, შენში დაფარულ, სათუთ სიმებს შეეხო ახალგაზრდა მხატვარი. და როგორც დიდი ხნის მეგობარს, ენდობი მას. გჭერა, რომ ეს დასაწყისია, ძნელი გზის დასაწყისი...

ქეთევან მელიქიძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გია რიგვაია

სერიიდან „ოჯახი“







ეროვნული
გალერეა

ძველი თბილისი

კოკი მახარაძე

საქართველოს სსრ სახალხო
მხატვარი





ნარიყალა


რობერტ კონდასსაზოვი



მსსლები



ლამა ქურდიანის პორტრეტი



აოცრად ლამაზი, განმარტოებული ცისფერაივნისანი სახლის მასპინძელი მომცრო სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა. ძველებური, მოხატული შორენკეცებიანი ბუხარი, მინსარდისკენ ამავალი ხვეული ხის კიბე სიმყუდროვით გამოარჩევს ბინას. ზემოთ, სხვენზე, მხატვარს ციკქნა სახელოსნო გაუმართავს. ცისფერი აივნებიდან ქალაქი თითქოს მხატვრის უსასრულო თვალსაწიერად იქცევა ხარისხი და სურფგვეორქით, მეტეხით, სიონითა და სინაგოგით.

...რობერტ კონდახსაზოვმა 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. სწავლობდა უჩა ჯაფარიძის სახელოსნოში. როგორც თავად იხსენებს, იგი „ადვილ სტუდენტებს“ არ განეკუთვნებოდა:

— „მაესტრო“ ჩემთვის ბატონი უჩა იყო. ადამიანისა და მასწავლებლის მისეული სახე მარწმუნებდა სიკეთის საწყისებში. რობერტ კონდახსაზოვს ერთ განსაკუთრებულ თვისებასაც შენიშნავთ. ესაა მომთხროვნელობა საკუთარი თავისადმი. ამიტომ არის, ალბათ, რომ მის ნაწარმოებებს იშვიათად ვხვდებით საგამოფენო დარბაზებში. დიდხანს „აწვალებს“ ხოლმე თავის ნამუშევარს საკუთარსავე „სამსჯავროს“ წინაშე.

მუშაობა მან პოლიტიკური პლაკატით დაიწყო. აზრის სხარტმა მხატვრულმა ასახვამ და ლაკონურმა გამოთქმამ გარკვეული წარმატება მოუპოვა სახვითი ხელოვნების ამ დარგში. მოსინჯა ხელი სცენოგრაფიაშიც — აფორმებდა თოჯინურ სპექტაკლებს, ზღაპრული სამყაროს წარმოსახვას ესწრაფვოდა. შემდგომში დიზაინისადმი ინტერესმა ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტში მიიყვანა. ამანაც სასიკეთო კვალი დატოვა მხატვრის ესთეტიკური გემოვნების ზოგიერთი თავისებურების გამოკვეთაში.

რობერტ კონდახსაზოვი ის სომეხი მხატვარია, რომელმაც უთბილისოდ ცნობა ვერ შეძლო და მის „საიდუმლოებებს“ ძარღვიანი ქართულით ჩაწვდა. ამიტომაც ვაგაგრძელა თბილისის „შვილთა“ მოდგმა და ბოლომდე შეისისხლნორცა ქართული ყოფა, მისი კულტურა. კონდახსაზოვის ეს სიყვარულიც ისეთივე ტრადიციულია, როგორც ბაქმუქისა და გრიგორიანისა, ნამემკვიდრეებმა ბაშინჯალიანისა, კარალიანისა, კოჩარისა. თბილისი იყო მათი ყოველდღიური დღესასწაული, ნათელი და მსუყე მონასში, ფერითა და გრძნობით სავსე ქალაქის დიდ ფერწერულ ტილოდ რომ მყლავნდებოდა.

კონდახსაზოვის პეიზაჟები არაა ჩვეულებრივი სიუჟეტური მონათხრობი. იქ თხრობის მოტივები ძუნწადაა შერჩეული, თბილისის ხედები, ყოველდღიურობის საგნობრივი სამყარო, მხოლოდ არსებითი ნიშნებითაა აღბეჭდილი.

მისი თბილისური პეიზაჟები ფართო ეპიკური ხასიათის პანორამული სურათები როდია. ერთგვარად შეკუმშული სივრცე მისეული ხედვის თავისებური ჩარჩოა. გამოსახულება თითქმის მთლიანად პირველ პლანზეა აქცენტირებული და დეტალების მკვირივი კონცენტრაციის წყალობით გარკვეული დამაბულობა იქმნება. ამგვარად წარმოდგენილი ძველი თბილისის კუთხეები, მჭიდროდ შეკრული სახლის სახურავებით, ორნამენტული აივნებით, დინამიკურ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი ხშირად იმეორებს კომპოზიციას, ცვლის მასში ფერადოვან გადაწყვეტას, თითქმის სუფთა ფერების ორკესტრში გადმოგვცემს იმ განწყობილებას, რომელიც მხატვარს ეუფლება დღის განათების სხვადასხვა მოწვევით.

იგივე თემისადმი ხელმეორედ დაბრუნება განმეორება როდია. ეს თითქოსდა მიღწეულით დაუკმაყოფილებლობაა. რა მწვავედ განიცდიდა ამ გრძნობას ბაშინჯალიანი, რომლის ნათქვამიც ახლა გვახსენდება: „თითოეულ მხატვარს აქვს თავისი სასურველი მოტივი და თუ მასში ღვივის ნიჭიერების ნაპერწკალი მაინც, იგი არ დაკმაყოფილდება ერთხელ შესრულებული მოტივით. მას ვააწამებს აზრი, რომ ვერ შეძლო გადმოეცა ის საოცარი მოვლენა, რომელიც ბუნებაში იხილა. ჭეშმარიტების მიღწევის იმედით იგი აუცილებლად იგივეს გაიმეორებს მანამ, სანამ თვით არ მოიპოვებს კმაყოფილებას“.

კვლავ „მიბრუნების“ ნიმუშად ქცეულა რობერტ კონდახსაზოვის პეიზაჟები, ნატურმორტები, ყანრული ტიპის ჯგუფური პორტრეტები. აქ შეიძლება დავასახელოთ 1983 წელს შესრულებული „ქალაქის პეიზაჟის“ სხვადასხვა ვარიანტი. ფერმეტყველება ერთ ვარიანტში მოლურჯო-მოცისფრო, ხოლო მეორეში მოვარდისფრო-ღვინისფერ გამაშია გადაწყვეტილი. ნამუშევრების სათაურიც პირობითია.

პეიზაჟებიც, სადაც ნამდვილად „წითელი სახარებისა“ და „სურფგვეორქის“ ეკლესიებია ასახული, ხასიათდება ზომიერი დეფორმაციის შემცველი მკაფიო ნახატით, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფერადოვანი სიბრტყეების ხაზგასმული რიტმულობითა და ფორმის სიცხადით.



თბილისური პეიზაჟები

კონდახსაზოვის პეიზაჟში, ნატურმორტსა თუ პორტრეტში კარგად ჩანს მისი ხელწერის თვისება, უბრალო საშუალებებით მაღლწიოს გამოხატველობის სისრულეს. ამ ამოცანის ძიებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექნიკა, კერძოდ, ტემპერა, რომელსაც ზეთის საღებავთან შედარებით გარკვეული უპირატესობაც გააჩნია და დასაძლევე სირთულეც. იგი იძლევა თანაბარ, ხავერდოვან ზედაპირს, ვერ იტანს შემთხვევითობას. თავად მხატვრის თვალსაზრისით ამ ტექნიკით ყველაზე ზოგადი იდეების ასახვა შეიძლება მაშინაც კი, როცა თემა შესაძლოა, სპონტანური იყოს. მხატვარი თითქოსდა იცილებს „ზეთის სამზარეულოს“ ცდუნებებს.

ოსტატურად იყენებს ტემპერის შესაძლებლობებს. შეუძლია სასურათე სიბრტყე დაფაროს დიდი ფერადი ლაქით, რომლის მოხაზულობაც მაშინვე ქმნის ნახატს. ამგვარი ხერხით ასრულებს ნატურმორტს დიდი ძოწისფერი ბროწეულით. მუქ მოშავო ფონზე მოთავსებული მოზრდილი ფორმის გახლჩილი ბროწეულიდან მოყვითალო, აპკემოცილებული, მაცოცხლებელი წვენით გაყდენთილი, სისხლისფერი მარცვლები თითქოსდა სიცოცხლის მარადიულ სიმბოლოზე მიგვანიშნებს. როდინითა და ყავის ჭურჭლით ნატურმორტების კოლორიტი მყლერი და ცეცხლოვანია, ყოველდღიურ საგნებში მხატვარი არაპროზაულ საწყისს ეძებს. მისი ფერწერა აქ თითქოს საგანთა ბუნების „გამყლავნების“ საშუალებაა.

მოულოდნელ შთაბეჭდილებას ტოვებს მის მიერ შესრულებული პორტრეტები. მათში ადამიანი წარმოდგენილია იმ ცვალებადი სახით, მაყურებლისგან დამატებით ფიქრს რომ მოითხოვს და, ცხადია, ამ სახეთა აღქმა ფართო ასოციაციურ უნართანაა დაკავშირებული. ფორმალურ სახეობრივი წყობა სათავეს იღებს მხატვრის ამ წუთიერი განწყობილებიდან.


განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქალთა პორტრეტების გაღერა. საღებავთა საოცარ ელვარებაში კარგად ჩანს მხატვრის სათუთი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ.

სახელოსნოში ორი, სრულიად განსხვავებული მანერით შესრულებული ავტობორტრეტია. ერთში მხატვარი ასახულია ძველი თბილისის ფონზე. სახე დაწერილია ერთგვარი გროტესკულობით. სხეულისა და თავის გაზვიადებული ფორმა, ლურჯი გამა ხაზს უსვამს სახის უმწეო გულბრყვილობას. მასში მხატვარი თითქოს ძველი თბილისის მოქალაქის ნოსტალგიურ თემას ავითარებს. მეორე ავტობორტრეტით, რომელიც მოყავისფრო თბილი ტონებითაა შესრულებული, იგი თითქოს ხარკს უხდის აღორძინების ხანის პორტრეტული ფერწერის ესთეტიკას.


საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის ცენტრალური მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზებში მოწყობილმა ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტულმა გამოფენამ. ვერნისაჟმა მოსკოველ დამთავლიერებელს წარუდგინა უფროსი თაობის ნაწარმოებებიც და ე. წ. „ორმოცდაათიანელების“, „სამოციანელებისა“ და ახალგაზრდა მხატვრების ხელოვნებაც, რომელთა შემოქმედებაში საკმაოდ მკაფიოდ წარმოჩინდა დღევანდელი მხატვრული ტენდენციები. გამოფენის მონაწილეთა შორის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის რობერტ კონდახსაზოვის ნამუშევრებიც იყო („ვარდები“, „ფანჯარა“ და „სალამო“) და მხატვარმა ამ გამოფენის საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა.

დარეჟან რევიზა ხელოვნებათმცოდნე

(Including Non-Russian and Emigre Literatures)



Edited by
Harry B. Weber



Vol. 6

DRACH, IVAN FEDOROVYCH -
EPIC, KAZAKH



Academic International Press

1982

როგორც სტივენსონი



ოთა რუსთაველი უდიდესი ფიგურაა ქართულ ლიტერატურაში, იგი რომანტიკული ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია (სიტყვასიტყვით „ვეფხის ტყავით შემოსილი კაცი“). მისი დაბადების და გარდაცვალების თარიღები უცნობია, მაგრამ პოემა უყოყმანოდ შეიძლება მივიჩნიოთ თამარ დედოფლის (1184 — 1212) მეფობის დროს, ქართული სამეფოს ოქროს ხანაში შექმნილად.

„ვეფხისტყაოსანთან“ შეხვედრისას დასავლეთის მკითხველს მრავალ უჩვეულო მოვლენათა შორის მაშინვე მოხვდება თვალში საკუთარ ეროვნულ სარაინდო პოემა-რომანებთან მსგავსება, რაც არ არის გასაკვირი. რუსთაველი შეიძლება ჩაითვალოს კრეტიენ დე ტრუას უმცროს თანამედროვედ, ვოლფრამ ეშენბახელის, ჰარტმან ფონ აუეს, გოტფრიდ სტრასბურგელის, ნიბელუნგებისა და გუდრუნის პოეტების ეპოქის მოღვაწედ, რუსთაველის მშობლიური კულტურა მრავალმხრივ ემსგავსება დასავლეთის მწერლებისას.

თამარის მეფობის ძლევამოსილი და წარმატებული ლაშქრობები ისლამის ჩრდილოეთ ფლანგზე მუსულმანთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ საერთო ქრისტიანულ ღონისძიებებს მიეკუთვნება.

უდავოა, რომ მეფის ხელისუფლებისა და ტახტის ერთგულების ცნებები „ვეფხისტყაოსანში“ ბევრად უფრო მკაფიოდაა გამოხატული, ვიდრე, ჩვეულებისამებრ, სარაინდო რომანებში, სადაც არტურის, მარკის და სხვა მონარქთა სახეები არ არის საკმარისად შთამბეჭდავი.

ტახტისადმი სავალდებულო სამსახური ავთანდილისაგან, როგორც სპასპეტისა და დიდი ფეოდალისაგან, მოითხოვს სამეფოს

ინგლისელი ქართველოლოგი, პროფესორი რობერტ სტივენსონი, უკვე 80 წელზე მეტია, რაც ნაყოფიერად მუშაობს ძველი ქართული ლიტერატურის დარგში. მან ინგლისურად თარგმნა და გამოცა „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“ სათანადო გამოკვლევებისა და მეცნიერული კომენტარების დართვით. გარდა ამისა, მან ცალკე გამოაქვეყნა ნარკვევები ორივე ძეგლზე, აგრეთვე „დიდმოურავიანზე“ და „ომიანიანზე“. ამჟერად რ. სტივენსონი ინგლისურ ენაზე თარგმნის „ფირმალიანსა“ და „როსტომიანს“ მისი შრომები და თარგმანები სპეციალისტთა ცხოველ ინტერესს იწვევს.

წინამდებარე ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“ გამოაქვეყნებულია 1982 წელს ამერიკაში, ფლორიდაში, გამომცემლობა „აკადემიკ ინტერნეშნალ პრესის“ მიერ გამოცემულ „რუსულ და საბჭოთა ლიტერატურის თანამედროვე ენციკლოპედიის VI ტომში. აქვეა პროფესორ რ. სტივენსონის მეორე ნაშრომიც, „ქართული ეპიკური სარაინდო რომანი“.

ამჟერად მკითხველებს ვთავაზობთ „ვეფხისტყაოსანზე“ რ. სტივენსონის ნაშრომის შემოკლებულ თარგმანს, რომელიც შეასრულა ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაკმა სუსუდან თურნავამ ნაშრომში „ვეფხისტყაოსანი“ განხილულია ფართო პლანით, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ფონზე.

შერმადინს ონიანი,

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ქართული ეპიკური პოემა

„ვეფხისტყაოსანი“ ანუ „კაცი ვეფხის ტყავში“

უშიშროებაზე ზრუნვას და განკარგულებების გაცემას მისი შინ არყოფნის დროს მამულის საპატრონოდ.

„ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი,“

— ეუბნება იგი შერმადინს...

ამგვარად, პირველ სცენებში ჰაბუკს ვხვდებით ვასალისა და მიჯნურის როლში, მაგრამ უცხო მოყმესთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ, მის ვალდებულებათა სფეროში მოულოდნელად ჩნდება ახალი, განსაკვირვებელი მოვლენა.

„ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა,“

— ეუბნება ის ტარიელს...

თინათინი თანაუგრძნობს ავთანდილს: „შენ არ-გატეხა კარგი გვირს ზენაარისა, ფიცისა“, — ეუბნება თინათინი, მაგრამ მათ მოვლით მტკივნეული გადაწყვეტილების მიღება.

როსტევანი, რომლის მიმართაც, მიუხედავად თინათინის გამეფებისა, ავთანდი-

ლი წინანდებურად გრძნობს ვასალურ მოვალეობას, წინააღმდეგია, რომ ჰაბუკმა ხელმეორედ მიატოვოს არაბეთი ჩნდება მოვალეობასთან შეუერივებლობა: ავთანდილი იპარება სამეფოდან და ტოვებს ანდერძს, რომელშიც ცდილობს, გაამართლოს თავი საქციელი, ამასთანავე შენდობას სთხოვს მეფესწინისტანის გამოხსნის შემდეგ იგი ისევ განიცდის სინდისის ქენჯნას და როსტევანის წინაშე გამოცხადებული, სახეს არიდებს მას მეფის გულთბილმა შეხვედრამ გაუქარწყლა დარდი ავთანდილს, მაგრამ რაინდობის კოდექსით მას ახალი დავალება ეკისრება: ტარიელი მიემგზავრება ინდოეთის ტახტის მოსაპოვებლად, მძაღნაფიცი თან უნდა ახლდეს მას. ტარიელი პროტესტს აცხადებს იმაზე, რომ ავთანდილმა ქორწინებისთანავე დატოვოს თინათინი. მაშინ ავთანდილი ასე პასუხობს:

„კაცსა მოყვრისა ვაწირვა, ახ, მოუხდების, ახ, ავად!“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავისი მეგობარი ინდოეთის ტახტზე იხილა, ავთანდილმა თავს ნება მისცა, დაბრუნებულიყო მეუღლესთან, თავის სამეფოში.



რუსთაველის მიერ შემოთავაზებული რაინდობის ცოდესი შეიძლება ჩაითვალოს ორი იდეალის შერწყმად: პირველს — პატრონისა და ამხანაგისადმი ერთგულებას ფესვები გადგმული აქვს უძველეს გმირულ სამყაროში, მეორე — მიჯნურთა სამსახური, საკუთრივ შუასაუკუნეების ცივილიზაციის ნაყოფს წარმოადგენს...

„ვეფხისტყაოსანში“ მეგობრობა პირველ ადგილზეა დაყენებული და შორს სცდება რაინდობის ჩვეულებრივი გაგების ფარგლებს. მასში გადალახულია ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობა...

„ვეფხისტყაოსანში“ მრავალია სარაინდო პოემა-რომანისაგან განსხვავებული ელემენტი. სასახლეების, ციხე-კოშკების, მთების, გამოქვაბულების და უდაბნოების გვერდით ვხვდებით, აგრეთვე, ქარავნებს. ბაზრებს, საქონლის საწყობებს, ფილოსოფიურ ტექსტებს. ტარიელი — რაინდობისა და სიფაქიზის ნამდვილი ხორც-შესხმა, ებრძვის დევებს — კავკასიური-ირანული ფოლკლორის არსებებს; ფატმანს, ვაჭრის ცოლს, შინ ჰყავდა ორი გრძნეული. შეიძლება ითქვას: ისე როგორც გოეთე „ფაუსტში“, რუსთაველი ქმნის სამყაროს სქემას, რომელიც საშუალებას აძლევს, სწორად აირჩიოს რომანტიკულის, მაგიურის, სატირულის, მედიტაციურის, კომიკურისა და ტრანსცენდენტულის ელემენტები. ძნელია, შუასაუკუნეებში მოიძებნოს სხვა ეპიკოსი, ასეთ მრავალფეროვან მხატვრულ სახეებს რომ ქმნიდეს ან ასე ემარჯვებოდეს თხრობის მოტივირებული გართულება.

რუსთაველი, ალბათ, უფრო ხშირად და თამამად იყენებს ჰიპერბოლას, აგრეთვე, საკუთარი ფანტაზიის უჩვეულო ნაყოფს, ვიდრე მსგავსი სერიოზული ჩანაფიქრის მქონე რომელიმე პოეტი: ახალგაზრდა კაცის სილამაზეს შეუძლია, გრძნობა დააკარგინოს ადამიანს ან ცასა და დედამიწას ნათელი მოჰფინოს, ცრემლების დინება ტიგრისის წყალს ან კლდეებში გაშლინარე რუებს ემსგავსება.

დაახლოებით VI საუკუნის ბოლოს და ცოტა მოგვიანებით ეფფუიზმის, მარინიზმისა და გონგორიზმის გავრცელების პერიოდში, შესაბამისად ინგლისში, იტალიასა და ესპანეთში, ამგვარი პოეტური ენა შეიძლება მთლად უცხო არ ყოფილიყო დასავლეთის მკითხველებისათვის, მაგრამ მათ შთამომავლობას დღეს გარკვეული დრო სჭირდება მასთან შესაგუებლად. „ვეფხისტყაოსანში“ ცრემლებით მოვლენილი წყალდიდობა, ძალიან ხშირად, განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის. მიუხედავად ამისა, გასაგები უნდა იყოს, რომ ცრემლების ასეთი ნიადაგარი კეთილშობილებისა და დიდსულოვნების გამოხატულებაა. თავისთავად ცხადია, რომ რუსთაველის მრავალ სტროფს პარალელები

მოეძებნება დასავლეთის შუასაუკუნეობრივ ლიტერატურაში, მაგალითისათვის დაეასახელებთ მამაკაცი და ქალი პერსონაჟების მზესთან, მთვარესთან და ვარსკვლავებთან შედარებას.

რაინდული ცხოვრების არაჩვეულებრივ პირობითობათა აღწერის შემდეგ, რუსთაველი დროდადრო იძლევა, უშუალოდ ან პერსონაჟის პირით, ზოგიერთ ახსნა-განმარტებას რაინდული სამყაროს მიღმა მდებარე სინამდვილის შესახებ. ტარიელმა რომ დაასრულა თავისი გასაჭირის თხრობა, ავთანდილმა მოსწრებულად უთხრა: „შენ ვისთვის ჰკვდები, მაგითა მას არა ელხინების“.

გარდა ამისა, როცა ავთანდილმა როსტევანსა და თინათინს მოახსენა თავისი მისიის წარმატებით შესრულება და ტარიელთან უკან დაბრუნებულმა თავისი მეგობარი დარდისაგან მთლად ღონემიხდილი იხილა, მან მოხერხებით დაიყოლია ტარიელი ცხენზე შეჯდომასზე:

„...იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარებდა“. მოსაზრებამ გასჭრა, მაგრამ ავთანდილმა მაინც გააგრძელა მისი გაკიცხვა იმისათვის, რომ ტარიელმა თავისი უსაზღვრო კაეშნით ასეთ დღეში ჩააგდო ასმათი.

ამასთან ერთად, ორ პასაჟში, რაინდული რომანისაგან სრულიად განსხვავებით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს უბედურება, ფრიდონის ჯარისკაცებს რომ შეემთხვათ ქაჯეთის ციხიდან ნესტანის განთავისუფლების დროს: „სამასისა კაცისაგან“ — ამბობს პოეტი, — „ას-სამოცი შეპყოლოდა, ფრიდონს უმძიმს სპათა. მისთა, მაგრა ერთ-კერძ უხაროდა“. მულაზანზარში დაბრუნებული ტარიელი დაღუპულების შესახებ ამბობს:

„თუმცა მე მათი დახოცვა მტკივის და სატივიარია...“


მიუხედავად იმისა რომ „ვეფხისტყაოსანი“ ძირითადად სარაინდო რომანია, თხრობას თავიდან ბოლომდე გასდევს კონტრასტი ავთანდილსა და ტარიელს შორის. პირველი ჭეშმარიტი გმირია, მაგრამ, ამავე დროს, საზრიანი, შორსმჭვრეტელი კაცია, რომელსაც ტყუილი ეხერხება (იგი გადაცემული შევიდა გულანშაროში, მოქმედებდა საკუთარი მოსაზრებით, სხვა პიროვნების ნიღბით უნდოდა ქაჯეთში შეღწევა). რაც შეეხება ტარიელს, იგი წმინდა გრძნობის ნამდვილი განსახიერებაა. მსგავსი განსხვავების ზოგიერთი ნიშანი შეიძლება აღმოჩნდეს საგმირო ხასიათის ნაწარმოებების შესაფერის პასაჟებში, მაგალითად, როგორიცაა აქილევსისა და ოდივესის, როლანდისა და ოლივიეს დაპირისპირება, მაგრამ სრულქმნილება, რასაც რუსთაველი აღწევს გამოხატვაში, ძალიან ჰგავს რომანისტიის ხელწერას. ასე-

ვე ოსტატურადაა დახატული საოცრად ფაქიზი შეგნების ადამიანის... სახე. ამასთანავე, ავთანდილს თავგანთავადი საგალი გულანშაროში სათავგადასავლო, ინტრიგების შემცველი რომანის თვისებებით უფრო გამოირჩევა, ვიდრე რაინდთა ყოფის გადმოცემით. მისი ხანმოკლე ურთიერთობა ვაჭრის ცოლთან — ფატმანთან, გარდა იმისა, რომ ბოკაჩოს და ჩოსერს მოგვაგონებს, წარმოადგენს კომედიას, რომელსაც საფუძვლად უდევს კლასობრივი განსხვავება და გამოუვალი მდგომარეობა. ფატმანს კარგად აქვს შეგნებული თავისი მდგომარეობის უპირატესობა. იგი ძალიან მკვებარა და ქარაფშუტა ქალია, მაგრამ, ამავე დროს, გულთბილი და დიდსულოვანი, გასაჭირში მოხერხებულია, მოკლედ. ფატმანი ჭეშმარიტი რომანისტიის ქმნილებაა.

თუ გამოვიცხავთ სპარსული ნაწარმოებების ვერსიებს, რომანტიკული ეპიკური პოემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ განუვითარებელი უნარი იყო საქართველოში რუსთაველის ეპოქამდ. რაც შეეხება მისი თანამედროვეების, თუ ახლო პერიოდის შემოქმედთა მიღწევებს, განსაკუთრებით მეზობლების შავთელისა და ჩახრუხაძის ბრწყინვალე ოდებს, არცერთ პოეტს არ დაუტოვებია „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ნაწარმოები შთამომავლობისათვის. არც ჭეშმარიტი მიმდევრები გაუჩინია რუსთაველს, თუმცა XVI, XVII, XVIII საუკუნეებში, როცა მონღოლთა შემოსევებით გამოწვეული უნაყოფობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ საქართველოში გამოცოცხლდა ლიტერატურული საქმიანობა, მრავალი მწერალი ცდილობდა, მიეხატა მისთვის. იგი განმარტებით დგას.

რუსთაველის თანამემამულეებმა უყოყმანოდ განსაზღვრეს „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი ეროვნულ ლიტერატურაში. ტრადიციულად „ვეფხისტყაოსანს“ მზითვად ატანდნენ ქართველ საპატრიარქოს. პოემის გრძელი მონაკვეთების ზეპირად კითხვა ფართოდ არის გავრცელებული ხალხში. ძნელი იქნებოდა პოემის უფრო ვრცლად და სრულყოფილად განხილვა, რაც აქ შეუძლებელიც არის, მაგრამ გარკვეული პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ შუა საუკუნეების ვერც ერთ სარაინდო რომანში, დასავლეთში თუ აღმოსავლეთში, ვერ იპოვით ასეთ მოელვარე, სიცოცხლის უამრავი ფერით შეზავებულ ლექსს, მაცოცხლებელ სხივებს მიზანმიმართულად რომ ჰქვენს ადამიანური ყოფის ერთმანეთისაგან განსხვავებულ მრავალრიცხოვან წახნაგებს.

ინგლისურენოვანი თარგმანა
რუსულად თარგმანა.



ართული თეატრი თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა არა მარტო ორიგინალური, არამედ რუსული და უცხოური პიესებისადმი. მოწინავე ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა იტალია თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ იტალიელ ავტორთა პიესები ასე უხვად იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ამ ავტორთა რიცხვს ეკუთვნის პაოლო ჯაკომეტი (1816—1882), რომელიც ისტორიულ სიუჟეტებსა და თანამედროვე თემებზე წერდა.

გასული საუკუნის ქართული თეატრის რეპერტუარში ამ იტალიელი ავტორის ორი პიესა შევიდა. ერთი მათგანია ტრაგედია „ივლითი“ (დაიწერა 1858 წელს იტალიის განმათავისუფლებელი ბრძოლის მაქსიმალური აღმავლობის დროს). პიესა გამსჭვალულია სამშობლოსა და თავისი ხალხისადმი ერთგულების იდეით. მასში გამოყენებულია ბიბლიური სიუჟეტი და დახატულია გმირი ქალი, რომელიც გადაარჩენს მშობლიურ ქალაქს. ქართულად ნაწარმოები 1897 წელს დაიბეჭდა „მომბეში“, შემდეგ კი იმავე წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. მისი მთარგმნელი იყო ივანე მაჭავარიანი, ცნობილი ლიტერატორი, ოსტროვსკის, დოდეს, მოლიერის, მეტერლინკისა და სხვა ავტორების ქართულად მთარგმნელი.

ჯაკომეტის პიესის დადგმა განხორციელდა თბილისში 1904 წელს, მაშინ, როდესაც პირველი რევოლუციის წინა ხანებში გმირული ბრძოლისადმი მოწოდება ეხშიანებოდა მოწინავე ქართული საზოგადოების განწყობილებას. სპექტაკლმა დადებითი რეცენზიები დაიმსახურა გაზეთებში „ცნობის ფურცელი“, „ივერია“... საყოველთაო აღიარება ხვდა ნუცა ჩხეიძესა და ვალერიან გუნიას, რომლებიც მთავარ როლებს ასრულებდნენ პიესაში. „ივლითის“ ხელახალი დადგმა განხორციელდა 1911 წელს ქუთაისში და დიდი წარმატება ხვდა წილად. „ივლითი“ კიდევ რამდენიმეჯერ დაიდგა მომდევნო წლებში.

გაცილებით უფრო დიდხანს იყო ქართული თეატრის რეპერტუარში ჯაკომეტის მეორე პიესა „სამოქალაქო სიკვდილი“. მწერლის ეს ყველაზე პოპულარული ნაწარმოები 1862 წელს დაიწერა. ქართულ სცენაზე იგი ოთხმოციან წლებში გამოჩნდა და პრესაში დიდი გამოძახილი მოჰყვა.

„სამოქალაქო სიკვდილი“ არც ისტორიულ და არც ლიტერატურულ წყაროებზეა აგებული — სიუჟეტი გამოგონებულია და ცენტრშია მთავარი გმირი, რომელსაც კორადო ჰქვია. იგი არის

პაოლო ჯაკომეტი ქართულ სცენაზე

ნატალია ოლოვსკაია,
პროფესორი

ნიჭიერი, ღრმად მგრძნობიარე, ერთდროულად კეთილი და მრისხანე კაცი. მან მოიტაცა როზალია, ხოლო შემდეგ მოკლა მისი ძმა, რომელსაც მოტაცებული დის გამოხსნა უნდოდა. ამის გამო კორადოს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, ესე იგი, სამოქალაქო სიკვდილი ერგო. აქედანაა პიესის სათაურიც.

მოქმედება მიმდინარეობს სასამართლოს განაჩენის თოთხმეტი წლის შემდეგ და სავსეა მწვავე კონტრასტებით. არსებული კანონების უკუღმართობა როზალიას თავგადასავალში მუდავნდება. უქმროდ დარჩენილი, ახლობლებისგან მიტოვებული, იგი ქალიშვილთან ერთად სილატაკეშია ჩავარდნილი. რაკი მისი ქმარი ცოცხალია და კათოლიკური ეკლესია კი განქორწინებას კრძალავს, მას არ შეუძლია ხელმეორედ გათხოვება. აქ გამოჩნდება ექიმი პალმიერი, რომელსაც ცოტა ხნის წინათ ცოლი და ქალიშვილი დაეღუპა, ექიმი კორადოს ქალიშვილს თავის შვილად ასაღებს, ხოლო როზალია მომვლელ ქალად მიჰყავს. როზალია ქმრის ერთგული რჩება, თუმცა შეუწყვარდება კეთილშობილი პალმიერი.

ლავრენტი ზინინაძე

მინიატიურები

გაფინიერი კაცი

ლაური მანავაძე

კრების შეხვევა


კრება დამთავრდა.
ნუ დაიწყებთ გამოძიებას: სად იყო კრებაო?
იქნებ დიდ დაწესებულებაში!
იქნებ პატარაში!
ამას არა აქვს მნიშვნელობა.
იყო ერთ ადგილზე.
მოისმინეს, დაადგინეს.
ნურც იმას ვიკითხავთ: რა მოისმინეს, რა დაადგინეს.
მე ვიტყვი მხოლოდ, რაც იმ კრების მონაწილეთაგან გავიგონე:
— ავთო, დღეს რა საკითხი განვიხილეთ?
— კაცო, მე რომ მეკითხები, შენც ხო იქ იყავი.
— კი ვიყავი, მაგრამ...
— რას ნიშნავს ეგ მაგრამ?
შემკითხველი ამბობს:
— ამ კრებაზე მე სხვა კრებიდან მოვედი. კრებასაც დალა ცოდნია. ჩამეძინა.
— იღბალი შენი, რო ზვინავა არ გცოდნია, თორემ ხომ ყველა გაიგებდა. ახლა კი მარტო მე და შენ ვიცით.

სხვა წრე

დიდხანს მუშაობდნენ ერთად გურამი და გიორგი. კარგი მეგობრები იყვნენ. ერთი მათგანი თუ მივლინებაში წავიდოდა, მეორე იმ დღეებში უხალისოდ იყო ხოლმე.
კარგ მუშაყად თვლიდნენ გურამს. ძალიან აფასებდნენ ხელმძღვანელები. ყველა დავალებას სანიმუშოდ ასრულებდა.
გურამი დააწინაურეს.
იგი ხელმძღვანელი გახდა.
გიორგი ძველ ადგილზე დარჩა. მეგობრები დამორჩილდნენ, ვეღარ ზვდებოდნენ ერთმანეთს.
ერთხელ თეატრში დიდი შეკრება მოეწყო. იქ გიორგიც იყო მიწვეული. ადრე მივიდა. დერეფანში იდგა. ხედავს: მოდის გურამი, მან ისე ჩაიარა, თითქოს ვერც დაინახა გიორგი.
გიორგი ჩაფიქრდა: — თვალმა ხომ არ მომატყუაო? არა, ნამდვი-

ლად გურამი იყო. მაშ, რატომ მოარიდა თვალი?!
დამთავრდა შეკრება.
გიორგი ისეთ ადგილზე დადგა, სადაც გურამს უნდა გამოეცვლა.
აი, ისიც, მოდის უკვე.
წინ მიულოდნელად შეეფეთა გიორგი.
გურამმა გვერდის ავლა სცადა, მაგრამ ნურას უკაცრავად!
გიორგი წინ დაუდგა, მიესალმა:
— გურამს გაუმარჯოს!
— სალაში გიორგის, — შემერთალი კალოთი, რაღაც დაბნეულად უბასუხა გურამმა.
გიორგი ეკითხება:
— კოცი, დრო არა გაქვს. დიდი კაცი გახდი, მაგრამ ერთი რამე მაინც უნდა გკითხო: რატომ ამარიდე თვალი აქ რომ შემოხვედი?
გურამი შეფიქრიანდა, უცებ ვერ მოისაზრა, რა ეთქვა. გვიან უბასუხა:
— ახლა სხვა წრეში ვარ. რა ვქნა, მდგომარეობა მიკარანახებს, რომ ასე მოვიქცე. შენც რომ მოხვედე ჩემ ადგილზე, უთუოდ ასე მოიქცევი.
ვითომ მართლა ასე მოიქცევა გიორგიც?!

ზოგჯერ სოფლებსაც კი თავისებური ჩვეულება აქვთ, აი, თუნდაც, ზედმეტი სახელების შერქმევა. ზოგ ასეთ სოფელში ვერც მოძებნი სახელშეურქმევლ ადამიანს. მერე როდის არქმევენ ზედმეტ სახელს?
ზოგს ადრე, ზოგს გვიან!
ზოგი შერქმეული სახელი სათაყილოა.
პირისპირ მისი თქმა უხერხულია. ამიტომ ბევრმა არც იცის, რა ზედმეტი სახელით არის მონათლული.
ასეთ კაცს მხოლოდ ზურგს უკან იხსენიებენ შერქმეული სახელით.
სულხან ხანიძესაც აქვს ზედმეტი სახელი: ბედნიერი კაცი!..
ეს სახელი ერთხელვე შეერქვა და შეერქვა!
რატომ?
რისთვის?
იქნებ ბევრი შვილი და შვილიშვილი ჰყავდა?
არა, ამით არ გამოირჩეოდა.
იქნებ მდიდარი იყო!
სახელი არც ამით ჰქონდა განთქმული. ისიც იმდენ საკარმიდამოს ფლობდა, რამდენსაც სხვა.



პიესაში ძალზე უარყოფითი პერსონაჟია მონსინიორი — ადგილობრივი ეკლესიის მოძღვარი. და აი მონსინიორს როზალია მოეწონება. უნდა საბატოში გაამწესოს. ამიტომ კანონის დარღვევას დასწამებს.

მოულოდნელად გამოჩნდება კორადო, რომელიც კატორღიდან გამოქცეულა. ცოლთან შეხვედრის შემდეგ კორადო მიხვდება, რომ მისი გამოჩენა შეიძლება უბედურების მომტანი აღმოჩნდეს. როზალია სთხოვს, კორადოს ქალიშვილი ექიმთან დატოვოს, რადგან გოგონას იგი თავის მამად მიიჩნია. თვით როზალია კი მზადაა, ქმარს გაჰყვეს. ასეთ დაძაბულ მომენტში პოლიციელები ალყას შემოარტყამენ სანოს. თუმცა კორადო გაქცევას არ აპირებს: საწამლავს სვამს. მხოლოდ ასეთი მსხვერპლის წყალობით შეიძლება კორადომ გადაარჩინოს როზალია და საშუალება მისცეს მას, მისთხოვდეს ექიმ პალმიერის.

ჯაკომეტის პიესა ანტიკლერიკალური ხასიათისაა. რომის ეკლესიის დაცინვა მის პირველსავე სცენებში ჩანს. ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებს მოკლებულია მონსინიორი. როზალიასადმი თავის ავხორც ზრახვებს იგი ორპროვანი სიტყვებით ნიღბავს, ჯაშუშობს, საიდუმლოდ უსმენს სხვების ლაპარაკს, კორადოსაც ის ასმენს პოლიციაში.

ჯაკომეტის პიესა მრავალ ენაზე ითარგმნა. სხვადასხვა დროს კორადოს როლი შეუსრულებიათ გამოჩენილ იტალიელ ტრაგიკოსებს სალვინის, როსის... 1870 წელს რუსულად თარგმნა ა. ოსტროვსკიმ სათაურით „დამნაშავეს ოჯახი“. ქართულად პიესა სწორედ ამ ტექსტიდან ითარგმნათ. „დამნაშავეს ოჯახი“ დიდ ხანს იდგმებოდა ქართულ სცენაზე საუკეთესო მსახიობთა შესრულებით. პიესა ცალკე არ გამოცემულა, თუმცა თეატრისათვის ორჯერ ამტყვევდა ქართულ ენაზე (ნ. მესხისა და ი. ჯაჭანაშვილის თარგმანები), ორივე ორიგინალი დაცულია თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.

ქართულ სცენაზე ჯაკომეტის დრამა პირველად წარმოადგინეს 1882 წლის ნოემბერში. მან მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი XIX საუკუნის მიწურულის ქართული თეატრის რეპერტუარში და წარმატებით მეორედებოდა მეოცე საუკუნის პირველ ორ ათწლეულში. დედაქალაქის გარდა იგი დაიდგა ქუთაისში, გორში,

თელავსა და სხვა ქალაქებში. ეს წარმოდგენები კარგად განაშუქა იმდროინდელმა პერიოდიკამ.

წარმოების საზოგადოებრივი ელერადობა და მასში წამაღწერილი ოჯახისა და ქორწინების საკითხი უთუოდ ააღვლებდა მეცხრამეტე საუკუნის მაყურებელს. ერთი ქართველი რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ პიესას გამორჩეული ადგილი უკავია სხვადასხვა ქვეყნის თეატრების რეპერტუარში და ეს იმით აიხსნება, რომ პიესაში გამოყვანილი სახეები ყველა ეროვნების კაცისთვის ერთნაირად გასაგებიაო. გაზეთ „ივერიის“ (1900 წ. № 10) რეცენზენტი ქუთაისის თეატრის შესახებ ჯაკომეტის პიესაზე შემდეგნაირად მსჯელობს: „კარგი პიესაა, კეთილის დედა-აზრისა და მასთან მარტივი და ადვილად გასაგები“. მას მიაჩნია, რომ „დამნაშავეს ოჯახის“ ქართულ სცენაზე დადგმა მეტად სასურველია. ასეთივეა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რეცენზენტის აზრიც.

სპექტაკლს რეცენზიები მიუძღვნა ცნობილმა მსახიობმა და თეატრალურმა მოღვაწემ ვალერიან გუნიაძემ.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ სცენაზე ეს პიესა თავიანთ ბენეფისზე წარმოადგინეს კორადოს როლის საუკეთესო შემსრულებლებმა კოტე ყიფიანმა და ლადო მესხიშვილმა. იმ დროის მიმომხილველები ამ ორი დიდი მსახიობის თამაშს განსაკუთრებული ქებით მოიხსენიებენ.

ცნობილი ქართველი მსახიობი ნუცა ჩხეიძე თავის მოგონებებში აღწერს, თუ როგორი მღვღანეობით ელოდნენ ქუთაისში მესხიშვილის გამოჩენას ჯაკომეტის დრამაში. ამ პიესით დაიწყო თვითონ ნუცა ჩხეიძის სამსახიობო ცხოვრება: პირველად თორმეტი წლის გოგონამ წარმატებით შეასრულა როზალიას ქალიშვილის — ემას როლი.

ერთი სიტყვით, ჯაკომეტის პიესები დაკავშირებულია რევოლუციამდელი ქართული თეატრის ისტორიასთან და ამიტომაცაა ასე საინტერესო ამ ცნობილი იტალიელი დრამატურგის სახელი ქართველი მაყურებლისათვის.

1870

თვით სულხანს რომ შეეკითხებოდა ხოლმე, ბედნიერ კაცს რატომ გეძახიანო, ღიმილით იტყვის: სულ უბრალოდამ!

ხანდაზმულობამდე, ავად არ გამხდარა.

მაგრამ სხვებთან ერთად სულხანსაც იცის ერთი თავისებური გამოთქმა:

დრო-ჟამი სამუდამოდ არავის ახარებსო.

სულხანსაც გაუთენდა ერთი ასეთი საწუთხარო ღღე. ჯერ დინჯად, ხმადაბლა თქვა:

— რაღაც უხასიათოდ ვარო.

ცოლმა ანუგეშა, სიტყვა ბანზე აუგდო:

— ავად რო არასოდეს ყოფილხარ, ამიტომ გეჩვენება ეზ შენი უხასიათობა დიდ რამედ.

სულხანს ხმა არ გაუღია. პასუხი სახეზე აღებეჭდა: გაფერმკრთალდა, მოიღრუბლა, მოეძალა ტკივილი.

იყუჩა, იყუჩა და მერე თავისთავად აღმოხდა:

— მიშველეთ!

ცოტა დაყოვნება და, შეიძლება სული გაფრენილიყო.

საავადმყოფოში ყველა ფეხზე დიდგა.

— სასწრაფო ოპერაცია, მხოლოდ სასწრაფო ოპერაცია, — თქვეს ექიმებმა.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო შეა-

წუხა ტკივილებით ისედაც შეწუხებული სულხანი.

— ჩემთვის ოპერაცია, დამწვარზე მღვდარის დასხმა იქნება.

— ნუ გეშინია, გადაგარჩენთ. ბედნიერი კაცი ყოფილხარ. დროზე მოგიყვანეს.

ამ გაჭირვებაშიც „ბედნიერი კაცი“ უწოდეს.

სულხანი უკვე საოპერაციო მაგიდაზეა.

ჩაეძინა.

ორ საათზე მეტხანს იწვა ასე, გაუნძრევლად. თვალი რომ გაახილა, აღარ კენსოდა. თვალები მოიფშვინტა, მოქანცული ხმით წარმოთქვა:

— დალოცა ღმერთმა, აღარ მჭირდება ოპერაცია.

ექიმი ღიმილით:

— ოპერაცია დამთავრებულია.

— მართლა კი ვყოფილვარ ბედნიერი კაცი, — ძლივს გასაგონად თქვა სულხანმა.

ორი თავგადასავალი

საქმე ვისთვის როგორ აეწყობა, კაცმა არ იცის. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოცალეობა არა აქვს. სად აღარ ეძახიან, კვირა ისე გიღევა, სულ გამოძახება, გამოძახება. მეტად თავისებური გახდა კვირის ბოლო ღღე.

იმ დღეს სამომავლო გეგმებზე იყო სჯა-ბასი.

კარგა ხანს ილაპარაკა მომხსენებელმა. მერე სხვებიც გამოვიდნენ. მხარი დაუჭირეს.

აღარავინ აიღო სიტყვა.

მაშინ თავმჯდომარემ იკითხა:

— აბა კიდევ ვის გაქვთ სათქმელიო.

ვიგამ ასწია ხელი.

— ბრძანე!

წამოღდა ვიგა. მიიხედ-მოიხედა.

— მე რა უნდა ვბრძანო. შეკითხვა მაქვს: თუ შეიძლება, იმ ჩვენ კოლმეურნეობას ორი თავმჯდომარე დაენიშნოს?

— ვგ რა მოთხოვნაა?! — გაიკვირვა თავმჯდომარემ.

— რაღა, ერთი თავმჯდომარე ასე კრებებზე და გამოძახებებზე ივლის, მეორე კი სამუშაოს მიხედავს.

ატყდა სიცილი...

სიცილი ისეთი, რომელიც ცრემლზე უფრო მწარეა.

— ამხანაგო, ჩვენ აქ სახუმაროდ არ ვართ მოსული.

— არც მე ვხუმრობ, — თქვა ვიგამ.

ვგ საანაზნა?

პატარა შეკრებულობა!

საუბრობდნენ.

ვისაც რა აინტერესებდა, იმაზე

იწყებდა ლაპარაკს. ზოგს ეთანხმებოდნენ, ზოგს არა.

ამ შეკრებილობაში ყველანი ისეთი ასაკისა იყვნენ, შვილები ყავდათ. ზოგისა ახალი შესული იყო სკოლაში. ზოგისა უკვე დამთავრებულნი ჰქონდა საშუალო სკოლა. პირველი თუ მეორე კლასელის მამა ეუბნებოდა საშუალო სკოლადამთავრებულის მამას:

— შენ რა გიჭირს: ძმაო, შენმა ბიჭმა უკვე დაამთავრა საშუალო სკოლა.

— დაამთავრა. მერე რა?

— რა? ცუდად?

— ცუდად კი არა, ფრიალზე. მე-დალოსანია.

— აბა რა გადარდებს?

— აი, რა: ჩემ ფრიალოსან ყმაწვილს შეგვიკითხე, კრუხი რამდენი დღის შემდეგ გამოჩენს წიწილებს-მეთქი? ვერ მითხრა.

— მაგაზე დარდობ? მე პირადად მეცნიერმუშაკი ვარ. ინსტიტუტში ლექციებს ვკითხულობ, მაგრამ ეს არც მე ვიცი, — გაამართლა ის ყმაწვილი დარბაისელმა ქალმა, რომელსაც შეკრებულობის მონაწილენი ყველანი მოწიწებით შეჰყურებდნენ.

ხმა არავის გაუღია, მხოლოდ იმ ფრიალოსანის მამამ ხმადაბლა რაღაც თავისთვის ჩაილაპარაკა.

საგ. სარ. ...



შპს მგა
სარგის ცანიშვილი

შურაღლი „დროშა“ წინამდებარე ნომ-
რით სსენის ახალ განყოფილებას, რომ-
ლის ეპლენება ქართულ პოეზიას. შე-
კლავისაშვირ აქ იქნება წარმო-
განილი ქართული პოეზიის საუკ-
თნსო ნიშნები უკვალსი დროიდან.
ყოველ გათვანს დართვის მოკლე კოვენ-
ტარი ან რამდენივე შტრისი ამა თუ იმ
ავტორის შემოქმედებითი პროტრაქტიდან.
ორიოდე სიტყვა სათაურის შესახებ.

„იადგარი“ კველ საქართველოში კარგად
ცნობილი სიტყვაა და საგანგებოდ ნიშ-
ნავს „იადგარი“ ერქვა აგრეთვე თავისი-
გურ ანთოლოგიას, რომელშიც მოთავ-
სებული იყო სასულიარო სახითის კიბ-
ნები. ადრინაღ, „კოვეტარი იადგარი“,
კვიტარობთ, ზუსტად გათვანებას რადი-
ციის ჩანაფიქრს. გითხვავს გააცნოს
შარჩაული ნიშნები ქართული პოეზიის
საგანგებოდ.

ქველი ქართული პოეზია

(ნაწევრები საისტორიო ეპოსიდან)

„პოეტური იადგარის“ წინამდებარე გვერდი ეთობა ფრაგმენტებს ქველი
ქართული საისტორიო ეპოსიდან. ისინი გვხვდება წვენ „ქართლის ცხოვრების“
პირველ მონაკვეთში, რომლის სათაურია „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“
(სხვა ვარიანტით „პამბავე ქართველთა მეფეთა“) აღნიშნული მონაკვეთის
ავტორ-შემდგენლად ითვლება მე-11 საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტო-
რიკოსი ლეონტი მროველი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ფრაგმენტები „ქართლის ცხოვრებაში“ ძალზე
ქველი წყაროებიდან არის შემოტანილი და შეიცავენ ქრისტიანობამდელ ანუ
ანტიკური ხანის გადმოცემებს საქართველოზე.

გამორჩეულია მათ შორის ის მონაკვეთი, რომელსაც შემოუნახავს უქვე-
ლესი ცნობები მეფე ფარნავაზზე (დაახლ. III საუკ. ქრისტეს წინ). როგორც
ცნობილია ფარნავაზი ქართველი მეფეების, ფარნავაზიანთა საგვარეულოს დი-
ნასტიის, შამათავრად ითვლება.

ფარნავაზს სხვა საქველო საქმეებთან ერთად ქართველი ერის უქველესი
სსოვნა შიანერს ორი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-კულტურული აქციის
განხორციელებას: ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნასა და ქართული
დამწერლობის შემოღებას.

აქ მოტანილი ნაწევრები მიეკუთვნება ფრაგმენტთა იმ ციკლს, რომელსაც
პირობითად ეწოდება „თქმულებანი ფარნავაზზე“.

იგი საინტერესოა თავისი ფორმით. პველე ინგოროყვას მოსახრებით
აქ დაცულია ქველ-ქართული სალექსო საზომი „წეობილი სიტყვა რიცხვიდ“
ანუ შემოკლებით „წეობილი სიტყვა“. იგი ყურადღებას იპყრობს მკაცრ ნაკვეთ-
ბად დალაგებული ფრაგმენტით – ყოველი ცალკეული სტროფი შეიცავს დამ-
თავრებულ აზრს, რომელიც შინაგანად უკავშირდება მომდევნოს. თსრობის
დინამიზმს აძლიერებს სალექსო სტრიქონთა დაწყება „და“ კავშირით. საგუ-
ლისხმოა თვით მოთხრობით ამბავთა გრადაცია: ფარნავაზის სიზმარი, სიზმ-
რის ასდენა, განძის პოვნა, რაც სიმბოლურად გულისხმობს პროვინციულ
აზრს: მომხდური მტერი დამარცხდება, საქართველო (იბერია, ეგრისი) ერთ
მოლიან სახელმწიფოდ შეიკრება, რომელსაც ეყოლება ღვთივდადგინებული
მეფე და ეს მეფე იქნება სწორედ ფარნავაზ. ამ საკრალური აზრის გაცხა-
რებით მთავრდება კიდევ თქმულების ეს ნაკვეთი: „და სუემან ჩუენმან გუესს
ჩუენ ძლევა კეთილ“.

მეორე ფრაგმენტიც ასევე უქველესი წყაროებიდან უნდა იყოს მოხვედრი-
ლი „ქართლის ცხოვრებაში“. იგი მოგვითხრობს საქართველოს ისტორიიდან
ასევე ცნობილი პიროვნების იბერიის მეფის ფარსმანის ტრაგიკული აღსასრუ-
ლის ამბავს (იგი მოწამლეს მტრებმა) და ამის გამო სახალხო გლოვას. სა-
ქართველოს ისტორიიდან იგი ცნობილია აგრეთვე ფარსმან ქველის სახელით.
სხვათაშორის, ეს ის ფარსმანი გახლავთ (უფრო ზუსტად ფარსმან მეორე),
რომელიც მე-2 საუკუნეში მიიწვია რომის იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა და
პატივისცემის ნიშნად ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აღამართვინა ცხენზე ამ-
ხვდრებული ფარსმანის ქანდაკება.

ეს ფრაგმენტი ყურადღებას იქვეს იმითაც, რომ აქ ნახსენებია პროფე-
სიონალი რაფსოდები „მგოსანნი გლოვისანი“, რომლებიც ასევე იხსენიებიან
ქველ ბიბლიურ ტექსტებში. როგორც აკად. კორნელი კეკელიძე შენიშნავდა,
განსაკუთრებით საგულისხმოა ბოლო ოთხსტრიქონიანი ფრაგმენტი – ნიშნები
ქველ-ქართული „გლოვის“ ვანრისა. ფრაგმენტი საინტერესოა ეროვნული სა-
ზრისის აღიარებითაც. აქ გამოთქმულია შიში, რომ ფარსმანის საკვდილის
შემდეგ იმძლავრებენ „ნათესავნი უცხონი“. თითქოს წინასწარაა განინებული,
რომ ჩუენი ქვეყანა საუკუნეთა მანძილზე „უცხო ნათესავთან“ დაუსრულებული
ბრძოლის სარბიელი იქნებოდა.

თქმულებანი ფარნავაზზე

I სიზმარი ფარნავაზისა

მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი,
რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა,
და ეგულვებოდა განსლვა,
და ვერ განვიდა;

მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა
შუეი მზისა.

და მოერტყა წელთა მისთა,
და განიზიდა,
და განიყვანა სარკუმელსა მას.

და ვითარ განვიდა ველად,
იხილა მზე ქუე-მდაბლად
მიჰყო ხელი მისი, მოხზოცა ცვარი პირსა
მ(ზ)ისასა

და იცხო პირსა მისსა.

განიღვიდა ფარნავაზ და განუყურდა,
და თქუა: „სიზმარი იგი, ესე არს,
მე წარვალ ასბანს,
და მუნ კეთილსა მივეციმი“.

II ნადირობა და ბანძის კოვეტა
ფარნავაზისაბან

ხოლო მას დღეს შინა განვიდა ფარნავაზ
და ნადირობდა მარტო,
და დევნა უყო ირემთა ველსა დიდომისასა.
და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა
ტფილისასათა.

მისდევდა ფარნავაზ. სტყორცა ისარი
და ჰკრა ირემსა.
და მცირად წარვლო ირემმან
და დაეცა ძირსა კლდისასა.

მოვიდა ფარნავაზ ირემსა ზედა:
და დღე იგი, მწუხრი, გარდახდა,
და დაქდა ირემსა მის თანა, რათამცა
დაქოქმუნ ღამე

და დილეულმცა წარვიდა.

ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო,
რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვეთა ძველად,
და სიძულეთა შექმნილად დარღუევა
შენებულსა მას.

მაშინ დაასხა წუთია მძაფრი.

ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი
და გამოარღვია კარი ქუაბისა მის,
რათამცა მუნ დაიშრალა წუთისა მისგან,

და შევიდა ქუაბსა მას,
და იხილა მუნ-შინა განძი ოქრო და ვეცხლი
და სამსახურებელი ოქროსა
და ვეცხლისა მიუწლომელი.

მაშინ ფარნავაზ განკუთრდა
და აღივსო სიხარულითა.
და მოეგონა სიზმარი იგი,
და დაჰკრძალა კარი ქუაბისა ეგრეთვე,

და მსწრაფლ წარმოვიდა
და უთხრა დედასა თუისსა
და ორთა დათა მისთა.
და მასვე ღამეცა წარმოვიდეს სამნივე იგი
სახედრებთა და ჭურჭლებთა.



მიხილ ბულგაკოვი თბილისში 1921 წლის 21 მაისს ჩამოვიდა, რათა ნიადაგი მოეხინჯა აქ მუშაობის დასაწყებად. სამწუხაროდ, ვერ გამოინახა შესაფერისი სამუშაო.

მაისის ბოლოს ბულგაკოვი ბათუმშია. თუ სად ცხოვრობდა ცოლ-ქმარი, ამის შესახებ დღემდე არაფერი ვიცით. ამაზე ძალზე მოკლედ სწერს მე-უღლეც: „ჩვენ აქ ვნახეთ ოთახი... ორი თვე ვიცხოვრეთ. მიშა ცდილობდა, გაზეთებისათვის რაიმე დაეწერა, მაგრამ მისგან არაფერს არ ღებულობდნენ...“

მაისის ოცდა ხოლმე და სწერდა... ბოლოს მიშამ მიიხილა, რომ წავსულიყავით მოსკოვში და იქ დავლოდებოდი: სადაც არ უნდა ვიყო, მე შენ გამოგიძახებ, როგორც ყოველთვის გიძახებდიო. მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ სამუდამოდ ვშორდებოდით ერთმანეთს, ვტყუროდი“.

როგორც ჩანს, მწერალი ბათუმში 24 აგვისტომდე დარჩენილა. ამაზე მოწმობს მწერლის დის ნ. ზემსკაიას (1893—1971) წერილი, რომელიც მის ქმრისთვის გაუგზავნია კივიდან მოსკოვში: „ახალი ამბავი: ბათუმიდან ჩამოვიდა ტასია (მიშას ცოლი), მიდის მოსკოვში, ხოლო თვითონ ჯერჯერობით ბათუმში ზის“.

ამის შემდეგ მ. ბულგაკოვი მართლაც სამუდამოდ დაშორდა ტ. ლაბა-კისელოვს და ცხოვრების თანამგზავრად ლუბა ევგენის ასული ბელოზერსკაია აირჩია.

როგორც ირკვევა, იგი ბათუმში დარჩა 1921 წლის სექტემბრის პირველ ნახევრამდე, 17 სექტემბერს უკვე კიევშია, ხოლო სექტემბრის 23-26 რიცხვებს შორის მოსკოვს ჩააღწია.

ამგვარად, მწერალი საქართველოში სამთვენახევარს დარჩა და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე ზღვისპირეთში. „ციხისძირი, მახინჯაური, მწვანე კონცი! მაგნოლიები ყვავილობენ, თეთრი ყვავილები თევზის ოდენაა. ზანანები, პალმები. გეფიციებით, მე თვითონ ვნახე, პალმა როგორ იზრდება და ზღვაც განუწყვეტლევ ეხეთქება გრანიტის ლოდებს. არ ტყუოდნენ წიგნებში, მზე ზღვაში იძირებაო. ზღვის სიმშვენიერე, ცამდე აზიდული ციკაბო კლდე და მასზე გართხმული მცენარეები... ჩაქვი, ციხისძირი, მწვანე კონცი“.

მიძიმე დღეები ჰქონდა მწერალს ბათუმში. სამოქალაქო ომმა, ინტერვენციამ და ოკუპაციამ თავისი დალი დასვა ისედაც გაჩანაგებულ პატარა ქალაქს. „ბოლოს მოთმინების ფილა ამევსო: ბაზარზე გავყიდე მაზარა. საღამოთი მიდის გემი... სახლში ზღვით, შემდეგ ორთქმავლით, თუ ფული არ მეყოფა, ფეხით დავბრუნდები, მხოლოდ სახლში!“ — სწერს იმედგაცრუებული მწერალი.

ოცინი წლების კრიტიკა ძალზე უარყოფითად აფასებდა ბულგაკოვის შემოქმედებას, მისი ნაწარმოებები იშვიათად იბეჭდებოდა, პიესები ჩჭობს სკენიდან. მწერლის საწინააღმდეგოდ გამოქვეყნდა 300-მდე კრიტიკული წერილი (ავერბახი, ბილ-ბელოცერკოვსკი, ბლიუმი, გროსმანი, მუსტანგოვა, ნუსინოვი, როშინი და სხვა). ბულგაკოვს მიაწერდნენ პოლიტიკური ხასიათის შეუღობებს. ე. მუსტანგოვას მიაჩნდა, რომ „რომანი „თეთრი გვარია“ მკაფიოდ და გულდასმით გამოთქვამს პროტესტს იმ „შემთხვევით“ და მტრული ძალების მიმართ, რომლებმაც დაანგრია ტურბინთა ზღვის მყუდროება და სიწყნარე და მასთან დაკავშირებული კულტურა“. კრიტიკოსი ერთი ხელის დაკვრით რომანის ემოციური და სტილისტური სახის განმსაზღვრელ ამოსავალ წერტილს თვით ავტორის სოციალურ ბუნებაში ხედავს (ბულგაკოვი პროფესორის ოჯახში გაიზარდა). ეს მაშინ სერიოზული ბრალდება იყო. მწერალი იძულებული გახდა, განცხადებით მიემართა სტალინისათვის, რომელმაც ტელეფონით უპასუხა: „ჩვენ თქვენი წერილი მივიღეთ, წავიკითხეთ ამხანაგებთან ერთად, თქვენ მასზე კეთილსასურველი პასუხი გეწებათ“.

ესეც საკმაო აღმოჩნდა ბულგაკოვისათვის, რომ ახალი ძალითა და ენერჯით შესდგომოდა მუშაობას. იგი სამუშაოდ მიიღეს სამხატვრო თეატრში

რეჟისორად, ასისტენტად და კონსულტანტად. თუმცა მ. ბულგაკოვზე თავდასხმა ლიტერატურული წრეებიდან მაინც გრძელდებოდა. მისი რეცენზენტები მოითხოვდნენ, დაერტყათ „ბულგაკოვშიჩინისათვის“. მაფირო კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარდა პიესა „ტურბინთა დღეები“, რომელსაც „თეთრების“ მოქმედების აბოლოგიად თვლიდნენ.

სტალინისადმი მიწერილ ბარათში დრამატურგი ვ. ნ. ბილ-ბელოცერკოვსკი მწვანედ გამოვიდა პიესა „ტურბინთა დღეების“ წინააღმდეგ და მოითხოვა მისი აკრძალვა. ამის საპასუხოდ 1929 წლის 2 თებერვალს სტალინი, რომელიც რამდენჯერმე დასწრებია სპექტაკლს, წერდა: „რაც შეეხება თვითონ პიესას „ტურბინთა დღეები“, იგი არცთუ ისე ცუდია, ვინაიდან სარგებლობას მეტს იძლევა, ვიდრე ზიანს. ნუ დაივიწყებთ, რომ ძირითადი შთაბეჭდილება, რომელიც ამ სპექტაკლის მაყურებელს რჩება, ბოლშევიკებისათვის ხელსაყრელი შთაბეჭდილებაა: თუ ტურბინებისთანა ადამიანებიც კი იძულებულნი არიან იარადი დაყარონ და ხალხის ნებას

როცა მოსკოვის სამხატვრო თეატრი, პირადად ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო დაინტერესდა საქართველოს მუშათა მოძრაობის მხატვრული ასახვით, უკეთესს რას მოიფიქრებდნენ: წინადადებდა მასსტკი ბულგაკოვს, ბოლომდე მიეყვანა ადრე ჩაუღრმებული შემოქმედებითი გეგმა. 1936 წლის 7 თებერვალს მწერლის ცოლს ელენე სერგეევნას თავის დღიურში ჩაუწერია: „მიშამ საბოლოოდ გადაწყვიტა სტალინზე პიესის დაწერა“.

როგორც თვით დრამატურგი ამბობდა, იგი ღამეებს ათენებდა, რაც დაგვირგვინდა პიესის შექმნით. „პიესას თავდაპირველად ერქვა „მომღვარი“ (ახალგაზრდა სტალინის ერთ-ერთი პარტიული მეტსახელი), შემდეგ მას ავტორმა „ბათუმი“ დაარქვა“, — სწერდა თავის მოგონებებში თეატრმცოდნე და ისტორიკოსი ვ. ვილენკინი. მოქმედება იშლება ბათუმში, წარმოდგენილია პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნის ამსახველი მომენტები. რსდმპ ბათუმის კომიტეტის მუშაობა, რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა.

გიორგი სუბაშვილი საქართველოში

მიხილ ბულგაკოვის (1891—1940) ბიოგრაფია და შემოქმედებითი მოღვაწეობა საბჭოთა მკითხველისათვის ერთხანს ნაკლებად იყო ცნობილი. სამოციანი წლებიდან რუსულ ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდა საკმაოდ ვრცელი სტატიები და შენიღბული გამოკვლევები. მიუხედავად ამისა მიხილ ბულგაკოვის საქართველოში ყოფნასა და აქ შექმნილ ნაწარმოებებზე მხოლოდ ეპიზოდური ხასიათის ცნობები გვაქვს.

ჩვენ შევედრეთ თავი მოგვეყვარა და შეძლებისდაგვარად ერთ მილიონობაში წარმოგვედგინა ის მასალები, რომლებიც ბულგაკოვის კავახანში, კერძოდ, საქართველოში ყოფნას შეეხება.

დაემორჩილონ, საბოლოოდ წაგებულად სცნონ თავიანთი საქმე, ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკები უძლეველი არიან, მათ, ბოლშევიკებს, ვერაფერს უხამთ. „ტურბინთა დღეები“ ბოლშევიზმის ყოველისშემძლე ძალის დემონსტრაციაა.

რა თქმა უნდა, ავტორის სულაც არ მიუძღვის ბრალი ამ დემონსტრაციაში. მაგრამ ჩვენ რა გვესაქმება იმასთან?..“

სამწუხაროდ, 1929 წელს დაწერილი პასუხი გამოქვეყნდა მხოლოდ 1949 წელს, მწერლის გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ, რის გამო თავდასხმა ბულგაკოვზე თითქმის მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა. მიუხედავად ამისა, 1932 წელს საბჭოთა მთავრობამ ნება დართო, განეახლებინათ „ტურბინთა დღეების“ დადგმა სამხატვრო თეატრის სცენაზე.

ბათუმში ბულგაკოვი ხშირად ჩამოდიოდა. ლუბა ევგენის ასულმა ბელოზერსკაიამ, რომელიც 1924—1932 წლებში მწერლის გვერდით იყო, გვაცნობა, რომ ისინი რამდენიმეჯერ იყვნენ ბათუმში, მწვანე კონცხზე ცხოვრობდნენ ბარათოვას ავარაკზე.

შეიძლება დაზუსტებულად ჩაითვალოს, რომ მწერალი საქართველოში ჩამოვიდა 1921, 1928, 1929, 1933 წლებში.

მწერალი აქ ჩამოდიოდა არა მხოლოდ დასასვენებლად, არამედ ისტორიულ-რევოლუციური ადგილების შესასწავლად, რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილეთა გასაცნობად და მასალების შესაგროვებლად ახალი პიესისათვის. ასეთი პიესის შექმნის იდეა კი დრამატურგს საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩაესახა.

გადაწყდა, პიესა დაედგათ 1939 წლის 21 დეკემბერს, ი. სტალინის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით. ავანტიურის მიუხედავად დრამატურგი პიესაზე მუშაობდა დიდი გატაცებითა და შემოქმედებითი სწრაფვით. 14 აგვისტოს მ. ბულგაკოვი, ელენე სერგეევნა, რეჟისორ-ასისტენტი პ. ლესლი და სარგებრტუარო განყოფილების გამგე ვ. ვილენკინი მატარებლით გაემგზავრნენ საქართველოში — ქუთაისსა და ბათუმში საარქივო მასალების შესაგროვებლად და შესასწავლად. ბათუმში მათ უნდა შემოერთებოდათ სპექტაკლის მხატვარი ვ. დიმიტრიევი და სადადგმო ნაწილის გამგე ი. გრემისლავსკი. როცა ი. სტალინი მოახსენეს პიესა „ბათუმის“ დადგმისათვის მზადებაზე, სადაც მთავარი გმირი ახალგაზრდა სტალინი უნდა ყოფილიყო, მან თქვა: „ყველა ბავშვი და ახალგაზრდა ერთნაირია. არაა საჭირო ახალგაზრდა სტალინზე პიესის დადგმა“.

ელვა-დეპეშამ, რომელიც მატარებელში მიიღეს, შემოქმედებითი ჩგუფი სერბუხოვოდან აიძულა, უკან დაბრუნებულიყო. მ. ბულგაკოვს და ელენა სერგეევნას კი გზა გაუგრძელებიათ. რაკი წამოსული ვართ, ბარემ ბათუმში ჩავიდეთ და დავისვენოთო, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრებიათ და ტულიდან ისინიც უკან მობრუნებულან.

ამ შემთხვევიდან ექვსიოდე თვის შემდეგ მიხილ ბულგაკოვი გარდაიცვალა. ეს იყო 1940 წლის 10 მარტს.

რამაზ სურმანიძე.



კავკასია ბრუნისკი-ბაზრასიონი



პეტრე გრუზინსკის სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. მას უცვლელად ასახელებდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილ რუს მხატვართა — რეპინის, სურიკოვის, მაკოვსკის გვერდით. იგი ცნობილი იყო როგორც გრუზინსკი, თუმცა მისი ნამდვილი გვარია ბაგრატიონი. გრუზინსკის გვარით შევიდა ის სახვითი ხელოვნების ყველა წიგნში, გამოცემაში, ყველა ენციკლოპედიაში.

პეტრე გრუზინსკიმ უზარმაზარი მემკვიდრეობა დატოვა. მისი თანამედროვენი ადასტურებდნენ, რომ მან დახატა ასობით პორტრეტი, საყოფაცხოვრებო სცენები, პეიზაჟები. მის სურათებს ხალხით იძენდა იმპერატორი ალექსანდრე მეორე. ისინი დღესაც ამშვენებენ მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის სხვა ქალაქების მუზეუმებს, მაგრამ საქართველოში, სამწუხაროდ, მის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, ხოლო მისი ნახატები რესპუბლიკის არც ერთ მუზეუმში არ მოიძებნება.

პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონი ვახტანგ VI-ის უფროსი შვილის, უფლისწულ ბაქარის შთამომავალია. იგი დაიბადა 1837 წელს ქალაქ კურსკში, ხელმოკლე მემამულის ნიკოლოზ ბაგრატიონის ოჯახში, რომელმაც, ისევე როგორც ვახტანგ VI და საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII დანარჩენმა შთამომავლებმა, თავისი გვარი გრუზინსკის გვარით შეცვალა. ამრიგად, წლებადელი წელი მისთვის საიუბილეოა — დაბადების ასორმოცდამეათე წელი.

ბავშვობიდანვე შეყვარებული ფერწერაზე, 1851 წელს შევიდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. კონკურსზე წარადგინა ნამუშევრები, რომლებიც ასახავდნენ საქართველოს ბუნებას, ძირითადად მთის პეიზაჟებს. მართალია, პეტრე გრუზინსკის მანამდე არ უცხოვრია საქართველოში, მაგრამ როგორც ეტყობა, პეიზაჟები დახატა ან საკუთარი ფანტაზიით, ან მშობლების ნაამბობით.

სამხატვრო აკადემიაში მის ხელმძღვანელებს შორის იყო ცნობილი პროფესორი ბოგდან (გოტფრიდ) ვილევალდე, რომელმაც ძალიან ხანგრძლივად, 95 წელი იცოცხლა და რუსი მხატვრების რამდენიმე თაობა აღზარდა. თავად ბ. ვილევალდე, ისევე როგორც სხვა დიდი მხატვრები, რომლებიც პეტრე გრუზინსკის გარშემო მოღვაწეობდნენ (თევდორე გორშელი, ვასილ ვერეშჩაგინი), ნამყოფი იყო კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, თბილისში. შეუძლებელია, მათ გავლენა არ მოეხდინათ მისი ნიჭის მხატვრულ განვითარებაზე.

ასეა თუ ისე, აკადემიაში სწავლის დროს მის მიერ შექმნილი პირველი სურათები აგრეთვე კავკასიას ეძღვნება. სურათები „ლუნიხის უკანასკნელი შტურმი“ და „მთიელთა მიერ აულის დატოვება“ ექსპონირებული იყო მოსკოვის სრულიად რუსეთის გამოფენაზე. მათ მოიპოვეს ოქროს მედალი და ითვლებიან მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის რუსული რეალისტური ფერწერის შედეგებად. სხვადასხვა ჯილდო — დიდი და პატარა ვერცხლის მედლები, რამდენიმეჯერ მინიჭებია მის სხვა ნამუშევრებსაც.

1863 წელს პეტრე გრუზინსკი პრაქტიკაზე გამგზავრებულია საზღვარგარეთ, ყოფილა გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში. დაუხატავს სურათები: „ზუავების პიკეტი საფრანგეთში მა-

ნევრების დროს“, „ფენტენბლოს ბაზარი“, „იტალიელთა ცეკვა პარიზის ერთ-ერთ ქუჩაში“...

1865 წელს ჩამოვიდა კავკასიაში. ჩამოსულა და აქ შეუქმნია კავკასიური სცენების ალბომი („მხატვრის მოგზაურობა კავკასიაში“), საქართველოს პეიზაჟები, ყანრული სცენები ადგილობრივი ცხოვრებიდან. აქვე შეუსრულებია ჩანახატები ნატურიდან, შეუსწავლია ადგილობრივი ტიპაჟები და დაუწყია მასალების, ტანსაცმლისა და საოჯახო ნივთების შეგროვება. ამ დროს მას ჩაფიქრებული ჰქონია დიდი ტილო „რუსეთის ჯარების მოახლოებისას მთიელთა მიერ აულების დატოვება“.

ამ სურათმა, რომელიც ნაჩვენებია იყო 1879 წელს სამხატვრო აკადემიის გამოფენაზე, იმდროინდელი რუსული პრესის მეტად დიდი შეფასება დაიმსახურა, ავტორს კი აკადემიკოსის წოდება მიენიჭა.

1889 წელს პეტრე გრუზინსკიმ შექმნა მეორე დიდი ბატლური ისტორიული სურათი „ლეიბ-გვარდიის მარშლის დაუეს ალალის აღება ულანთა პოლკის მიერ 1812 წლის 5 ნოემბერს“.

პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონი ავტორია ომის თემაზე შესრულებული მრავალი სხვა ყანრული სცენის, პორტრეტის, საყოფაცხოვრებო სურათისა და ნახატისა. მათ შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს „ბოშათა ბანაკი“, „ცხენების რემა კავკასიაში“, „კავკასიაში, დუქანთან“, „ლუკი ქალი“, „ტროიკა ქარბუქში“, „სცენა სოფლის ცხოვრებიდან“, „შეხვედრა ეკლესიიდან დაბრუნებულ ახალდაქორწინებულებთან“, „თიბვა მალოროსიაში“, „ყველიერი“, „კახაკა დაზვერვა“, „კახაკები ცხენებს არწყულევენ“, „ნადირობა მელიებზე“ და მრავალი სხვა.

პეტრე გრუზინსკი ცნობილი იყო, როგორც კავკასიელ მთიელთა ტანსაცმლის, კავკასიური იარაღის, ქართული ქაშაბების, ყანწებისა და სხვა სუვენირების კოლექციონერიც.

გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს მისი ალბომი „მხატვრის მოგზაურობა კავკასიაში“. სწორედ ამ ალბომშია შემონახული მრავალი ჩანახატი, ილუსტრაცია, პორტრეტი.

მისი სურათები არაერთხელ იყო გამოტანილი პარიზის, ლონდონის, ვენის, ფილადელფიის საერთაშორისო გამოფენებზე. პეტერბურგისა და მოსკოვის სრულიად რუსეთის გამოფენებზე. ეს სურათები დაიბეჭდა ჟურნალებში „გემირანია ილუსტრაცია“, „ნივა“, „სევერი“... მაგრამ ქართველ ხელოვნების მოყვარულებს არც ერთხელ არ უნახავთ საქართველოში პეტრე გრუზინსკის არც ერთი სურათი. ჩვენმა ახალგაზრდობამაც ძალიან ცოტა რამ იცის მხატვარი რეალისტის პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონის შესახებ.

ადამიანი, რომელმაც სხვა დიდ რუს მხატვრებზე ადრე განავითარა და გაამდიდრა ისეთი რთული ყანრი, როგორცაა ბატლური ფერწერა, წარმოშობით ქართველი, ქართული ოჯახიდან გამოსული კაცია და უეჭველად იმსახურებს ყურადღებას. ამიტომ ქართველი ხელოვნებათმცოდნეების, მკვლევარების, მხატვრების ვალია, რაც შეიძლება მალე აღადგინონ ამ დიდი მხატვრის სახელი, რომელიც პეტერბურგში გარდაიცვალა 1892 წელს, ორმოცდათექვსმეტი წლისა.

ზორიანი ქალაქები

პირ

ლაპირაკისტი

ღამე ქალაქის უკაცრიელ ქუჩაში ბოროტი ანგელოზი მიდიოდა. ქარი დმუღდა სახლებს შორის, მძვინვარებდა სახურავებზე. ქუჩაში ანგელოზის გარდა არავინ იყო დამარტული

და ტუნებმოკუმული მიდიოდა იგი ქარის საპირისპიროდ. სისხლივით წითელი მოსახსნამი უზარმაზარ ფრთებს უფარავდა კათედრალური ტაძრიდან გამოქცეა, სადაც ძალიან დიდ-

ხანს ნესტიან, დახუთულ ჰაერში იდგა. საუკუნეების მანძილზე სუნთქავდა სახანთისა და საკმეველის სურნელებით. საუკუნეების მანძილზე ისმენდა გალობას და ლოცვას, ადვლენილს მკვდარი ღმერთისადმი, რომელიც მლოცველთა თვეზემოთ იყო ჩამოყიდებულ საუკუნეების მანძილზე დაცქეროდა მუხლომდრკილ, იატაკზე გართხმულ ადამიანებს, ცისაკენ მხერამიპყრობილნი რომ ბუტბუტებდნენ, რაღაც სისულელეებს, რისიც თავად სჯეროდათ. მშინმარაბობო, ტყუილებში რწმენით მყურალებული, გულმამრევი შინით, არე-

ული აზრებითა და უბადრუკი იმედით, როგორმე დაუსხლტდნენ განაჩენს: როგორც იქნა, თავი დააღწია, განთავისუფლდა ბორკილებისაგან, თავისი დაუწინებელი ვეზი სალოცვეზე შედგა და წმინდა შესაწირით სავსე თასი გადააპირქვავა ბრუნძორველი იატაკზე დაეშვა, მლოცველთა საქამები ფეხით მიყარმოყარა. ირგვლივ კედლებზე წმინდანთა სურათები ეკიდა, კეთილმოზობილოური, აღფრთოვანებული სახეებით გისოსებს იქით რელიკვიებს გახრწნის სუნი ასდიოდა. მსიღმში წინათლე ენთო გატუნებულ

ზალახზე ჩვილი ესვენა, რომლის წინ
სანთლისაგან ჩამოსხმული დედა მუ-
ხლებზე იდგა. ცრუ, უაზრო ნაგავი!
ფენის ერთი დარტყმით კარი გააღო
და ქარიან ღამეში გავიდა.

ის იტყვის სიმართლეს!
ჭიშკარს რომ გაცდა, გაჩერდა
და მიმოიხედა. აი, თურმე, სად და
როგორ ცხოვრობენ ადამიანები!

ანგელოზი ერთი სახლის წინ გაჩე-
რდა და ირგვლივ ცეცხლოვანი მზე-
რა მოატარა. შემდეგ დაშინით, რო-
მელსაც მუდამ თან დაატარებდა, ჭი-
შკარზე ჯვარი ამოკეთა.

— შენ მოკვდები! — თქვა ჩუმიად,
თავისთვის.

ასე დადიოდა სახლიდან სახლამდე
და ყსაბის დანასავით მოკლე
ღამით, ჭიშკარზე ჯვარს უსვამდა.
ასე შემოიარა მთელი ქალაქი. არც
ერთი სახლი არ გამოუტოვებია.

თავის საქმეს რომ მოიჩა, გავიდა
ქალაქგარეთ, უკაცრიელ ალაგას. აქ
ანგელოზმა გაიძრო თავისი მოსასხა-
მი, გამოიშვლია, ფრთები გაშალა და
წყვდილაში გაუჩინარდა.

როცა დილით ადამიანებმა ყველა
კარზე ჯვარი ნახეს დასმული, ძალზე
გაიოცეს, თანაც დაინტერესდნენ,
თუ როგორ მოხდა ეს და რატომ?
ჩვეულებრივად იმსჯელეს ამის შე-
სახებ და საქმეებზე წაიღო-წამოვიდ-
ნენ. ვერ გაეგოთ: ვის რაში დასჭი-
რდა ჭიშკარზე ამ ნიშნის დასმა,
რომლის მნიშვნელობაც ისედაც კარ-
გად იყო ცნობილი! განა არ შეიძ-
ლებოდა სხვა, რაიმე უფრო მნიშვნე-
ლოვანი შეეხსენებინათ მათთვის?

— თავიდან კარგად ვიცი, რომ
მოკვდებითო, — ამბობდნენ ისინი.

გმირის სიკვდილი

ერთ ქალაქში, სადაც ხალხს სულ
ახლა-ახალი გართობები სწყუროდა,
კონსორციუმმა მოიწვია გამბაზი
შემდეგი პირობით: ჯერ უნდა ეწარ-
მოებინა ბალანსირება ეკლესიის შპი-
ლზე, თავით დამდგარიყო, მერე გა-
დმოგარდნილიყო და მიწას დანარტ-
ხებოდა, საამაგიეროდ გასამრჯელოდ
ხუთას ათას მიიღებდა. ამ ჩანაფიქრ-
მა მოსაბლუობის ყველა ფენის დიდი
ინტერესი გამოიწვია. ბილეთები რე-
მდენიმე დღით აღრე გაიყიდა და
ყველა ერთთავად ამაზე ლაპარაკობ-
და. აი, ეს, მართლა რომ სიმამაცაა
— ვერაფერს იტყვი! მაგრამ თანაც
საკმაოდ შთამბეჭდავია! რა თქმა უნ-
და, არც ისე სასიამოვნოა, გადმოვარ-
დე და დაიმტვრე, თანაც ასეთი სი-
მალიდან, თუმცა გასამრჯელოც
ძალზე დიდი იყო და ამაში არავის
ეპარებოდა ეჭვი.

კონსორციუმმა, როგორც სანახაო-
ბის მომწყობმა, მართლაც არ გამოი-
ჩინა სიმბუნე და მოქალაქეები ამი-
ყოვნდნენ, რომ მათ ქალაქში ასეთი
სანახაობა უნდა გამართულიყო. სავ-
სებით ბუნებრივია, დიდი ინტერესი
გამოიწვია ამ პიროვნებამ, რომელიც
ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე
დათანხმდა. რეპორტიორები გარს ეხ-
ვეოდნენ მამაც კაბუქს, იგი ქალაქის
საუბრეთესოს სასტუმროს წომერში
სიამოვნებით ღებულობდა ქურნალი-
სტებს.

— ჰმ, ჩემთვის ეს მხოლოდ გარ-
გებაა. შემომთავაზეს გარკვეული თე-
ნა და მეც დავთანხმდი. აი, სულ
ესაა.

— ნუთუ არ გიფიქრიათ იმაზე,
რომ ეს გადმოვარდა შეიძლება სი-
ცოცხლის ფასად დაგვადოთ! თუმცა
სხვა ფინალი შეუძლებელია, რადგან
სენსაცია აღარ გამოვიდოდა და კონ-
სორციუმში არ გაიღებდა ამხელა თე-
ნას. პირადად თქვენთვის ამაში ცო-
ტაა სასიხარულო.

— კი, მართალი ბრძანდებით! მეც
მიფიქრია ამის თაობაზე, მაგრამ რა-
ღას არ ვხედავ ფულისათვის, — პასუ-
ხობდა მამაცი კაბუქი.

ამ გამონათქვამების საფუძველზე
პრესამ გამოაქვეყნა დიდი სტატიები
დღემდე უცნობი ადამიანის შესახებ,
მის დამოკიდებულებაზე თანამედრო-
ვეობის სხვადასხვა პრობლემებთან.
დიდი ადგილი ეთმობოდა მის ხასი-
ათსა და პირად ცხოვრებას.

არც ერთი გაზეთი არ გამოდიოდა
გმირის ფოტოსურათის გარეშე. გაზე-
თების ფურცლებიდან თქვენ გიყურ-
ებდით საღად მოაზროვნე, საკუთარ
თავში დარწმუნებული, ენერგიით სავ-
სე ახალგაზრდა ადამიანი. ერთი სი-
ტყვით, იგი თანამედროვე ახალგაზრ-
დობის საუკეთესო ნაწილის ტიპიუ-
რი წარმომადგენელი იყო. მისი პორ-
ტრეტი მსჯელობისა და შესწავლის
საგანად იქცა ყოველ კაფეში: ხალხი
მომავალი სენსაციისათვის ემზადე-
ბოდა. ყველას მიაჩნდა, რომ იგი
წარმოსადგეგი და სიმბათური ყმაწ-
ვილია. ქალებს მომხიბლავიც კი ეჩ-
ვენებოდათ. ზოგიერთი, ვინც შედარ-
ებით ჭკუათმყოფელი იყო, მხრებს
ჩეჩხავდა და ამბობდა: „კარგად მო-
უფიქრებიათო“. მაგრამ ერთ რამე-
ში ყველა ერთსულოვანი გახლდათ:
„ეს უცნაური, ფანტასტიკური იდეა,
მხოლოდ ჩვენს უჩვეულო საუბრე-
ში შეიძლება დაბადებულიყო,
საუბრეში, რომელიც მზადაა, ყვე-
ლაფერი მსხვერპლად გაიღოს წუთი-
ერე სიამოვნებისათვის“.

თუმცა არც იმას მალავდნენ, რომ
კონსორციუმში ასეთი სანახაობის მოწყ-
ობისათვის ყოველგვარ ქებას იმსა-
ხურებდა და ანგარიშგასაწევია ისიც,
რომ იგი ხარჯებს არ შეუშინდა მო-
ქალაქეთა თავშესაქვევად. ექვზარე-
შეა, კონსორციუმში ხარჯების დავარ-
გას ბილეთებში აღებული ფულით
იმედოვნებდა. ბილეთები კი საკმაოდ
ძვირი ღირდა, თუმცა რისკი მაინც
იყო.

და, აი, დაღვა ღირსშესანიშნავი
დღე. ეკლესიისათვის უამრავმა ხალხმა
მოიყარა თავი. დაძაბულობამ ზღვარს
მიადწია. სუნთქვაშეკრული ხალხი
ელოდა იმას, რაც უნდა მომხდარიყო.

და, როგორც მოსალოდნელი იყო,
ადამიანი გადმოვარდა, ყველაფერი
სწრაფად მოხდა. ხალხი ერთი კი შე-
ტორტმანდა, მაგრამ მალე იმედგაც-
რუბულები სახლებისაკენ გაემართ-
ნენ.

რა თქმა უნდა, ეს შესანიშნავი
იყო, მაგრამ იგი ხომ მხოლოდ გლე-
მოვარა და დაიმტვრა. ერთი სიტ-
ყვით, ძვირი დაუჯდათ ეს სანახაობა,
რომელიც საბოლოო ჯამში ასეთი
იოლი აღმოჩნდა. მართალია, კაცი
ძალიან დაშვდა, მაგრამ რა არის აქ

სასიხარულო! დასრულდა იმედებით
აღსავსე ახალგაზრდა სიცოცხლე.

უკმაყოფილო მოქალაქეები თავჩა-
ქინდრულნი მიდიოდნენ სახლებში.
ქალებმა მზის სხივებისაგან თავის
დასაცავად ქოლგები გაშალეს. მიდი-
ოდნენ და ამბობდნენ, საჭიროა აიკ-
რძალოს ასეთი შემადარწმუნებელი სა-
ნახაობებიო. ამა ვის მოგვრის სიამ-
ოვნებას ამის დანახვა? კარგად თუ
დავფიქრდებით, უბრალოდ, ეს აღმა-
შფოთებელიც კი არისო.

სივარული და სიკვდილი

ერთხელ, საღამოთი, სატრფოსთან
ერთად ქუჩაში მიდიოდით. უეცრად
პირქუში სახლის ჭიშკარი გაიღო,
რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივად და სიბ-
ნელიდან ამურმა გადმოგა ფეხი.
მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი, პა-
ტარა ამური. ეს იყო უზარმაზარი მა-
მაკაცი, მძიმე, დაძარღვული, ბალნი-
ნი. იგი უფრო ჯანიან მსროლულსა
ჰგავდა. მან თავისი უზარმაზარი შეი-
ლილი მოზიდა და ისარი პირდაპირ
მკერდში მტყორცნა. შემდეგ კი გაქ-
რა, მიხურა სახლის ჭიშკარი, უფრო
ბნელსა და უსიხარულო კოშკს რომ
წაავადდა.

მე ძირს დავეცი. ჩემი სატრფო კი
გზას განავრძობდა. ალბათ, ვერ დაი-
ნახა... მე რომ დავეცი, რომ დანახა,
ხომ გაჩერდებოდა, დაიხრებოდა ჩემ-
კენ და შევლას შეეცდებოდა. ის კი
სულ უფრო შორს მიდიოდა. და
მიდიოდა. და მე გავიფიქრე: ეტყო-
ბა ვერაფერი შეაჩნია — მეთქი.

ჩემი მკერდიდან გადმოშვდარი
სისხლი უკან აედევნა წყალსადენი
მილით, მაგრამ სულ მალე შეწყდა
იმიტომ, რომ სულ დაიცალა.

თავგადასახალი

შავილქინანი ხომალდი ჩემს წასა-
ყვანად ნაპირს მოადგა. მეც უყოყ-
მანოდ ავედი გემბანზე. ახალგაზრდა
და უღარდელი კაცი რა ხანია ზღვა-
ზე ვოცნებობდი. აი, ჩვენ მოვეცილ-
დით ნაპირს, რომელიც მალე კიჩოს
მიღმა გაუჩინარდა, ქარმა წინ გაიგ-
ლო ხომალდი. მეზღვაურები ძალზე
პირქუშები და სიტყვათმწეები აღმო-
ჩნდნენ. ჩვენ მივცურავდით და მივ-
ცურავდით დღისით და ღამით, სულ
წინ და წინ. მიწა არ ჩანდა. მივცუ-
რავდით და მივცურავდით ზურგის
ქარით, ღია ზღვაში. წლები გადიო-
და. მიწა კი არსად ჩანდა. ეს უცნა-
ურად მეჩვენა და რომ გამეგო, თუ
რაში იყო საქმე, ვითხე ერთ-ერთ
მეზღვაურს. მან მოაპსუხა: მიწა შთა-
ინთქა, განადგურდა, ოკეანის ფსკერ-
ზე დაეშვა და მხოლოდ ჩვენ დაგვრ-
ხით ცოცხლებით.

გავინდობა თავხარი დამცა. კიდევ
დიდხანს მივცურავდით ზღვის უკი-
დეგანო სივრცეში, ქარი აფრიალებ-
და შავ იალქანს. ყველაფერი უდაბუ-
რი იყო და ჩვენს ქვეშ უფსკრულს
დავლო პირი.

უცებ ქარიშხალი ამოვარდა, ზღვა
გრავინავდა და ბობოქრობდა. სტი-
ქიას წყვილიაში ვებრძოდით. ქარიშ-
ხალი არ ცხრებოდა, არც წყვილი
იხვედა უკან. ასე გადიოდა წლები.
შავ იალქანზე ღრუბლები ჩამოწვა,

ირგვლივ უდაბური, მიუსაფარი
წყვილიანი სუფევდა. ქანცაწყვეტი-
ლები და თითქმის იმედგაცრულები
ვებრძოდით შიშს, წყვილად და მძიმე
შილს...

და, აი, მოგვეჩვენა ცალკე ხალხი
ურუბელი დგაფუნი. უზარმაზარმა
ტალამ ზღვიდან ამოჩრდი კლდე-
ზე გაგვტყორცნა. ხომალდი დაიმსხ-
რა, კლდეს ჩავეჭიდეთ. ირგვლივ
ხომალდის ნაშესხვევები და იალქნის
ნაფლეთები დატურავდა, ჩვენ კი
ქვეშ ვეჭიდებოდით. როგორც იქნა,
ინათა და შევქვით, არემარესთვის-
თვალი მოგვევლო. კლდე, რომელ-
ზედაც ტალამ გავგრიყა, ხორკლია-
ნი და ბნელი იყო. კლდეზე მხოლოდ
ერთი კუზიანი ხე იდგა, არსად იყო
ბალახი და ყვავილი. ვებლაუქებოდით
ამ კლდეს, ბედნიერები ვიყავით, მი-
წაზე გართხმულს სიხარულის ცრე-
მლი გვიდიოდა: ეს ხომ კვლავ აწყებ-
და მიწა ამოსვლას ოკეანის ფსკერი-
დან.

წინდა ძვლები

ორ ხალხს ერთმანეთთან დიდი ომი
ჰქონდათ გაჩაღებული. ორივე ხალხი
ამ ომით ძალზე ამაყობდა და ეს ომი
ისე აღაზნებდა მათ ვნებებს, რომ
წვირილმანი ცხოვრებისეული განცდე-
ბი აღარ იყო სათვალავში მისილები.
ხოცვა-ყლეტაში გადარჩენილი ხალხი
ხარბად ეწაფებოდა ომთან დაკავში-
რებულ მოვლენებს. საზღვრის ორი-
ვე მხარეს, სადაც სისხლისმღვრელი
ბრძოლები მიმდინარეობდა, ომში
დაღუბულ მებრძოლთა პატივსაცემად
იღებებოდა მონუმენტი.

მაგრამ მოულოდნელად ხმა დაირ-
ხა, რომ ყოფილ ბრძოლის ველზე
ყოველ ღამე რაღაც უცნაური ამბე-
ბი ხდებოდა. მკვდრები ამოდიოდნენ
საფლავებიდან, საზღვარზე გადადიო-
დნენ და ერთმანეთს ხვდებოდნენ,
თითქმის დიდი ხნის შეროგებულები
ყოფილიყვნენ.

ამ ამბებმა ყველა შეაძრწუნა. გმი-
რები, რომელთა წინაშეც ხალხი
მუხლს იყრდა, მტრებს ხვდებოდნენ
და უზავდებოდნენ! რა საშინელება!
ამის გასარკვევად ორივე ხალხმა
კომისია გამოიყვანა. ისინი ბრძოლების
შემდეგ გადარჩენილ შერუჯულ, გა-
დამწვარ ხეებს ამოეფარნენ და შუა-
ღამის დღემდე დელოდნენ.

და, ოი, საშინელება, საოცარი ამ-
ბავი გამართლდა! უდაბური მიწი-
დან წარმოდგნენ მოხვედრები და სა-
ზღვრისაკენ გაემართნენ, თანაც თი-
თოვლას რაღაცა მიჰქონდა. აღშფო-
თებული ხალხი მივარდა მათ.

— თქვენ სამშობლოს შეეწირეთ
მსხვერპლად, თქვენს წინაშე მუხლს
ვიყრით, თქვენზე ვლოცულობ, გვა-
სოვხარო და პატივს გცემთ, თქვენ
კი მტერთან ურთიერთობასა და შე-
რიგებას არ თაკილობთ?

დაღუბული გმირები გაოცდნენ:
— რას ბრძანებთ, არაფერი ამის
მსგავსი არ მომხდარა. ჩვენ ძველ-
ბურად გგებულ ერთმანეთი, უბრა-
ლოდ ერთი-ორი ძვლი გავცველო,
რადგან ძვლები ძალიან აირია ერთ-
მანეთში.

თარგმანი სულხან ჯორჯანიანამ.

ქალღი

აირინე იოშინი

სამი საფეხური ავიარე და კარს მივაღებო. გავიხედოთ და იმავე კარს ერთი ძალით მოადგა. ზორბა და ბურძგლა, საკმაოდ გამხდარი. ასეთ დარბაზისეულ ოჯახს ეს მოუვლელი ძალი ნამდვილად არ ეკადრებამეთქი, გავიფიქრე და ქოფაკს ალმაცერად გავხედე. არადა, მისტერ ქუხილიანს სახელი და დიდება მართლაც არ აკლდა. იგი აფრიკელი კორპორაციის მენეჯერ-დირექტორი გახლდათ.

მართალი ვითხრათ, კარგად არ ვიცი, რა როლს ასრულებს ეს ბატონი ამ კორპორაციაში, მაგრამ ჩემი ბედი რომ მასზე იყო დამოკიდებული, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. სამუშაოს სათხოვნელად ვიყავი მისული და თან, როგორც ბატონის კაცს შეეფერება, სარეკომენდაციო ბარათიც მიეღო ჩემთვის.

არა, ცრუმორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ ძალი რომ ფეხზე გამეხაზუნა და კული გააქიცინა, ცოტა არ იყოს, იმედი მომეცა. ვითომც ადგილი უკვე განაღებული მქონდეს, ისეთ ხასიათზე დავდექი, ოცნებაში წასულმა თავი აფრიკელი კოორპორაციის საპატიო აგენტად წარმოვიდგინე. აა, ვიფარ სავარძელში, სოლიდურად ჩასუქებული, პირში სიგარეტობილი. ჭუნგლებიდან ლომების და ვეფხვების ბრდღვივნა-ქუხილი მოისმის. ფიქრებში წასული, ქერზე ობობის ქსელებს ვითვლი (წარმოდგენაც არა მაქვს, აფრიკაში ობობები საერთოდ თუ ბინადრობენ, მაგრამ აბა, ასეთ წვრილმანს რა მნიშვნელობა აქვს).

მოულოდნელად გაიღო სადარბაზოს კარი და ტუბილი ფიქრებიდან გამოვერკვიე. კარებში თვით მისტერ ქუხილიანი იდგა. იგი პირადად არასოდეს მენახა, მაგრამ მაშინვე ვიცანი. ან კი რა გასაკვირია, თითქმის ყოველდღე იყო მისი ფოტოები გაზეთში გამოქვეყნებული.

სანამ მისალმებისა და გაცნობის ცერემონიალი დასრულდებოდა, ძალი მისაღებში შევიდა. მალე მეც იქ აღმოვჩნდი. მისი ქუხილიანი, საკმაოდ სანდომიანი ქალბატონი, სავარძლიდან წამოადგა და მომესალმა. მაშინვე მივხვდი, რომ ამ სახლში

ცხოველებს მეტოხმეტად ანებიერებდნენ. ან კი რას გაუგებ არისტოკრატთა ჩვეულებებს. მისტერ ქუხილიანმა დიდებული შერის ბოთლი რომ გამოიღო და ბროლის ჭიქებში ჩამოსახსმელად მოემზადა, სწორედ მაშინ ატყდა გროგალი. ძალი (ცოფიანივით გავარდა და დაბალი მუხის კამოღზე თავშეფარებულ კატას დაეტაკა).

მშვენიერი კატა იყო, სპარსული ჯიშისა, მაგრამ ძალი, ეტყობა, ჯიშებში ვერ ერკვეოდა და არც დიდად ენაღვლებოდა, ისე გამწარებით ეცა უელში და გაგუდვა დაუპირა.

თავგანწირვით შეებნენ ერთმანეთს. წკრილით იფშვნიბოდა ძვირფასი ფაიფურის სამშვენივები. მალე ბრძოლის ველში უფრანლ-გაზეთების მაგიდაზე გადაინაცვლა და ჰაერში გაზეთების ქარიშხალი დატრიალდა. მასპინძელი შესაშური სიმშვიდით აგრძელებდა სასმელის ჩამოსხმას. ბოლოს და ბოლოს საბრალო კატამ ბუხრის თავზე ჰკოვა თავშესაფარი. შერის დასხმაც მშვიდობიანად დასრულდა. ჭიქები ხელში ავიღეთ და მისტერ ქუხილიანის გულის მოსაგებად მოგონილი მხიარულებით ვიხუმრე:

— რაც მართალია, მართალია, ბრიტანელებს ძაღლები თავს გვირჩვენია, არა?

— ჰმ, ალბათ, ასეა, — გაურკვეველად ჩაილაპარაკა ჭენტლმენმა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა. ძალი კი თავგადასავლების საძიებლად მეორე ოთახს მიავშურა. მე შევბით ამოვისუნთქე და ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე. არ ვიცოდი, რაზე მელაპარაკა. არადა, მეგობრებმა დამარიგეს, ამ ბატონის გულის მოგება მხოლოდ მის ჰობიზე საუბრით შეიძლებოდა.

მაგრამ რა იყო მისტერ ქუხილიანის პოზი, ეს კი აღარ უთქვამთ. უცებ მონეტები დავინახე. თაროებზე, ბუხრის თავზე, მაგიდებზე — ყველგან უხვად გამოეფინათ ძველებური მონეტები. შევბით ამოვისუნთქე და ურცხვად განვაცხადე, მონეტებზე ჭკუას ვკარგავ-მეთქი. მასპინძელი გაიბადრა, ჩიბიდან რაღაც ამოიღო, გამომიწოდა და დიმილით მიიხსნა, ასეთ ნიშნულს თუ შეხედრისხართო.

სიმწრის ოფლმა დამახსხა. ვიფიქრე, ეშმაკი მასპინძელი გამოცდას მიწყობს-მეთქი. ჩემდა ბედად, მეორე ოთახში ბოძი გასკდა. დიახაც, ბოძის გასკდომას ჰგავდა ხმაური, იქედან რომ მოისმა; აღმოჩნდა, რომ მოუხვეწარ ძალიც აკვარიუმი გადმოედო. ძვირფასი ჩიშის თევზები ნოხზე ფართხალობდნენ უმწეოდ.

— ძალი სად არის?! — შეშფოთებით იკითხა მასპინძელმა.

— საშარულღოშია, — ამოიკენესა მისმა მეუღლემ და სავარძელში უღონოდ ჩაეშვა. — ღვეელი უკვე შექამა და ახლა ოქციონულ კუდიანს მიადგა. შეხედე, კაბაზე სახელო მომაგლიჯა, ნაქილარიც მარჩია.

— ო, ღმერთო ჩემო! — ამოვიგმინე მე თანაგრძობის ნიშნად. სამზარეულოდან ძაღლის კმყოფილი წკმუტუნის გაისმა.

როგორც იქნა, ჩემი წასვლის დროც დადგა. შექვესე ჭიქა გადავკარი, ფეხზე წამოვდექი, მისტერ და მისი ქუხილიანს გულმხურვალე მადლობა გადავუხადე და კარს მივაშურე. მაგრამ აფრიკელი კორპორაციის დირექტორმა მოულოდნელი სიმამაცე გამოიჩინა და შემაჩერა:

— იმედი მაქვს, ამ ძაღლის აქ დატოვებას არ აპირებთ.

— რა? — გავცოცე მე, — ძალი მრუქინით?!

— ბოდიში, მაგრამ ძალიც ვეფენ მოგყვით და რაღა თქმა უნდა, თქვენია.

ნერვიულობისაგან მასპინძელს ლოყები აუღელვარდა. არც მისის ქუხილიანი გამოიყურებოდა უკეთესად.

— ჭაბუკო, ასეთი ხუმრობა რა საკადრისია. მეორედ ნუღარ გაიმეორებთ, — ნაზად შენიშნა ზრდილობიანმა ქალბატონმა, ქმრის რკინის ჯოხს ხელი წამოავლო, ძალი გარეთ გაავლო და მეც კარებზე მიმითითა...

მე და ძალი ნაღვლიანად დავუყევით ქურახს. საუბარი ვერ ავაწყვეთ.

ძალი აშკარად გაბრაზებული ჩანდა, მე კი ხულ მომიღო ბოლო ამ თავგადასავალმა. მივაბიჭებდი და მწუხარედ ვმშვიდობებოდი ტუბილი ოცნებებს აფრიკელი კორპორაციის შესახებ.

რამდენიმე დღის შემდეგ წერილი მივიღე მისტერ ქუხილიანისაგან. ჩემდა განსაცვიფრებლად, დარბაზისეული ჭენტლმენი ჩემთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამდა.

— საჭიროა ზოგიერთი წვრილმანის დაუსტებთ აფრიკულ კორპორაციაში თქვენი გამგზავრების წინო, — იუწყებოდა იგი. შემდგომ მისტერ ქუხილიანი აღნიშნავდა, რომ იგი ჩემმა თუმორის ნიქმა მოხიბლა. ვერაფრით ვერ ვივიწყებ იმ დღეს, როცა თქვენ გვეტლუმრეთ. დიდებული დღე იყო, მშვენიერად გავატარეთ დრო. — მწერდა იგი.

ენაჩავარდნილი დავცქერილი ნაწერს. ძლივს შევძელი, ბოლომდე წამეკითხა ბარათი:

— მშვენიერი ძალი გყავთ სწორედ, ასეთი საოცარი ცხოველი მე ჭერ არ შემხვედრია. საოცრებაა აბა, რა. ეს ძალი ერთადერთი არსებაა ამქვეყნად, რომელმაც ჩემს მეუღლეს კენა გაუბედა და მარადაც დააშინა გამოკეტულებით. ასე გულიანად ჭერ არასოდეს მომიღებია.

თარგმნა მარინე გოლქვაძემ

როსა ლეგენდა მოხლოვს

გრეტა გარბო თავისი შეუდარებელი გარეგნობისა და არტისტული ნიჭის წყალობით შემოქმედებითი კარიერის დასაწყისშივე იქცა კინოვარსკვლავად. დიდების ზენიტში მყოფმა, მან მოულოდნელად უარი თქვა ფილმებში მონაწილეობაზე, სასარგებლო და შემოსავლიან წინადადებებზე, საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნაზე და განმარტობით ცხოვრება ირჩია. მსახიობის უეცარმა ჩრდილში განდგომამ ლეგენდარული არეალით შემოსა

მისი სახელი (საბჭოთა მაყურებელი გრეტა გარბოს გაცნო ფილმით „დედოფალი კრისტინა“). მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ნახევარი საუკუნეა, გრეტა გარბოს მონაწილეობით ფილმები აღარ შექმნილა, მისი ფოტოები არ სცილდება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უფრანლ-გაზეთებს.

იმ უამრავ ფოტოსურათზე, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება პრესის ფურცლებზე, გრეტა გარბო აღბეჭდილია მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა და მომაჯადოებელი. ასეთია მისი სურვილი. მრავალადამიანში გრეტა გარბოს გახსენება ისეთსავე სევდას იწვევს, როგორც ახალგაზრდულ ასაკში დაღუპული ვარსკვლავების გახსენება. დღეს ბევრი დარწმუნებულია, რომ გრეტა გარბო 40-იან წლებში გარდაიცვალა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია 80 წლის გრეტა გარბო, იგი ჩვენს წარმოდგენაში კვლავაც ახალგაზრდაა, მომხიბლავი, ჰაეროვანი სხეულით, ფერმკრ-

თალი სახითა და განუმეორებელი მომწუნსავი გამოხედვით.

მას შემდეგ, რაც გრეტა გარბომ თავი დაანება კინოკარიერას, არც ერთი ინტერვიუ აღარ მიუცია, არ მონაწილეობდა არც ერთ კინოფორუმში და ფესტივალში. იგი სრულიად განმარტოებულ ცხოვრებას ეწევა, ერიდება ყოველგვარ ვიზიტებს. მიუხედავად დიდი მონღომებისა, ნებადართული თუ მიუღებელი ხერხების გამოყენებისა, ვერც ერთმა ფოტოკორესპონდენტმა ვერ შეძლო, ოფიციალური ნებართვა მიეღო გრეტა გარბოსაგან, აღებეჭდათ იგი ფირზე. ასე რომ, შეუდარებელი გრეტა კვლავაც დარჩება მომხიბვლელ ახალგაზრდა ქალად, ნატიფი ნაკეთებითა და ჯოკონდასებური მომხიბლავი იდუმალებით...

გრეტა გარბოს, ისევე როგორც სხვა ცნობილ ადამიანებს, შემოქმედებით ასპარეზზე მრავალი მიმბაძველი, მემკვიდრე ჰყავს, რომელთაგან ბევრი საერთოდ შე-

პოეტური იატეაჩი

და იწყეს გამოკრებად განძისა მის
და დაფლავდნენ სიმარჯუესა თუისსა.
ხოლო ვითარ განთენდებოდეს, კულადა ეგრეთვე
აღმოქმნიან კარი ქუებისა მის.
და ესრეთ გამოკრებენ განძი იგი ხუთ ღამე
და დაივლენ სიმარჯუესა მათსა.
მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თუისი
ქუჯის თანა და რქუა
„მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა,
და ძმისწული სამარა მამასახლისისა,
და არს ჩემთანა ხუასტავი დიდძალი.
აწ ინებო, რათა მით ხუასტავითა

მოვიღე შენ თანა,
და ვიყვნეთ ჩუენ ძმა და ვიხმაროთ
ჩუენ ხუასტავი იგი ორთავე.
გამოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერისთავსა,
და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლიერა კეთილი“

გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმან ქუელისა
მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და ტყუება ყო-
ველთა ქართველთა ზედა, წარჩინებულთაგან ვიდ-
რე გლახადმდე. და იტყუებდეს ყოველი თავთა თუის-
თა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ
დასხდიან მგოსანნი ი გლოვისანი, და შეერ-
ბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქუე-
ლესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან
ქუელისასა, და იტყოდიან ესრეთ:

„ვაა ჩუენდა, რამეთუ მოგუიძინა ჩუენ სუემან
ბოროტმან,
და მეფე ჩუენი, რომლისაგან ხსნილ ვიყვენით
მონებისაგან მტერთასა, —
მოიკლა იგი კაცთა (მათ) მგრძნებელთაგან,
და ან მივეცენით ჩუენ ნარტყვევინად
ნათესავთა უცხოთა!“



რცა — თითქოს, ვითომ. ასპანი
ფარნავაზის დედის სამშობლო. დირ-
დალი — „დედე-დედე“ (საბა). რა-
თამცა დაყო მუნ ღამე — რომ და-
ყოს იქ ღამე, გაათენოს. და დილე-
ულმცა წარვიდა — და დილით წავი-
დეს. ჩუგლუგი — რკინის კომბალი,
„ჩუგლუგი — მცირე წერაქვი“ (სა-
ბა). აღმოქმნილი — ამოქოლილი.
რათამცა მუნ დაიმშრალა — იქ რომ
გაშრეს. განძი მიუწვდომელი — ური-
ცხვი განძი. სამსახურებელი — ქურ-
კელი, ქონება. მოგონა — მოაგონ-
და. დაჰკრძალა — დახშო, ამოქოლა.
სახედარი — საჯდომი ცხენი, ჯორი ან
ვირი. სიმარჯუე — მოხერხებული.
მარჯვე ადგილი, სამალავი. ქუჯი —
ლეონტი მროველის მიხედვით ეგრის-
ის ერისთავი. უფლოსი და მცხე-
თოსი — ლეგენდარული მეფენი.
სამარა მამასახლისი — ფარნავაზის
ბიძა. ხუასტავი — ქონება, განძი.
აზონ ერისთავი — ლეონტი მროვე-
ლის მიხედვით ქართლის დამპყრობი.
წარმომოხმით ბერძენი, რომელიც
დაამარცხეს ფარნავაზმა და ქუჯიმ.
ხუე — ბედი. ტყუება — ტირილი,
მოთქმა თავში ცემით. სახიერება —
სიკეთე, მოწყალება. მოგუიძინა —
მოგვანახა. მოძიება-მონახვა. მგრძნე-
ბელი — გრძნეული.

ლო ეკრანიზაციაში მთავარი როლის შეს-
რულებების შემდეგ აღაპარაკდა დასავლეთ-
ის კინოსამყარო გრეტა სკაკის პიროვნე-
ბაზე. „ახალი გრეტა“, „მეორე გრეტა გა-
რბო“ — მსგავსი ეპითეტები დღეს ხში-
რად გაისმის ახალგაზრდა იტალიელი მსა-
ხიობის მიმართ.
როთული განჭვრეტა იმისა, თუ როგორ
წარიმართება გრეტა სკაკის კარიერა —
მთელი ცხოვრება მოუწევს გრეტა გარ-
ბოს დიდების ჩრდილში ყოფნა და საუკე-
თესო, მაგრამ მაინც მეორე გრეტად და-
რჩენა, თუ შეძლებს დამკვიდრებას, როგ-
ორც უბრალოდ გრეტა სკაკი. ჯერჯერო-
ბით კი იგი კმაყოფილია თავისი შემოქმე-
დებით მოღვაწეობის დასაწყისით, პირვე-
ლი წარმატებებით. ხშირად იბეჭდება პრე-
საში, გამოდის ტელეეკრანებზე, იწვევენ
სარეკლამო კლიბებში, არ აკლია თავვა-
ნისმცემლები და, აღბათ, არც იმედი იმი-
სა, რომ კვლავაც მიიწვევენ სერიოზულ
ფილმებში მონაწილეობისათვის.


ნუზზარ ბარდაველიძე



„დროშის“ მეგობრები

ბევრი მეგობარი ჰყავს „დროშას“, ბევრი
მომამაგე. მათ შორის ისეთნიც, რომელნიც
ჩუმად, ფარულად აკეთებენ დიდ საქმეს.
მათი სახელი და გვარი ცნობილი არ არის
ჩვენი მკითხველისათვის. ძალიან ცოტამ
თუ იცის, რა ჯაფა, რა მონდომება და
სიყვარულია საჭირო იმისათვის, რომ რე-
დაქციის თანამშრომელთა ჩანაფიქრს ხორ-
ცი შეესხას და ათი ათასობით ადამიან-
ამდე სრულყოფილად მივიდეს იგი...
გრძელი გზა აქვს რედაქციაში მომზა-
დებულ მასალებს, სანამ საბეჭდ საამქ-
როში მივიდოდეს. ყველაგან, ყველა საამ-
ქროში ხვდება მას მზრუნველი ხელი, მაგ-
რამ ამჯერად მოგიტხრობთ ორ ადამიანზე,
რომელთა კეთილსინდისიერ შრომაზე დი-
დად არის დამოკიდებული ჩვენი ჟურნა-
ლის ბედი.
ზაურ ელბაქიძე მბეჭდავია. იგი მეოთ-
ხედი საუკუნეა, რაც საქართველოს კომ-
პარტიის ცენტრალური კომიტეტის გა-
მომცემლობაში მუშაობს. მისი სამუშაო
დღე სისხამ დილით საბეჭდ მანქანასთან
იწყება. წლების მანძილზე შეიყვარა და
შეითვისა მან ეს საქმე. მისთვის მშობლი-
ური საამქრო მეორე ოჯახია. აქ ატარებს
იგი თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს. აქ
ჰყავს მეგობრები, ახლობლები, რომელთა
სიხარულითაც ცხოვრობს და რომელთა
სევდაც საკუთარ სევდად მიიჩნია.
რა სჯობს იმას, როცა კაცმა თავისი საქ-
მე კარგად იცის. ზაურ ელბაქიძე ერთ-ერთ-
თი იმათაგანია, ვისაც შრომა დიდ შე-
მოქმედებით აღმაფრენას ანიჭებს და ვის
შრომასაც დიდი სიკეთე მოაქვს ადამიან-
ებისთვის.
თამარ კობაძე მიმღებია. შრომის ვეტე-
რანი, კომუნისტური შრომის დამკვრელი
დღენიდანვე საამქროში ფუსფუსებს, აწ-
ყობს, ალაგებს, ამოწმებს... მოვა ყოველ
დილით მომომიპარი სახით, უყვარს, უხა-
რია მეგობრების ხილვა. ხალისიანად შრო-
მობს და ახალგაზრდებსაც ავსებს ხალი-
სითა და სიხარულით...
ზაურ ელბაქიძე და თამარ კობაძე ერთ-
მანქანაზე მუშაობენ. ერთ მანქანას დას-
ტრიალებენ თავს მბეჭდავი და მიმღები,
უვლიან, უფრთხილდებიან და სწამთ,
რომ დიდ, კეთილშობილურ საქმეს ემსა-
ხურებიან.

ზინა ნადირაძე.



თარგმულად: 5. ზოგი სახელმწიფოს სესხის ბილეთი; 7. ცნობილი კაფე რუსთაველის თეატრის სარდაფში; 12. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 15. სპორტული კიდაობა; 16. ქალის თვისაბურავი; 17. ჩამქრალი ვულკანი სიცილიაზე; 18. მარადმწვანე დეკორატიული ხე ან ბუჩქი; 19. მაღლად დადგმული დიდი თივის გროვა; 20. რძის აკრისა და ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე; 21. სახელმწიფო ტერიტორიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული; 22. ახლად ამოსული ხშირი და წმინდა ბალახი; 24. ისტორიული ოლქი ჩრდ. ებანეთში; 25. აღმოსავლური სამუსიკო საკრავი; 26. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 29. ნახშირმყავა მარილი; 32. ქართველი მოქანდაკე

შვეულად: 1. იტალიელი კომპოზიტორი; 2. სახვენი ნიშანი; 3. შვეიცარიის ქალაქი; 4. დენთითა და ტუკით გატენილი მასრა; 6. გორაკი რომში. რომელზედაც აშენებულია სახახლეები. მუზეუმები და სხვ. 8. ფართოვერინი კალამი; 9. წიგნის ისტორიის, თეორიის შემსწავლელი მეცნიერება; 10. ქართველი მწერალი; 11. ამერიკის ქალაქი; 13. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა; 14. ორგანიზმის მგრძობიარობის შეცვლა მიკრობების ან უცხო ცილების განმეორებით შემოქმედების მიმართ; 22. ღვინის დანალექი; 27. ქალის გრძელი მოსახხამი მუსლიმანებში; 28. წვრილად დაჭრილი ცომი; 30. კიეველი ფეხბურთელი; 31. ვარდისებურთა ოჯახის საშუალო სიმაღლის ხე.

კროსვორდი შეადგინა: **ც. კასრაძე**

მე-8 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარგმულად: 3. პერონი; 9. კუკარაჩა; 10. იასამანი; 12. ითილი; 15. ასტრა; 20. ბამბა; 22. ავაზა; 26. ამბა; 29. გენია; 33. ხანტიაგო; 35. ინფლაცია; 36. ალტინგი.

შვეულად: 1. დეკა; 2. ანცი; 4. ორმო; 5. სკალა; 6. ერა; 7. ტაუ; 8. დიხი; 12. იზაბელა; 16. ატლანტა; 18. ომუ; 19. ძაუ; 23. აბანო; 25. ლენცი; 30. კიი; 31. აზრი; 32. ალი; 34. ოსლო; 35. იაგო.

ღიბონალურად (მარცხნიდან მარჯვნივ): 11. ობი; 13. ამბიცია; 14. არზა; 17. მრო; 21. (-) აბრა; 21. (-) არფა; 24. შოა; 27. ამფიბია; 28. ალმა; 31. ავი.

დიდალმა ხალხმა მოიყარა იმ დღეს თავი საზეიმოდ მართულ თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული უამრავი სტუმარი ეწვია ნაირფერ ყვავილებში ჩაფლულ თბილისს. კეკლუცად გამოიყურებოდნენ ბალები, სკვერები, პროსპექტები. ერთნაირი ხალისი და განწყობილება სუფევდა სტუმრებსა და მასპინძლებს შორის.

რას არ ნახავდით გამოფენილს ქალაქის ცენტრსა თუ მის ნებისმიერ დასახლებებში, მტკვრის ორივე სანაპიროზე. ზეიმი იყო, ნამდვილი ზეიმი თბილისში, ყვავილების დღესასწაული. რომელიც რესპუბლიკის მოედანზე დაიწყო და მთელ ქალაქს მოედო ოთხივე კუთხით.

ყვავილებით აბრიალებულ მოედანზე ახალგაზრდობა შემოვიდა. საამო მელოდებსა და სიმღერებში განსაკუთრებით უღერდა ბავშვების წკრიალა ხმა. გარშემო ყვავილების დამათრობელი სურნელება იდგა. მზე უხვად აფრქვევდა სხივებს.

ზეიმს სტუდენტური მეჭლისი მოჰყვა — ლამაზი, თვალწარმტაცი სანახაობა, გულსა და თვალს რომ აამებს. მაყურებლის წინაშე წარსდგნენ დედაქალაქის ყველა უმაღლესი სასწავლებლის მუსიკალური ჯგუფები. ერთმანეთს ცვლიდნენ მეჭლისის მონაწილე ქალიშვილები და ჭაბუკები. ასახელებდნენ დღესასწაულის სილამაზის დედოფლის წოდების პრეტენდენტებს...

და აი, სილამაზის დედოფლად აღიარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ნანა კინაძე.

სალამო ხანს რუსთაველის პროსპექტი სახალხო სეირნობის ზეიმად იქცა. გამწირზე აუღერდა ქართული სიმღერები.

იდგა დედოფალი, იღიმებოდა და სილამაზეში ყვავილებს გასჭიბრებოდა.

იამზე ბასილია

ბარეკანის პირველ გვერდზე: ფოტოტექნიკური ყვავილების დედოფალი. ფოტო იური რიდალოვისა.
მეოთხე გვერდზე: პეიზაჟი. ფოტო ბონდო დვალიშვილისა.



გადეცა წარმოებას 11. 07. 88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 09. 88. უფ. 01504. ქალაქის ზომა 70x108^{1/2}. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 5,69. ტარაჟი 50.000. შეკვეთა 1808. ფასი 35 კპ.
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. ც. -ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
880008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ყვავილების დღესასწაული
თბილისში



ინვანტი 76056

6150/
1975



ქართული
ბოტანიკური
საბაღი

